

619  
1999



# ბრძანება

№ 5-6  
1999





# ფოტოინფორმაცია



- თამარ მეფის ძეგლი ახალციხეში
- 9 მაისი. ვაკის პარკი. შეხვედრა ომის ვეტერანებთან.
- ანსამბლი „ეკლაპტარი“.

საგარეო  
აღმართმშენებლობის  
სამსახური

# საქართველოს მზა კვლავ ამობრწყინდება



1999 წლის 17 აპრილი საქართველოს უახლოეს ისტორიაში შევა, როგორც დიდმნიშვნელოვანი თარიღი. ამ დღეს შედგა საქსპორტო მილსადენის კასპიის ადრეული ნავთობის ბაქოსუფსის დასავლეთის მიმართულებით გახსნა.

სუფსის სახმელეთო ტერმინალი, საბორნო გადაზიდვა ვარნა-ფოთი, ბათუმი, ილიჩევსკი, აზერბაიჯანის ნავთობით პირველი დატვირთვის პულტები.

ეს სავიზიტო ბარათია იმისათვის, რომ საქართველო საბოლოოდ გადაიქცეს მსოფლიო აბრეშუმის გზის საკვანძო სახელმწიფოდ.

„ტრასეკას“ პროექტები, ევრაზიის დერეფანი. ესაა უტყუარი საბუთი იმისა, თუ როგორ მალალ შეფასებას აძლევს საქართველოსთან მეგობრობას აზერბაიჯანი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, სხვა სახელმწიფოები.

საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირება შეთანხმებულია ამერიკის კონსორციუმთან აქციონერული კომპანიების მიერ, რის შედეგადაც მოხდა ამ გადანყვებილების მიღება.

აქ, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, ჩვენ ყველამ უნდა ვალიაოთ, რომ არა პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, არ იქნებოდა ადრეული ნავთობის მარშრუტები საქართველოში, არ იარსებებდა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია დიდ ნავთობთან, არც სხვა პროექტები იარსებებდა.

1994 წლის 19 სექტემბერს ხელმოწერილი იქნა კონტრაქტი კონსორციუმთან, რომელშიც 11 უმსხვილესი კომპანია შევიდა. ამ კონტრაქტს „საუკუნის კონტრაქტი“ უწოდეს, რადგან ნავთობის შეტანა სამი საბადოდან („ოზერი“, „ჩირაკი“ და „გიუნეშკი“) ასი მილიონი ტონით იყო განსაზღვრული,

ნახევარი წლის შემდეგ, პირველი ჭაბურღილის გამოცდის შედეგად, შესაძლებელი გახდა, გარკვეულიყო ნავთობის მარაგი: ის 630 მილიონი ტონა აღმოჩნდა.

დღეისათვის ბაქოს 15 კონტრაქტი აქვს დადებული. ამან გააძვირა ბაქოსუფსის ნავთობსადენის მშენებლობის ღირებულება 275 მილიონით და 590 მილიონი დოლარი შეადგინა.

მაგრამ ესეც საკმარისი არ არის და არ აკმაყოფილებს აზერბაიჯანელ მენავთობეებს. ისინი აგრძელებენ მშენებლობას.

დაახლოებით 200 სპეციალობის მონაწილეა დასაქმებული ნავთობსადენის ტერმინალის ექსპლუატაციაში, მათ შორის 80 პროცენტი საქართველოს წარმომადგენელია. მათ გაიარეს ენერჯული წვრთნა, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებთან.

როგორც საქართველოს მილსადენის ვიცე-პრეზიდენტი და რეზიდენტი-მენეჯერი დენი სტიუარტი აღნიშნავს, ქართველი სპეციალისტების პროფესიონალური დონე და ზოგადი განათლება ძალიან მაღალია. ისინი ეცნობოდნენ ახალ ტექნოლოგიებს და ამით მათი შესაძლებლობები კიდევ უფრო გამდიდრდა და გაიზარდა.

მილსადენის დიამეტრი 530 მილიმეტრია და შეუძლია დღეში 115000 ბარელი ნავთობი გადაქაჩოს. ამჟამად ნავთობსადენი მზადაა, ყოველწლიურად ხუთ მილიონამდე ტონა ნავთობი გადაზიდოს, მაგრამ ეს მაჩვენებელი შეიძლება დაახლოებით ორჯერ და მეტად გაიზარდოს და 12 მილიონ ტონას მიაღწიოს.

დასავლეთის მარშრუტის მილსადენი, როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანის სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, სამ წელიწადში დამთავრდა, ეს კი იმ ხალხის გამარჯვებაა, ვინც მის

დაპროექტებასა და მშენებლობაში დებულობდა მონაწილეობას.

ნავთობსადენის მშენებლობის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

„ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მარშრუტის მწყობრში ჩადგომა ნიშნავს, მიაღწიო მისი მუშაობის შედეგებს, რომელიც ჩვენს მიერ 1995 წელს დაინყო“ – აცხადებს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი.

მას მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და დასძენს, რომ „ნავთობსადენის დასავლეთის მიმართულებით მშენებლობა ადასტურებს საქართველოს შესაძლებლობას, უზრუნველყოს პროექტის განხორციელება“.

და ბოლოს, პრეზიდენტის აღიარებით „ეს არის ყველაზე მოკლე გზა ნავთობისა ევროპაში. მისი ეკონომიკური შესაძლებლობები ეჭვს არ იწვევს“.

1999 წლის 15 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ნავთობსადენის დასავლეთის მიმართულების საერთაშორისო სტანდარტების უმაღლეს დონეზე შესრულებისა და სუფსის სახმელეთო ტერმინალის მშენებლობის დროს გამოჩენილი თავდადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ და მადლობა გამოეცხადა დიდ ჯგუფს: სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს და სხვა მშენებლებს. ისინი რამდენიმე ათეულია.

მათი სახელები შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც პირველი გამარჯვებულებისა ამ ღირშესანიშნავ ბრძოლაში ნავთობისათვის.

ყველაფერი წინაა და როგორც პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა თქვა, „საქართველოს მზე კვლავ ამობრწყინდება და „ნავთობის მდინარესაც“ გაანათებს...“

დაე, ღმერთმა ქნას, რომ ეს მდინარე არ დალეულიყოს!..

## სარედაქციო კოლეგია:

№ 5-6 1999 (704)

ყოველთვიური საზოგადოებრივი-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# დროშა


ჯანსუღ ჩარკვიანი – თავმჯდომარე,

გულნარა განტაძე  
პასუხისმგებელი რედაქტორი,

ვასილ გვეტაძე, ნატა თათარაშვილი,  
ზურაბ კვანტრიშვილი, თაღო ნინიძე,  
დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),  
ელდარ შენგელაია, ზურაბ ნეკეთელი,  
თამაზ ჭილაძე.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი





თვლიან, რომ ყველაზე ძლიერი გონებანი ამოუცნობი უნდა დარჩნენ, თუმცა მთლად ასე რომ არ ყოფილა საქმე, ამაში ქვემოთ დავწმუნდებით.

1917 წლის 4 ივლისს პეტერბურგის ბოლშევიკებისათვის ცნობილი გახდა, რომ მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი ალექსინსკი აპირებდა, გაზეთებში გამოექვეყნებინა ცილისწამება ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბევრმა ამას ყურადღება არ მიაქცია; ლენინმა და სტალინმა კი ყურად იღეს და იმავე დამეს სტალინი დაუკავშირდა პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ჩხეიძეს (სტალინი აღმასკომის წევრი იყო), რომელმაც ალუთქვა მას, რომ აღმასკომი არ დაუშვებდა ბილწი ცილისწამების გამოქვეყნებას. ჩხეიძემ საქმეში ჩართო დროებითი მთავრობის წევრინ. წერეთელი და დაპირება შეასრულა. მაგრამ წერილი მაინც გამოქვეყნდა ე.წ. ყვითელი პრესის არალეგარულ გაზეთ „ცოცხალ სიტყვაში“.

მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რამ დააფრთხო ბოლშევიკები და რატომ ცდილობდა სამკვდროსასიცოცხლოდ ერთმანეთზე გადაკიდებული ქართველთა სამაია ბოლშევიკების დახმარებას. ჯერ შევეხოთ გაზეთის პუბლიკაციას, საიდანაც ვიგებთ, რომ 25 აპრილს მე-6 არმიის ზურგში გერმანიის გენშტაბმა გადმოისროლა ციმბირის მე-16 მსროლელი არმიის პრაპორშიკი, ვინმე ერმოლენკო სეპარატული ზავის სასწრაფოდ დადების აგიტაციის მიზნით; ერმოლენკო დააკავს.

დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ როგორც მას გერმანიის გენშტაბის ოფიცრებმა შიდიციმ და ლუბერსმა აცნობეს, ანალოგიური მისიით რუსეთში უკვე მოქმედებდნენ მათი აგენტები ა. სკოროპის-იოლტუხოვსკი და ვ. ლენინი. მათი მიზანია შეასუსტონ რუსი ხალხის ნდობა დროებითი მთავრობისადმი. ეს ნიშნავდა, რომ ლენინი გერმანელების აგენტი იყო. გაზეთი ლენინს ამხელდა პატრიოტული „უკრაინის განთავისუფლების კავშირის“ მხარდაჭერაშიც. „ცოცხალი სიტყვა“ მიუთითებდა, რომ რუსეთის გენშტაბის მონაცემებით, აგიტაციისათვის საჭირო ფული (20 მლნ რუბლი) გადმოიგზავნებოდა შუამავალი პირების – განეცკისა და კოზლოვსკის მეშვეობით. მათი სახელითა და მათ სახელზე იგზავნებოდა უამრავი დეპეშა (უმთავრესად შვეიცარიაში). როგორც გაირკვა, აღნიშნული საკითხი მთავრობის თავმჯდომარე კერენსკის მოახსენეს ჯერ კიდევ 16 მაისს (გენშტაბის წერილი №3719 ერმოლენკოს დაკითხვის ოქმითურთ), მაგრამ ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ეტყობა, კერენსკის არ სჯეროდა ეს ფაქტი. მას ახსოვდა, თუ როგორ შერცხვა საფრანგეთის გენშტაბი დრეიფუსის საქმეში (სამხედროებს სურდათ, რაც არ უნდა დასჯდომოდათ, გაეშაკვებინათ დრეიფუსი). ჭეშმარიტად, სახელმწიფოები იღუპებიან მაშინ, როცა კარგ ადამიანებს ვერ ასხვავებენ ცუდისაგან. ამიტომ ჩამოვარდა კერენსკის მთავრობა. ამავე დროს, კადეტთა პარტიის ლიდერი მილიუკოვი მოითხოვდა ლენინის დაპატიმრებას. მაგრამ კომუნისტებმა თადარიგი დაიჭირეს და ლენინი რაზლიეში გადაძალეს. იგივე „ცოცხალი სიტყვა“ კი აცხადებდა: ლენინი უკვე გერმანიაშიაო.

იხადება კითხვა: ვის ჭირდებოდა სეპარატული ზავი 1917 წლის ზაფხულში, როცა ლენინი ამას თავგამოდებით მოუწოდებდა? გერმანელთა მხედართმთავარი ლიუდენდორფი თავის მოგონებებში წერდა: „რუსებს, რომ მცირე წარმატებით მაინც შემოეღებინათ, აპრილში ან მაისში მდგომარეობა ჩვენთვის არაჩვეულებრივად მძიმე იქნებოდა. მე

# რუსი რევოლუციონერი კავშირის ყოყონი

არ ვიცი, როგორ მოუვლიდა მდგომარეობას უმაღლესი მთავარსადადლობა. მხოლოდ რუსულმა რევოლუციამ გვიხსნა ჩვენ იმ მდგომარეობიდან.

რუსების უმრავლესობისათვის სეპარატული ზავი განიხილებოდა როგორც სირცხვილი, შეუთავსებელი რუსეთის სინდისსა და ღირსებასთან. ხალხი მოითხოვდა ზავს მოკავშირეებთან ერთად და არა სეპარატულს, რადგანაც რუსი ხალხი არ დაუშვებდა ომიდან შერცხვენილ და განადგურებულ გამოსვლას. ლენინის ნაბიჯები იმ პერიოდში გერმანელების სასიცოცხლო ინტერესებს ზუსტად შეესაბამებოდა. კერძოდ, ლენინი აპრილის დასაწყისში ჩამოვიდა ციურიხიდან გერმანიის გაუღლით „დაპლომბილი“ ვაგონით თავის „ციმერვალდებთან“ ერთად (ასე ეძახდნენ ციმერვალდის 1915 წლის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მემარცხენე ინტერნაციონალისტების ჯგუფს ლენინის მეთაურობით; კონფერენცია გამოვიდა პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ; თავიდან ციმერვალდელებს კერენსკიცა და წერეთელიც მიემხრნენ). გაატარა რა თავის ტერიტორიაზე, გერმანიამ ხელი შეუწყო მათ დაბრუნებას. ციმერვალდელების ლოზუნგი იყო: „ომი ან რევოლუცია“. „ან რევოლუცია მოსპობს ომს ან ომი მოსპობს რევოლუციას“ (მარტოვი), – ამტკიცებდნენ ისინი. ამ ლოზუნგებმა მიიყვანა რუსეთი განადგურების ზღვარზე. მშვიდობა ფრონტზე და ომი სახლში, –

ეს მათი მოწოდება იყო, რომელიც აღასრულეს კიდეც. ისინი ფიქრობდნენ, რომ სლავური აზროვნება არაა კონცენტრირებული, ზედმეტად ანარქიულია და ამიტომ დამანგრეველიც. სეპარატული ზავის აგორებით ეროვნული საკითხის გადაწყვეტაც სურდათ (გავიხსენოთ გორბაჩოვი, რომელიც კონსესუსით წყვეტდა ამ საკითხს; ცხადია, ორივე მიდგომა უაზრობაა).

გერმანიის დაზვერვამ კარგად გამოიყენა ლენინი. მოგვიანებით რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ს. საზონოვი წერდა: „ციმერვალდელი რევოლუციონერების ბანდა სუფსირდებოდა ჩვენი გარეშე მტრების მიერ და დიდი ხნის განმავლობაში ეფუძნებოდა წარმატებულად მომუშავე ელემენტებს, იბრძოდა ქვეყნის დაშლისათვის“. შემდგომში ლენინი ამტკიცებდა, რომ ის გერმანელების ფულით რუსულ რევოლუციას ამზადებდა. მართალი ყოფილა ბალზაკი: რა არის ცხოვრება, თუ არა მანქანა, რომელსაც ფული ამოძრავებს? ლენინისათვის ჯაშუშობის ბრალდება ახალი ხილი არ იყო. თავადაც მიუთითებდა, რომ მას მებრძოლი კოალიციების ორივე მხარე ჯაშუშად მიიჩნევდა.

1914 წელს ლენინი ვენაში დააპატიმრეს, როგორც რუსეთის ჯაშუში. მის განთავისუფლებაში გარკვეული როლი ითამაშა უკვე ნახსენებმა განეციკიმ. იგი ბიზნესით იყო დაკავებული და კავშირი ჰქონდა შვეიცარიასთან. აქედან ხომ არ იღებს სათავეს გერმანიისათვის ლენინის ჯაშუშობა? ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩვენში ფეხმოკიდებული აგენტის იარლიყი რომ ლენინისგან იღებს სათავეს, ეს უეჭველია.

მკითხველს დააინტერესებს, როგორ შეზღვენენ ბოლშევიკები ლენინის მიმართ ბრალდებებს. გაზეთი „პრავდა“ დარბეული იყო და პასუხი „პრავდის ფურცელში“ გამოქვეყნდა. მათი ხედვით ბრალდების სიცრუე იმდენად ცხადი, უხეში და ბანალური იყო, რომ არც ერთი ნასწავლი ადამიანი მას არ დაიჯერებდა. თუ ბრალდება მართალი იყო, მაშინ რატომ შემოუშვეს განეციკი რუსეთ-

ში და გაუშვეს უკან? ბოლშევიკებმა მძლავრ არგუმენტად გამოიყენეს წერეთლის დახმარებაც. თუ ბრალდება მართალი იყო, რატომ არ დააკავეს ლენინი და ორივე შუამავალი? ამასთან, შუამავლები არ არიან ბოლშევიკებით (ორივე პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო). ბოლშევიკები უარობდნენ ფულის მიღებასაც.

ის, რაც ზევით მოვახსენეთ, ათეული წლების განმავლობაში ფიგურირებდა, როგორც მთარული ჭორი და კაცმა არ იცოდა, მითი იყო თუ სინამდვილე. მხოლოდ ჩვენი საუკუნის ბოლოს, გერმანული არქივების შესწავლით დაადგინა ე. ხერეშმა ჭეშმარიტება (იხ. მისი წიგნი ნიკოლოზ მეორე) – ლენინი ნამდვილად იყო გერმანელების ჯაშუში. ერის ცხოვრებაში, ეტყობა, დგება მომენტი, როდესაც საკუთარი მთავრობის დალატი პატრიოტის უმაღლეს მოვალეობას წარმოადგენს (ტალეირანი). ჯერ კიდევ 1916 წელს რუს რევოლუციონერებს ანტისაომარი პროპაგანდისათვის გადაეცათ ერთი მილიონი რუბლი, ხოლო 1917 წლის მარტში მათ უკვე ხუთი მილიონი რუბლი მიიღეს. თავად კაიზერს განუცხადებია, რომ „მზადაა გადაისროლოს ლენინი პირდაპირ ფრონტის ზაზს იქით“. ამიტომ იცავდნენ ბოლშევიკების ვაგონს გერმანიის გადაკვეთისას.

1917 წლის 21 აპრილს გერმანიის გენშტაბს აცნობეს, რომ „ლენინი მშვიდობიანად ჩავიდა რუსეთში და მუშაობს ჩვენი სურვილების მიხედვით“. ფული ბერლინიდან პეტერბურგამდე სტოკჰოლმის გავლით მოძრაობდა ბანკების გამოყენებით. მეფის მთავრობას სურდა ლენინის დაპატიმრება, მაგრამ ადვოკატ კარპინსკის უცნობებია ეს ბონჩ-ბრუევიჩისათვის და ლენინი გადაძალეს გადმოგზავნილ ფულთან ერთად. ამიტომ ჩაიშალა ბოლშევიკების წამოწყებული 3-5 ივლისის პუტჩი; დროებითი მთავრობა ქართველთა სამაიას ქმედებით ამჯერად გადარჩა. ხელმა ხელი დაბანა: ბოლშევიკებმა მუშებს თავშეკავებისაკენ მოუწოდეს, მთავრობამ კი გაზეთებში პუბლიკაცია შეაფერხა.

უკვე ოქტომბერ-ნოემბერში ლენინს 15 მლნ მარკა გადმოურიცხეს და ბოლშევიკებმა რევოლუცია მოახდინეს. ლენინმა უბრძანა მხედართმთავარ დუხონინს ცეცხლის შეწყვეტა ფრონტზე. რუსეთი დამარცხდა. ამას მოჰყვა ბრესტის ზავი და ლენინი იწყებს თავისი ფანატიკური იდეების ხორცშესხმას. ესერების წინააღმდეგ (მათ ანტანტა აფინანსებდა) ბოლშევიკების მხარდასაჭერად მოსკოვიდან ფულს თხოულობს გერმანიის ელჩი მირბახი. საბუთებით ლენინს გადაურიცხეს 40 მილიონი მარკა. მაგრამ ლენინის თანამშრომლობა გერმანელებთან მალე დაირღვა. ბრესტის ზავი იმდენად სამარცხვინო იყო, რომ გერმანელებმა მეტი საიმედოებისათვის, ლენინს გადაყენებული იმპერატორის ნიკოლოზ მეორის ხელმოწერაც მოთხოვეს ზავზე. ამან, ეტყობა, ლენინი შეაშინა – გერმანელები მონარქიის აღდგენასაც მომთხოვნო და სასწრაფოდ მოაკვლევინა ელჩი მირბახიც და იმპერატორი ნიკოლოზიც. გერმანიის რევოლუციამ ლენინი თამაშიდან გაიყვანა. კაიზერმა ვილჰელმმა, თავისდაუნებურად, საკუთარი ტახტიც გაანადგურა და რუსეთისაც.

რუსულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ, რომ თავადი ლვოვი ისევე დამნაშავე კერენსკის არსებობაში, როგორც კერენსკი – ლენინის. ბოროტებისადმი წინაღობის გაუწყვლობის სისტემა კერენსკისთან გარდაიქმნა ბოროტებისადმი ხელშეწყობის სისტემად, ხოლო ლენინთან – ბოროტების მსახურების სისტემაში.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველაზე „ადამიანური“ კაცი – ლენინი, სხვა უბედურებებთან ერთად, ჯაშუშობის მანიითაც იყო შეპყრობილი. ჭეშმარიტად, ადამიანი ეშმაკსა და ანგელოზს შორის არის და რომელიც უნდა, ის გახდება (სენეკა). ლენინს კი ეშმაკისკენ ჰქონდა თვალი, რამაც რუსეთს დიდი უბედურება მოუტანა.

რას იზამ, როგორც ნ. ბერდიაეტი ამბობდა, „ისტორიის საყრდენი, მისი საფუძველი ცოდვებში, შეცდომებშია. ისტორიის აზრი კი ამ ცოდვების გამოსწორებაში და მონაწილეობაში“.

რა იყო ეს – შემთხვევითობა თუ კანონზომიერება? ალბათ, ერთიც და მეორეც.

გასული წლის გაზაფხული იდგა. ახლოვდებოდა საქართველოს კულტურის დღეები საფრანგეთში. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, ამავე თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე მანანა ანთაძე საფრანგეთის საერთაშორისო ფესტივალის რამდენიმე ორგანიზატორსა და სხვა ჩამოსულ სტუმარს მასპინძლობდა.

ქართული სუფრა ვინა სთქვა უსიმღეროდო და მანანამ მათ პატივსაცემად საგანგებოდ თავისი მეგობრები მოიწვია. ქართული ხალხური სიმღერების უზადო შემსრულებელთა „შესანიშნავი სამეული“, ანსამბლ „კელაპტრის“ ტრიო: მარინე გიორგაძე, ანა ბაჯიაშვილი და ლია ხუნწარია.

პირველად ამ ორი ქვეყნის – საქართველოსა და საფრანგეთის მეგობრობის სადღეგრძელო ითქვა. ცოტა ხანიც და მასპინძლის ჭერქვეშ ქართული ტკბილხმოვანი ჰანგები დაიღვრა. სტუმრებიცა და მასპინძლებიც ერთბაშად გაირინდნენ. მღეროდა „ტრიო“, მათი საამო და ჟრუანტელის მომგვრელი ხმები თითქოს კელაპტარივით შუქს ფენდა სტუმარ-მასპინძლობის მადლითცხებულ სუფრას.

დამთავრდა სიმღერა და წუთის წინ სულგანაბულებს ერთბაშად აღმოხდათ ალტაცების შეძახილები.

პირველ სიმღერას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ასე გაგრძელდა გვიან ღამემდე. არ ეთმობოდათ ერთმანეთი.

ანა ბაჯიაშვილმა „ოროველა“ წამოიწყო და მსმენელთა აღფრთოვანებამ კულმინაციას მიაღწია. ერთ-ერთი სტუმართაგანი, ნანსის ფესტივალის დირექტორი ჩარლზ ტორჯმანი ზეზე წამოიჭრა და აღელვებულმა თქვა:

– ო, ეს ნამდვილი საოცრებაა! როგორც კი პირველი სიმღერა მოვისმინე, სადღაც შიგნით ვერტიკალი დავეკარგე და მის ჰანგებში მთლიანად ჩავიძირე. მსგავსი განცდა არასოდეს მქონია.

აქვე, ამ სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან გადნყდა „ტრიოს“ საფრანგეთში გამგზავრება.

\*\*\*

ეს იყო ორი ათეული წლის წინათ. მაშინ საქართველოს ტელევიზიას ნუგზარ ფოფხაძე ედგა სათავეში. მისი მხარდაჭერით გადაწყდა ტელევიზიის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის ჩამოყალიბება. ორკესტრს ნიკო ნადირაშვილი ხელმძღვანელობდა, კონსულტანტობას კი კირილე ვაშაკიძე უწევდა.

მათ დაწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებელი გამოუჩნდა. ოთხიოდე წელი და ანსამბლს ხალხური ფოლკლორის დიდი მოამაგე და ქომაგი ომარ კელაპტრიშვილი მოეწვინა. ომარის ოცნება იყო, ორკესტრს თავისი მომღერლები ყოლოდა. დიდი ხნის ძიების შემდეგ მიაგნო სასურველ ხმებს, ორკესტრს სახე უცვალა, ვოკალურ-ინსტრუმენტული გახადა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოზნეული ხალხური „ნანას“ მარგალიტები მძივებევით აკინძა და ვაჟების ნაცვლად მშვენიერ მომღერალ ქალთა ბაგეებით აახშიანა. ანსამბლიც „იავნანად“ მონათლა.

ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი „იავნანას“ ხელმძღვანელსა და ანსამბლ „რუსთავის“ სულსა და გულს. უღმობელმა ბედისწერამ დაადუშა „პირველი საღამური“, თუმცა დროებით, მამის კვალს მისი შვილი – მეორე ომარ კელაპტრიშვილი აგრძელებს...

ომარი ბევრს მოგზაურობდა, ანსამბლ „რუსთავთან“

# ქართული ანსამბლი სფრანგეთის წის ქვეშ



„ტრიო“: მარინე გიორგაძე, ანა ბაჯიაშვილი და ლია ხუნწარია.

ერთად რამდენიმე თვით უხდებოდა საგასტროლოდ ყოფნა და მაშინ „იავნანას“ ორკესტრის გამორჩეულ წევრს ნუგზარ ქავთარაძეს თუ ანდობდა.

სწორედ ანსამბლის წევრებისა და ომარის მეუღლის თხოვნითა და ტელე-რადიო კომიტეტის მხარდაჭერით ანსამბლის ხელმძღვანელობა ნუგზარს დაევალა.

„იავნანას“ სახელიც შეეცვალა და ომარ კელაპტრიშვილის უკვდავსაყოფად „კელაპტარი“ დაერქვა.

ახალდანიშნულმა ხელმძღვანელმა ახლებური სუნთქვა მოიტანა ანსამბლში.

უძველესი ხალხური საკრავების: ჩონგურის, ფანდურის, ჩანგის, დაირას, ჭუნირის, სალამურის, დუდუკის, ქართული გარმონის, ჭიბონისა და დოლის თანხლებით აჟღერებული ამერ-იმერის ხალხური ჰანგები ცნობილ კომპოზიტორთა, შოთა მილორავეას, მერაბ მერაბიშვილის, ჯანსუღ კახიძისა და რუსუდან ხორავას ნაწარმოებებითაც გამდიდრა და ამით „კელაპტრის“ სარეპერტუარო გამას ახალი ელფერი შესძინა.

კონსერვატორიის კურსდამთავრებული პროფესიით ვიოლონჩელისტი ნუგზარ (დავით) ქავთარაძე თითქმის ყველა ხალხურ საკრავზე უკრავს და მღერის. მის სამემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ არა მარტო ჩვენთან, არამედ საზღვარგარედაც.

ანსამბლი „კელაპტარი“  
პირველ რიგში შუაში ზის  
ანსამბლის ხელმძღვანელი  
ნუგზარ (დავით) ქავთარაძე



ხუთი წევრისაგან შემდგარი ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ურმული“, რომელსაც თავად უდგას სათავეში წარმატებით გამოდის სხვადასხვა მხარეში. ნიშანდობლივია რომ „ურმულის“ სამი მონაწილე ანსამბლ „კელაპტრის“ წევრებია. გერმანია კი მათთვის ლამის მეორე სამშობლოდ იქცეს.

მხოლოდ ორ სათაურს გაგაცნობთ გერმანული პრესიდან. „ვირტუოზი მუსიკოსები საქართველოდან“, „ეს პაგანინები დაგავინყებენ ნამდვილ პაგანინს“...

წარმატებები იოლადა არ მოდის. ასეთ აღიარებას უთუოდ დამსახურება უნდა.

\*\*\*

„ქართული ხმები ცეცხლს ანთებენ კუშოს ტაძარში“ – ეს პუბლიკა კი „კელაპტრის“ ტრიომ დაიმსახურა საფრანგეთის ნანსის ფესტივალზე, რომელიც პარიზში, ატევანის თეატრში ორი დიდი სოლო კონცერტით დასრულდა.

თითქმის სამი კვირის განმავლობაში ქართულ ხმებსა და ჰანგებს ალტაცებაში მოყვდა საფრანგეთის სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ათასობით თავყვანისმცემელი.

„ტრიო კელაპტარმა“ წარმოადგინა საქართველო მთელი თავისი სინაზით, ხანდახან სევდით და განსაკუთრებით მისი მომღერლების მაღალი პროფესიონალიზმით, რომლებმაც გადაიყვანეს მაყურებელი იმ ცისქვეშეთში, სადაც ახლა მეტის აღმოჩენას, მეტის გაგებას ცდილობენ“... „მათ ხმაში ეშხი, ხოლო შავ, ღრმა თვალეში თავიანთი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული ჩანს“... წერდა საფრანგეთის „რესპუბლიკელი“.

ანა ბაჯიაშვილის, მარინე გიორგაძისა და ლია ხუნნარიას შეხმატკბილებულმა „ტრიომ“ უსაზღვრო სიხარული მიანიჭა საფრანგეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს.

– ჩვენ ვხედავდით, როგორ იცრემლებოდნენ ისინი, როგორ მოდიოდა მათ თვალთაგან სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი, – იგონებს იმპრესარიო მანანა ანთაძე, რომელიც ამ ხნის მანძილზე მათ გვერდით იყო და ჩვენი მომღერლების წარმატებებსა და გამარჯვებებს იზიარებდა.

დასანანია, რომ „კელაპტრის“ 15 კაციანი ანსამბლი ამა თუ იმ მიზეზით ყოველთვის ვერ ახერხებს ერთად შეკრებას ან გამგზავრებას, მაგრამ მათი კვარტეტი, ტრიო და კვინტეტი ღირსეულად ავსებს და სრულყოფს „კელაპტრის“ სახელს. სცენაზე მათ გამოჩენას ყოველთვის ტაში-

თა და ყვავილებით ეგებებიან. ეს კი ყველაზე დიდი სარწყაო ხელოვანისათვის. განსაკუთრებით კი იმ ახალი თაობისათვის, ვისზედაც დიდ იმედებს ამყარებენ, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი, ასევე ხალხური შემოქმედების მოამაგენი თუ დამფასებლები.

შარშან ზაფხულში მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალზე და საფრანგეთში საქართველოს კულტურის დღეებზე „კელაპტრის“ ტრიოსა და კვარტეტის მონაწილეობა ახალი გამარჯვებებისა და წარმატებების წინაპირობაა.

შემოდგომაზე კვლავ ორ დიდ ფოლკლორულ ფესტივალში მიიღებენ მონაწილეობას.

ისინი ხომ სახელოვნად განვლილი ოცწლიანი გზიდან მოდიან, წინ კიდევ გრძელი და ძნელი გზა აქვთ გასავლელი.

კელაპტარით წმინდა და ნათელი იყოს მათი სავალი.

**ნუნუ მაღრაძე**

**ბოლოთქმა:** შეიდ მაისს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში „კელაპტრის“ საიუბილეო კონცერტზე თავშეყრილ ასობით ქართული ხალხური სიმღერის თავყვანისმცემელს დიდხანს გაჰყვებათ ცით მოვლენილი ჰანგებისა და ღვთიური ხმების გულშიჩამწვდომი, მართლაცდა საოცარი ტკბილხმოვანება.

სცენაზე, თითქოს ყველას თვალწინ გაცოცხლდა და შრუანტელისმომგვრელად ახმიანდა საქართველოს ყოველი კუთხის ხალხური სიმღერებისა და მელიოდიების მძივებად ასხმული ხელთუქმნელი მარვალიტები.

ბევრის მომსწრე და მნახველი ამ ლამაზი შენობის თაღებქვეშერთად ზეიმობდა საქართველოს წარსული და დღევანდელი.

სცენაზე „ინვოდა“ „კელაპტარი“ და საამოდ იღვენთებოდა მისი სანთელ-საკმეველი.

იყო ყვავილების ზღვა, სიხარულის ცრემლები და ალტაცების შეძახილები...

იდგა მშვენიერი გაზაფხული და ორი ათეული წლით დახუნძლული ხვავრიელი შემოდგომა.



**ნუნუ კუპრაიშვილი**



რონალდ გეგენფურტნერი, ხუტა ბერულავა და მარეკ რომანჩუკი პატარა პაციენტთან.

160-ზე მეტი განკურნებული პატარა, 29 ახალი პაციენტი და ბოლოს, 17 თებერვალს სამკურნალოდ გამგზავრებული კიდევ 18 ბავშვი... და ეს ყველაფერი კეთდება უფასოდ, ჩვენი საბავშვო ფონდის გერმანელი პარტნიორის ბატონ რონალდ გეგენფურტნერის თანადგომითა და შემწევობით. 1994 წლიდან მოყოლებული გერმანელი მედიკოსები - ჩვენი პატარების მხსნელები - 28-ჯერ ესტუმრნენ საქართველოს.

აი, რას მოგვითხრობს საქართველოს საბავშვო ფონდის თავმჯდომარე ბატონი ხუტა ბერულავა:

- ჩემი ბავშვობის გადასახედიდან კარგად ვგრძნობდი იმ საზრუნავსა და სატკივარს, რაც ჩვენს ნორჩ თაობას ასე მძიმედ დაანვა თავს. საბავშვო ფონდს ხომ საქველმოქმედო საქმიანობასთან ერთად ჩვენი პატარების სულიერების

„ნუ დაფარავ შენს სახეს ჩემგან, ჩემი გაჭირვების უამს მომაკაყარი“...

გემოდღვრავს ბიბლია და განა შეიძლება, უფლის წინაშე ნავედრები ტანჯულთა ეს ამონათქვამი გულთან ახლოს არ მიიტანო, არ შეისმინო, არ შეიგრძნო... მეტადრე თუ ეს ვედრება ბავშვის ბაგეთაგან მეტყველებს, მისი ჭირისუფლის გულის ვარამს გვიმხელს და შველას ითხოვს შენგან...

ვის შეეძლო, ასე ახლოს მიეტანა გულთან ობოლი, მიუსაფარი, უმწეო თუ ავადმყოფ ბავშვთა სატკივარი თუ არა მწარე და ტკივილიან ბავშვობაგამოვლილ პოეტს, ადამიანს, რომელსაც ჯერაც არ განელებია იმ ავადმოსაგონარი წლების მძიმე ნალველი, წვეთ-წვეთობით რომ უწამლავდა ყველაზე სანუკვარი და გაუხუნარი ბავშვობის წლებს.

ამიტომ იხედება ასე სიღრმისეულად ბავშვის სულიერ სამყაროში და სხვებსაც შთააგონებს:

„როდესაც ხედავ, პატარა ტირის, შეჩერდი წამით და შეუშრალე ალერსით ტკბილით ცრემლების წამი. როდესაც ხედავ, არ ტირის ბავშვი, შეჩერდი მაინც, ამოიკითხე მის მეტყველ თვალში, ახარებს რაიც, კეთილი სიტყვით გაათბე და კვლავ შენი გზით წადი, შვილთაშვილს შენსას დაურწევს აკვანს ამ სიტყვის მადლი“!, მითუმეტეს, თუ სიტყვის მადლს საქმის მადლი შეეწევა.

და ასეთი სიკეთე არა ერთი და ორი უკეთებია საქართველოს საბავშვო ფონდსა და მის უცვლელ ხელმძღვანელს ბატონ ხუტა ბერულავას.

ათი წელი... ბავშვებზე ზრუნვასა და ფიქრში გატარებული ათი წელი მიილია მის თვალწინ, და ახლა, როცა წარსულის ტკბილ-მწარედ განვლილ გზას გონების

# პატარა პაციენტების



სტუმრად „ფრიდენსდორფში“.

თვალს გადაავლებს, ასობით გაბედნიერებულ კერაში შეაღწევს მისი თვალსაწიერი.

თუნდაც ერთ ბავშვს, ერთ ოჯახს აჩუქო სიცოცხლე, დაუბრუნო ჯანმრთელობა, მიანიჭო სიხარული, უდიდესი ბედნიერებაა, მითუმეტეს, როცა ასეთი ბევრია და მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს.

ამაღლებაზე ფიქრი და ავადმყოფი ბავშვების განკურნებაზე მუდმივი ზრუნვა ევალება.

ჩვენი ყველაზე დიდი სატკივარი ის ავადმყოფი ბავშვებია, რომელთა მკურნალობა ჩვენთან ამა თუ იმ მიზეზით (იქნებ სამედიცინო რეფორმის წყალობით) ჯერჯერობით შეუძლებელია; თუმცა არსებობის ათი წლის მანძილზე რამდე-

ნიმე ბავშვის საზღვარგარეთ გაგზავნა ჩვენი ხარჯებით მაინც შეუძლებელი, მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებდა.

მუდმივმა ძიებამ გერმანიაში, მშვიდობის საერთაშორისო სოფელში – „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალში“ მიგვიყვანა, სადაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ქომაგად გერმანიის ბავშვთა მშვიდობის საერთაშორისო სოფლის დირექტორი რონალდ გეგენფურტნერი, მისი თანაშემწეები და დამხმარეები: მარეკ რომანჩუკი, ჰალინა მიკა, მარია ლეგნერი, ჰილდე ჰეინერი და კიდევ სხვები მოგვევლინა.

ამავე დროს, მოსკოვში, საბავშვო ფონდების საერთაშორისო ასოციაციაში, რომლის პრეზიდენტია გამოჩენილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ბატონი ალბერტ ლიხანოვი, გულის მანკით დაავადებულ ბავშვთა სიები გაიგზავნა,



რომლებიც სათანადო შემონმების შემდეგ საოპერაციოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგზავნებოდა. ერთი ბავშვი უკვე განიკურნა და დაბრუნდა ამერიკიდან. უახლოეს დროში ამავე მიზნით ქალაქ ერევანში, სადაც ამერიკისომხეთის სამედიცინო ცენტრია გახსნილი, გაიგზავნა სამი ავადმყოფი.

ადრე ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობა თითქმის შეუძლებელი იყო. ბოლო დროს კი მედიცინის ამ მიმართულებით განვითარებამ მოლოდინს გადააჭარბა. ალბერტ ლიხანოვის, აკადემიკოს ქსენია სემიონოვას და სააქციო საზოგადოება „აიურვედას“ პრეზიდენტის ევგენი ფირერის შემწეობით შეღავათიან ფასებში (20 000 ამერიკულ დოლარად) შევიძინეთ ამ დაავადების სამკურნალო ეფექტური საშუალება – კოსმონავტური სკაფანდრები, რომ არა ბატონ ლევან მამალაძის, ბატონ გურამ ქაშაკაშვილის, ბატონ ჯემალ ონიანის უდიდესი დახმარება, მარტონი ვერას ვავხდებოდით.

1996 წლიდან ბავშვთა პირველი საავადმყოფოს ბაზაზე მოქმედებს საბავშვო ფონდის სარეაბილიტაციო ცენტრი „ბაია“...

მარშან ამ ცენტრის ფილიალი ბათუმშიც გაიხსნა, რომელსაც აჭარის საბავშვო ფონდის თავმჯდომარე, ჩვენი

ძვირფასი მეგობარი რენა სარიშვილი ხელმძღვანელობს. ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარებაში დიდი მხარდაჭერა გავგვინა ბატონმა ასლან აბაშიძემ.

მაღე ცენტრი შეიქმნება ქუთაისსა და წყალტუბოში.

საქართველოს საბავშვო ფონდი წლების მანძილზე მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევა ობოლი, ავადმყოფი, ინვალიდი ბავშვების და მრავალშვილიანი ხელმოკლე ოჯახების, მარტოხელა დედების დასახმარებლად, დღეისათვის ფონდში აღრიცხვაზე მარტო თბილისში მცხოვრები 2500-მდე ოჯახია, სადაც იზრდება ორი, სამი, ზოგან კი უფრო მეტი ობოლი ბავშვი.

უკანასკნელი წლების მანძილზე გაცემულია დიდი რაოდენობით ჰუმანიტარული ტვირთი – საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მედიკამენტები, ინვალიდის ეტლები, ყავარჯნები, შესახვევი მასალა. ყველაფერი ეს მოხერხდა ჩვენი ღვთისნიერი პარტნიორის რონალდ გეგენფურტნერის უანგარო დახმარებით.

ნუცუბიძის ფერდობზე მდებარე ბავშვთა სოფელსაც (რომელიც შემდგომ საქართველოს კულტურის ფონდს გადაეცა) საქართველოს საბავშვო ფონდის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი.

ჩვენი, ალბათ, ყველაზე უფრო მასშტაბური საქმე იქნება საქართველოში ბავშვთა სოფლის აშენება, რომლის ხარჯვებაც „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალი“ გაიღებს. პირველ რიგში აგვიშენებენ ორთოპედიულ ცენტრს, რომელიც ორგანული ნაწილი გახდება ამ გრანდიოზული სოფლისა.

ჩვენ აქ მეტწილად უცხოელი მეგობრების თანადგომაზე მოგიტხოვრებთ, თვით ფონდის კეთილ საქმეთა აღნუსხვა კი შეუძლებელია, თუმცა კეთილი საქმე იმითაც არის კეთილი, რომ იგი რეკლამას არ საჭიროებს, მითუმეტეს, ისეთი სათუთი რამ, როგორიცაა გასაჭირში მყოფთა დახმარება.

ძალას გვმატებს ისიც, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ. მე და ჩემს მოადგილეს იამზე მაჭავარიანს გვერდში გვიდგას მთელი კოლექტივი, ფონდის დამფუძნებელთა და მოამაგეთა დიდი არმია, განათლების მთავარი სამმართველო, მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი, სახელმწიფო მინისტრი, ქალაქის მერი, პარლამენტარები, ენთუზიაზისტები; ჩვენ ვგრძნობთ ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მუდმივ ყურადღებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი ბავშვის ტრავმედიასა და გასაჭირს ყველა იზიარებს, ერთი მათგანის ბედნიერება და სიხარული, ყველა ჩვენგანის ბედნიერება და სიხარულია.

ამიტომაც ვუმკლავდებით ადვილად ყველა სადარდელსა და სატკივარს, ამიტომ შევეგუეთ ჩვენი ისედაც მწირი და მიზერული ხელფასის მიუღებლობასაც.



ჩვენი პატარები გერმანიაში.





ბედნიერი შეხვედრა.

ცვდილობით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ იმ პატარებს, რომლებიც ტკივილისაგან და (რა დასაძალია) ზოგჯერ შიშისაგანაც იტანჯებიან და ჩვენ გაფართოებული თვალეზითა და იმედით შემოგვყურებენ, ბედნიერი და უზრუნველი ბავშვობის იმედი დავუბრუნოთ, მათ მშობლებსა და ახლობლებს კი შვილის განკურნებით გამოწვეული უდიდესი სიხარული მივანიჭოთ.

და როცა ყველაფერი კარგად მთავრდება, ჩვენ მათთან ერთად მეცხრე ცაზე დავფრინავთ...

მეცხრე ცამდე კი საკმაოდ დიდი და რთული გზაა სავალი.

ამაში ადვილად დარწმუნდებით, როცა საბავშვო ფონდის ექიმს მედია აბრამიას მოუსმენთ. როცა ის ავადმყოფ ბავშვებზე საუბრობს, თვალთაგან ცრემლი არ შორდება. ზოგჯერ ეს სიხარულის ცრემლია, ზოგჯერ კი იმ ტანჯვა-წვალებისა, რომელიც მათთან ერთად გამოუვლია, ის თავის პატარა პაციენტებს არა ერთხელ ახლდა გერმანიაში და ექიმობასთან ერთად დედის მაგივრობასაც უწევდა.

ან კი რა დაავიწყებს სულ პატარა, წლისა და სამი თვის რემი მგალობლიშვილსა და ორი წლის სერგო ჭიტაძეს – ორივენი მკერდზე მიხუტებული რომ მიჰყავდა გერმანიაში თვითმფრინავით, როგორ ებლაუჭებოდნენ ეს პატარები მის მკერდს და დედის რძესა და სურნელს ექებდნენ... როგორ შეიძლება ფონდებმა გურჯაანის ბავშვთა სახლის აღსაზრდელი მადონა ტოპოლიანი დაივიწყონ, ტირილით რომ ამბობდა, – მე უპატრონო ვარ და გერმანიაში არავინ წამიყვანსო.

მადონა ოთხივე კიდურის ანომალიის დიაგნოზით სამი წელი იწვა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ორი ყავარჯნით ძლივს დადიოდა, გერმანელებმა სწორედ საავადმყოფოში „აღმო-

აჩინეს“ გოგონა, წაიყვანეს და სასწაული მოახდინეს.

დღეს იგი ჟურნალისტიკისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სტუდენტია და ვერაფრით გაარჩევ თანატოლებისაგან.

ამავე ინსტიტუტში სწავლობს ჩოხატაურელი ელიკო რამიშვილი. მას ქვედა კიდურის ოსტეომიელიტი ჰქონდა. მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მის სიცოცხლეს მხოლოდ ფეხის ამპუტაცია თუ იხსნიდა... მშობლებმა რადიოთი მოისმინეს საბავშვო ფონდის საქმიანობაზე და მაშინვე მას მიაშურეს.

ორი წელი უმკურნალეს ელიკოს გერმანიაში და სრულიად გამოჯანმრთელებული დააბრუნეს სამშობლოში.

ოზურგეთელ დავით დობორჯგინიძეს ქვედა კიდურის ძვლის კისტა ჰქონდა. რა გზებს არ მიმართავდა ოჯახი, როგორმე ეხსნათ შვილი გასაჭირისგან. მისი დედა, ექიმი ქალბატონი ვაშლს კრუფდა, რომ გაეყიდა და შვილის სამკურნალოდ რაიმე სახსარი ეშოვათ. იგი ხიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაინვალიდა. ერთი იმედი აცოცხლებდა, თავისი შვილი მაინც ენახა გამოჯანმრთელებული და ბედნიერი. ასეც მოხდა, დათოს გამოჯანმრთელებისათვის გერმანელმა ექიმებმა არაფერი დაიშურეს. მარტო მისი მკურნალობა 80 000 მარკა დაჯდა.

ასევე რთული მდგომარეობა ჰქონდა მარიამ სულხანიშვილს, ნუგზარ ცინცაძეს, ბელა სვანიძეს, ლია ლალიევას... მათი რიცხვი საკმაოდ ბევრია, მარტო აფხაზეთიდან ლტოლვილ 60 ბავშვს უმკურნალეს გერმანიაში.

ექიმი დაუსრულებლად საუბრობს ყველა მათგანზე, ზეპირად, ისტორიაში ჩაუხედავად ახსოვს თითოეულის დიაგნოზი და მკურნალობის შედეგები. უმალესი კატეგორიის ექიმის თვალთახედვის არეს არაფერი გამოეპარება. თავად ერთი შვილის დედას, შეიძლება ითქვას, უამრავი შექმნილი შვილობილი და პაციენტი ჰყავს...

ასეა აქ მომუშავე სხვა თანამშრომლებიც. ყველა მათგანს თავისი განსაზღვრული ფუნქცია და მოვალეობა აკისრია. ისინიც დიდი ერთგულებითა და თავდადებით ასრულებენ ამ მეტად რთულ და უაღრესად სათუთ მისიას. მათ შორის ერთი ჟურნალ „დროშის“ აღრინდელი თანამშრომელია – თავმჯდომარის თანაშემწე მზია ნადირაძე.

აი, ეს არის ნამდვილი ქველმოქმედება. და რაოდენ გულსატკეპია, რომ მათ შრომისა და თავდადებას ყველა ერთნაირად ვერ ხედავს...

რამდენ კეთილ საქმეს აკეთებენ გერმანელები – „ფრიდენსდორფ ინტერნაციონალის“ თანამშრომლები ჩვენთვის და ჩვენი პატარებისათვის, როგორ ცდილობენ მათ უცხო გარემოში ყოფნა და ავადმყოფობის დაძლევა გაუადვი-

ლონ. მშობლების მაგივრობას უწევენ და როგორც იტყვიან, „ცივი ნიავს არ აკარებენ“. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეგვიცნეს, დაგვინახეს, გავგიგეს, გვენდნენ, შეგვიფარეს და გვიპატრონეს...

ჩვენ კი ზოგჯერ ერთუროს არ ვინდობთ, იმდენ ტკივილს და უსიამოვნებას ვაყენებთ, მერე კი ეგ ყველაფერი სანანებლად გვიხდება, ამიტომაც, როგორც თავად ბატონი ხუტა ერთ-ერთ ლექსში ბრძანებს: არ უნდა განწყდეს ჩვენი სიმშვიდის სიმი და შურისგებად ესეც იკმარებს.

– ყველაზე ბედნიერად თავს „დროშაში“ ვგრძნობდიო, – თქვა საუბრის დასასრულს, ამას აქვს, ალბათ, თავისი მიზეზები.

დროთა განმავლობაში გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორის, „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის, გამომცემლობა „განათლების“ გენერალური დირექტორის, ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორის, მწერალთა კავშირის მდივნის, ამჟამად კი ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მოღვაწეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარის, საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარისა და რაც უმთავრესია, ცნობილი პოეტის ხუტა ბერულავას განვლილი ცხოვრება ღირსეულად უნდა შეფასდეს, ამას ის უთუოდ იმსახურებს.

დღეს კი ერთგული მეგობრისა და მეუღლის დაკარგვით გამოწვეულმა მწუხარებამ ერთგვარი დალი დაამჩნია მის ცხოვრებას, მაგრამ არ გამტყვარა, სულით არ დაცემულა და ისევ ბევრი კარგი ჩანაფიქრის ხორცშესხმასა და პოეტური შემოქმედების აღმასვლავეცინებობს.

მისი მთავარი საზრუნავი კი ისევ და ისევ ბავშვები და მათი ბედნიერი მომავლისათვის სამსახურია.

„წარმატებას ვუსურვებ აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის თავისი კეთილშობილი მიზნების განხორციელებაში.

ჩვენი ქალაქების, რაიონების, სამინისტროების, წარმოება-დანესებულე-ბათა მესვეურებს ვთხოვ, დაუჭირონ მხარი საბავშვო ფონდის ღონისძიებებს ობოლი და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის დახმარების საქმეში.

იმედი მაქვს, ჩვენი სახელოვანი ბიზნესმენებიც, თავიანთი დიდი წინაპრების – ზუბალაშვილების, სარაჯიშვილების, ხოშტარიების და სხვათა მაგალითისა-მებრ, ხელს გაუმართავენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ნორჩ თვისტომებს“.

ვერაფერს დავსძენ, ბატონ ელუარდ შევარდნაძის ამ მოწოდებას „დროშელე-ბიც“ სიამოვნებით ვუერთდებით.

● კვირადღეა. ბაზრის თავში, აკაკებქვეშ გამართულ ხის დახლებთან ბოდბისხეველ მეჭურჭლეებს გამოუფენიათ თავიანთი ნახელავი.

ბაზარი თავისი ჩვეულებისამებრ ბორგავს, ყაყანებს. თიხის ჭურჭლეულობასთან კი არ იგრძნობა მაინცდამაინც მუშტარმრავლობა. მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს ხელის დიდოსტატური მისმა-მოსმით წითლად მოხატულ თიხის დოქებსა და ხელადებს.

გამოფენილი ჭურჭლის გვერდით დაბალ სკამუნაზე ჩამომჯდარი შეხნიანებულ მეჭურჭლე ელგუჯას თავისივე კბილა ნაბდისქუდიანი ძველი ნაცნობი მიუახლოვდა. თვალები ისე უბარბაცებს, ეტყობა, ცოტა გადაკრულშია. თან ერთგვარი თვითკმაყოფილება აწერია ალალ, ერთობ ჯიუტ პირისახეზე – ახალნაყიდი ცხენის ცა-



# ლინასჭიური

ლული და გამოქნილი ტყავისაგან დამზადებული უნაგირის აღკაზმულობისთვის რაღაც ყიზილბაშური მედიდურობით გაუყრია ხელი.

– გამარჯობა შენი, მეჭურჭლე კაცო! – რიხიანად შესძახა ახალმოსულმა. რა იყო, რა ცხვირპირი ჩამოგტირის?!

– ეჰ, სამდერალ-საცეკვაო რაღა მაქვს, რო?

– რა, არ გეყიდება ჭურჭელი?

– ეჰ, ეგე, ვერა ხედავ – აბა, სად მეყიდება?

– როგორ თუ არ გეყიდება?! მა ეგ რა იყო – ეხლა არ წაიღო კოკა?!

– ვაიი, – სახე დაემანჭა ძველ მეჭურჭლეს, – აი, დღე უკვე ჩამოიძაფა და დილას აქეთ ეგე, მეექვსე ნაჭერი ძლივს გაიყიდა – ეს ვაჭრობაა?... შენ ამას ვაჭრობას ეძახი!

– ვაჭრობაა, მაშ, რა არი? – არ შეეპუა ძველი ნაცნობი.

– ეე, ვაჭრობა იცი როდის იყო ხოლმე, შაქრო, – ძველი დრო ოხვრით გაიხსენა ელგუჯამ, – ზოგჯერ გამორეულა, რომ ერთი გამოღება – ხუთასამდე ნაჭერი! – ორ-სამ ვაჭრობაზე გამყიდვია! ახლა კი დღეში ხუთი, ექვსი, ჰა და ჰა, ათი ნაჭერი! ისიც უმეტესად საყვავილე ქოთნები გავყიდო! აბა, ასე რა დახლი უნდა დამიჯდეს?

მეჭურჭლის ჩივილმა ირგვლივ შემოკრებული კაცები ღრმად ჩააფიქრა.

– აბა, ახლა რაღა მოხდა, ძია კაცო? – მიამიტურად იკითხა ახალგაზრდა კაცმა, რომლის გამომეტყველება და მოღური ჩაცმულობა მის ქალაქელობას ამტკიცებდა.

– მაგას რაღა კითხვა უნდა, შვილოსან! – მიუგო მეჭურჭლემ, – დროება გამოიცვალა, ხალხი გადატაკდა, კაპიკის გასაქანი აღარსაითა აქვთ... თანაც უფრო რკინის კანისტრებსა და პლასტმასის იაფფასიან ყაბებს ეტანებიან.

– ჰაი გიდი, რა დღეს მოვესწარით! – სინანულით გააქნ-გამოაქნია პატარა, მოხდენილი თავი ჩია ბერიკაცმა და გვერდზე ზიზლით გადააწიტა. უანგიან კანისტრასა თუ პლასტმასის ყაბსა და თიხის დოქში ნაღვომ ღვინოს, მაშ, ერთნაირი გემო შერჩება, კაცებო?

– ეჰ, რა შედარებაა!.. პლასტმასა, რკინა და რეზინი თიხასთან რა სახსენებელია! პლასტმასა თიხასთან სად მივა!.. თიხის დოქი ხო ღვთის გაჩენილია!.. – ფიცხლავ გაისმა აქეთ-იქიდან.

– ეს მამაძალი ბაღლებიც რომ ჭკვიანები დახდნენ! – ერთობ უკბილო ხუმრობა გამოუვიდა ერთ აყლაყუდა ჯეელს, განსაცვიფრებელი

დაგემოვნებით რომ სუტავდა მერალ „ასტრას“, – ეტყობა ძველებურად აღარ ამტვრევენ ჭურჭლეულობას, თორემ საცა სამართალია, ამ კოკა-დოქებზე გრძელი რიგი უნდა იდგეს. არა?

– ეჰ, როგორ არ ამტვრევენ, ახლანდელი ყმაწვილებიც ემტერებიან და ამტვრევენ! – უმარილოდ გაელიმა მეჭურჭლეს, – მაგრამ ძველებმა მამაპაპური ხერხი, დახიზვა გაიხსენეს ამ გაჭირვების ჟამს, ანდა, როგორც წელანაცა ვოქვი, პლასტმასეულობას ეტანებიან!

– პირდაპირ გასაკვირია, ამ ღვინის ხელადებს მაინც რატომ არ უჩანს მყიდველი, – შენიშნა ერთმა ჩაკურატებულმა ყასაბმა, რომელიც თბილისიდან სპეციალურად ჩამოსულიყო საქონლის ხორცის დიდი პარტიის შესასყიდად, თუკი, რა თქმა უნდა, თავისთვის სასურველ ფასად აიჩენდა სადმე, – სხვა რაც უნდა იყოს, ე კახეთი ხო ღვინისა და ვენახების ქვეყანაა?

– ვენახები სადღაა, ძმაო?! – მოუჭრა მზე-ქარში გამუდმებული ყოფნისაგან ნახშირივით გაშავებულმა ტიბაანელმა მეჯოგემ, – კოლექტივის ვენახები რო დაინაწილეს, ხალხს ეგონა, ეგ არი, ავშენდითო! პირველ ორ-სამ წელს კიდევ მიიღეს რაღაცა, მერე კი ეს უტრანსპორტ-უტექნიკობაო, ეს შორი სავალიო, ეს შხამ-ქიმიკატების უშოვრობაო და ასობით ჰექტარი ის აბიბინებული ვენახების დიდი ნაწილი სულ აბეჩხარი გახდა!.. თანაც ეს რაღაც უცხოური წამალი – ქლოროფისია თუ რაღაც ჯანდაბა, ბლომად შემოიზიდეს. აბა, მე ვერ გეტყვი გადაჭრით: მტრობითა და მავნებლობით გვიყვეს თუ ჩვენიც სირეგვნიტ მოგვივიდა და ღოზები ზუსტად ვერ დავიჭირეთ: ნახევარი ვენახები სულ ზეზეურად გაახმო! ჰოდა, ხელადები ვიღას რად უნდა, რაცა გვქონდა, ობობებმა იმათშიც ქსელი გააბეს!

კაცებში უგემური სიცილი გამოიწვია მეჯოგის მიერ ერთობ გაზვიადებით დახატულმა ნაღვლიანმა სურათმა და ისევ დუმილმა დაისადგურა.

– ჰოდა, თუ მუშტარი მაგრერივად შეგითხელდა, შენც აქ რაღას უზიხარ ცუდუბრალოდ?! – ჩაკეითხა ელგუჯას შაქრო, – თავი დაანებე მაგ თიხის თითხნა-გლესასა და სხვა რამ ხელობა დაიჭვი!

– მაგას ვის ეუბნები, ბიჭო?! – წარბშეხრით ცერად შეხედა მეჭურჭლემ ალა-ალაზე მჩმახავ შეზარხოშებულ ძველ ნაცნობს. მერე ხელადას წასწვდა, აიღო, ხელში ჩვილი ბავშვივით შეათა-

მაშა და სიყვარულით დააცქერდა, – სულ პატარა ბიჭი ვიყავი, მამაჩემმა თიხა რომ მომახელინა და პირველი ხელადა გამომაყვანინა... თითქოს გუშინ იყო, ისე მახსოვს!.. აი, მაშინ შევფიცე თიხას ერთგულება და ამ სიბერისას ისე როგორ უნდა გავტუტუცდე, რომ ამას ვუღალატო!.. მაშინ ორივე ხელი მაჯაში არ უნდა მომტყდეს!!!

ელგუჯამ ეს რო თქვა, ხელადას ყელში აკოცა და ისევ თავის ადგილას დადგა.

ძველმა მეჭურჭლემ სრული სიმართლე თქვა. მამამისი, აბრამ მღებრიშვილი განთქმული მეჭურჭლე იყო და თავის ორ ვაჟს – ზურაბსა და ელგუჯასაც შეასწავლა ეს ხელობა. უფრო ზუსტად, რაკი მათ ჯიშსა და ჯილაგს მეჭურჭლეობის მუღამი და ალლო ძვალ-რბილში მოღვმით ჰქონდათ გამჯდარი, ბიჭები თავად გაჰყვნენ მამის კვალს და ოქროსხელიანი ოსტატების სახელიც ძალე იშოვეს.

ელგუჯას შვილმა, ორმოც წელს მიტანებულმა თამაზმა საგარეჯოს სამშენებლო ტექნიკუმი დაამთავრა თავის ღროზე, მაგრამ დინასტიური მიდრეკილება მაინც თავისას შვრება: ცამეტი წლიდან მოკიდებული ისიც მეჭურჭლეობას მისდევს და ნიადაგ მამას უდგას მხარში. მთელ ქიზიყში მათ კარგად იცნობენ, როგორც თიხის მესაიდუმლეებსა და გამოცდილ მეჭურჭლეებს. ბოღბისხევში ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა დაფიქრება – შეყოყმანების გარეშე მიგასწავლით.

– ვინა? მეჭურჭლე ელგუჯა? აგერ, ზარის წყლის ცოტა ქვემოთ, კოკილაანთ უბანში ცხოვრობენ!

საგვარეულო სასახელო ტრადიცია, როგორც ეტყობა, არ გაწყდება და გაგრძელდება. თამაზს ორი შვილი ჰყავს – თოთხმეტი წლის გუჯა და თერთმეტი წლის თინიკო. გუჯა კარგად ცეკვავს და თან მოქანდაკეობაზე ოცნებობს, გოგონა მუსიკითაა გატაცებული... თუმცა როცა პაპა ჩვეულებისამებრ საქმიანობს, ისინიც სულ მასთან ტრიალებენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ჭურჭლის გამოყვანაში დახელოვნებულ დიდოსტატს გაჯიბრებასაც კი უბედავენ ხოლმე. ეს კი, თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

თუმცა, როგორც იტყვიან ხოლმე, ვნახოთ, რას მოიტანს მომავალი.

# ის, რას უხალად უხალა...

## მაკაინაშვილი



მიცემული ჩექმები მაინც ავსტრიული იყო, ასე მალე ვერაფერს დააკლებდა. ამ შენს ძირგავარდნილ ფეხსაცმელს ხომ აჯობებს?!

ნუცას ყოველთვის ალიზიანებდა, ამისთანებზე რომ ჩამოვარდებოდა საუბარი. აიღენებოდა, ბოლმისაგან გაიფხორებოდა, მაგრამ ხმას არასოდეს ამოიღებდა. ცოტა ხანში გადაუვლიდა, ისევ დაითაფლებოდა, მერე სამზარეულოში დატრიალდებოდა, არაფრისაგან რალაცას მოამზადებდა და თვითონვე უკვირდა, როგორ ახერხებდა ამას.

გიორგის უფრო დიდხანს გაჰყვებოდა ხოლმე უგუნებობა, ისევ იმ თემას უბრუნდებოდა და მანამდე არ შეწყვეტდა, სანამ ნუცას მარტივ მამრავლებად არ დაშლიდა.

– რა უყავი, ქალო, ჩემი პორტფელი, ვის აჩუქე? აივანზე სკამი რომ იდგა, ის სადღაა? შენსას მაინც არ იშლი: „ყვავს რა ჰქონდა, ბუზს გაჰქონდა“, – ისეა შენი საქმე.

– კარგი ახლა, შენ სხვა რამე გახრჩობს. გიცნობ, გიცნობ, შენი გულის პატრონს ეს ნაკლებად უნდა გადარდებდეს. სჯობს მითხრა, რა დაგემართა, თორემ ვის რა მივეცი, რა და როდის, ეგ წარსულს ჩაბარდა. ეჰ, ნეტავ მქონდეს კიდევ რამე, თორემ ვინ მამაძალი... რა ქნას ხალხმა, თუნდაც ელზამ. დაგიჩემებია, თურქეთში ისე დარბის, როგორც გუგული ზესტაფონშიო... შენ გგონია, ადვილია და სახალისო თურქეთში წანწალი? მერე-და იცი, რა ფასად უჯდება ეს ჩაცმა-დახურვა. სანყალი, ისე გაულახიათ ვილაც რეკეტიორებს...

– ვისა?

– არ ვიცი, სწორად გამოვთქვი თუ არა, მაგრამ ასე ეძახიან ბანდიტებს და ავაზაკებს. შეცვენილან ავტობუსში და ყველაფერი წაურთმევით მგზავრები-სათვის, ელზას წინააღმდეგობა გაუნწევია, საცოდავი ისე დაუღილავებიათ, ქუჩაში ველარ გამოდის. რა ეშველება, რით უნდა არჩინოს ოჯახი? ქმარი უკულმართის ერთია, მთელი დღე უსაქმურად აგდია ეზოში, არამზადა მუქთახორაა. შვილებისათვის რას არ აკეთებს ადამიანი. ის კი...

– ოლონდ მშვიერი არ იჯდე და სულ ერთია, რა გზით იშოვი ფულს, არა?

– ჩუ, ჩუ, გაჩუმდი. არ თქვა მეტი არაფერი. შენ თუ პროფესორი და ინტე-

– რა გატირებს, გიორგი? გაბუტვის დროა ახლა? ადექი, პურია მოსატანი, ნავთიც.

– არ ნავალ! – ბავშვივით გაჯიუტდა გიორგი, კოპები შეჰყარა.

– აბა, მე წავიდე? არ შეგრცხვება? ხომ იცი, ფეხსაცმელში წყალი შემდის, კარგი ამინდი მაინც იყოს, მე წავიდოდი.

– ახია შენზე, სახლში არაფერს აჩერებდი. იმას არა აქვს, ამას უჭირს, მე კიდევ ვიყიდიო. ვინ გეხევენებოდა, თითქმის უხმარი ჩექმები ელზას რომ აჩუქე?

ახლა ხომ გამოვადგებოდა.

– ვინ იფიქრებდა, ვინ. ამას როგორ წარმოვიდგენდი მე უბედური, რომ ფეხსაცმლის ფული კი არა, პურის ფულიც სანატრელი გამიხდებოდა.

– ისე, ნუცა, არ გამიბრაზდე და ელზას სხვათაშორის უთხარი, თუ არსებობს, შენი ნაჩუქარი ჩექმები, უკან დაგიბრუნოს, იმას ნამდვილად არ სჭირდება. მგონი თვეში ბარე ხუთ-ექვსჯერ მაინც დადის თურქეთში. ისეთი ჩაცმულ-დახურულია, თვალი დაგრჩება. ის შენი

ლიგენტი ხარ, იმიტომ არაა, შიმშილისაგან თავბრუ რომ გესხმის. შენი ტიტულებითა და ჩემი ნოდებებით, ვხედავ, რაც გვიჭირავს სიბერის უამს ხელში: ორი სალაროს ნიგნაკი, მთელი ორმოცი წლის დანაზოგი და ძირგავარდნილი ფეხსაცმელები. ეჰ, რას წარმოვიდგენდი, რას. თორემ, რას მიქვია დანაზოგი? იმისათვის არ ვიკლებდი ყველაფერს, რომ სიბერე უზრუნველყოფილი გექონოდა?! ახლა არ ვიცი, არ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, ვინ გვაღირსებს ფულს, რალაც კაპიკებად გვიქციეს. და ოდესმე კი მოგვცემენ იმ კაპიკებს? ხან რას ამბობენ და ხან რას, ყბედებად იქცნენ, რა ენაღვლებათ, რამე მაინც მქონდეს ღირებული, გავყიდდი, ფეხსაცმელს ვაყიდდი, რა ვქნა ახლა, რა, ასე ცარიელ-ტარიელა დარჩენილმა.

- კი, მაგრამ, ნავთზე რომ მაგზავნი, ფული სად იშოვებ?

- ჰო, მართლა, ჩემმა დისწულმა გამომიგზავნა ათი ლარი. მეზობელს გამოატანა, თვითონ არ ცალია, დიდი კაცია და რა ქნას?

- როგორ მოუვიდა? - გაგულისებულმა ჩაიცინა გიორგიმ და ირონიით შეხედა ნუცას.

- ათი ლარი დღეს ფულია, ხომ არ გავინყდება, პენსია რამდენი მაქვს. შენ კიდევ მუშაობ, ასეა თუ ისე, პენსიაზე მეტს იღებ, მე რა ვქნა, რა შემოძლია, რა?! ათი ლარით ერთი კვირის სამყოფ ნავთს მაინც ვიყიდდი, ვეღარ ვუძლებ სიცივეს, ვეღარ.

ისევე აწრიალდა ნუცა. თითქოს კვერცხის დასადებად ემზადებო, ხელგაშლილი გაქანდა სავარძლისკენ, შიგ ჩაჯდა. შალი გვერდებზე ამოიგო და როგორც კრუხი საბუღარში, ქოთქოთს მაინც განაგრძობდა. ბოლოს ჩათბა და გაიბრინდა.

- ათ ლიტრს ერთად ვერ ამოვიტან.

- შენც ხუთ-ხუთი ამოიტანე. წელს ნუ მოინყვეტ, მე შენ გეტყვი და ადრინდელივით რიგში მოგიწევს დგომა, სადაც გაიხედავ, ყველგან ნავთს ყიდიან, ფული თქვი, თორემ, რა გინდა, სულ და გულო. გიორგი! იცი? - ხმა აუკანკალდა ნუცას, გუშინ ისე მომინდა ბანანი, კინაღამ ხელი წამცდა.

- ბანანი?! როგორც ვიცი, ბანანი არ გიყვარდა, გახსოვს, მოსკოვიდან რა სიხარულით ჩამოქონდა, შენ ერთხელაც არ გაკარებინებარ, ახლა რა ღმერთი გავინყვარა!

- შიშით ვერ ვამბობ, თორემ... გამოგიტყცივდი და ისეთი რამეები მინდებო, ნუნკივით სულ წერწყვი მომდის. მერე ჩემს თავზე ვბრაზობ და ვცდილობ, იქით აღარ გავიხედო, არადა, რა მაღაზიებია აგერ ეს სუპერმარკეტები. იცი, შოკოლადი როგორ მენატრება?

ერთმანეთთან ახლო-ახლო დასხდნენ, გიორგიმ ნუცას ხელი გადახვია და თავისკენ მიიზიდა, მეორე ხელით ნუცას ცრემლიან თვალებს უმშრალებდა და თვითონაც ჩამოსდიოდა ცრემლები.

- შენ რალა გატირებს, კაცი არა ხარ? კაცს ცრემლები არ შეშვენის, სულ ასე ხომ არ იქნება, მოვითმინოთ ცოტა, ჩვენზე უარესადაც არიან, რას იზამ. ნეტავ ომი დასრულდებოდეს და ქვეყანა დაწყნარდებოდეს, სხვას ყველაფერს ეშველება.

- მეტი რა გზა გვაქვს, აკი ვითმენთ, ხომ გავიგონია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავსო.

- მაგის რა მოგახსენო და, იმისი უფრო მჯერა, შოთა რომ ბრძანებს, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსაო.

\*\*\*

წელი ნაბიჯით დაუყვა გიორგი დაღმართს. ფრთხილობდა, ისე იყო მოლიპული ქუჩა, ბილიკიც კი ვერ გაიკვლია. სიცვიე თანდათან ძვალბოილში გაუჯდა, თავი დააკანტურა და თავისთვის უნებურად ხმამაღლა წამოსცდა, - გაუძელი, გიორგი, გაუძელი! - იმდენად ხმამაღლა, თქვა ეს სიტყვები, რომ გამვლელს ეგონა, მე მომმართავსო.

- ბოდიში, ბატონო! თქვენთვის არ მითქვამს, - თავის თავზე თვითონვე გაბრაზდა, საყელო აინია და ნაბიჯს აუჩქარა.

თორმეტი სრულდებოდა. ინსტიტუტში ხუთიოდე თანამშრომელი თუ იყო დარჩენილი. მათ შორის დირექტორი, მისი მოადგილე და ბუღალტერი თითქმის ყოველდღე დადიოდნენ. გიორგიმაც უკლო სამსახურში სიარულს, თუმცა მისთვის უჩვეულო იყო ასეთი საქციელი. მაგრამ რა ექნა, ყოველთვის არ ჰქონდა გზის ფული, ფეხით სიარული კი უკვე უჭირდა. სამ საათამდე იჯდა მაგიდასთან და ხელნაწერებში რალაცას იქექებოდა.

...სიცივისაგან წელი გაუშემდა, წამოდგა, ფეხები ააბაკუნა, ხელები მოიფშენიდა, უცებ რალაც გაახსენდა, ორიოდე გაზეთი მოძებნა, შარვლის ზედა ღილი შეისხნა, ძლივს ამოიჩნა შარვალში ჩატანებული ზედა ტანსაცმელი და გაზეთი წელზე შემოიხვია. გაზეთმა თითქო ცოტა მოუთბო წელი, კვლავ სანერ მაგიდას მიუჯდა, ხელნაწერები გვერდზე მიანყო და წერას შეუდგა.

დერეფანში ნაბიჯის ხმა შემოესმა. - მადლობა ღმერთს, ვილაც ყოფილა ჩემს გარდა, - გაიფიქრა და კარები გამოაღო, დერეფნის ბოლოს ძლივს შეასწრო თვალი მარო ბაღდავაძეს.

- მარო! - გასძახა. მარო ზანტად შემობრუნდა:

- ა, შენა ხარ? რას აკეთებ, კაცო, ამდენ ხანს. სახლში არ მიდიხარ?

- რა ვქნა, არ ვიმუშაო?

- არ გაიყინე? მე ისე შემცივდა. ა, გაზეთები, თუ გინდა, გინლადე, ჩაიფინე ფეხსაცმელში, მოგათბობს.

- გამადლობთ, მარო, გაზეთები მეცა მაქვს.

- ეს რა დამემართა, გიორგი, სახლიდან იმ იმედით გამოვედი, მეგონა, აქ მაინც დამხვდებოდა შუქი, რალაცას გავაკეთებდი, ვიმუშავებდი. შევცდი, შევცდი, მეტი რა გზაა, შინ უნდა წავიღო ეს სამუშაო.

- მარო, სერგი ხომ არ გინახავს? თვალი თუ მოჰკრა, გადაეცი, რომ ვეძებ, რალაც საქმე მაქვს.

- ეჰ, იტყვი ხოლმე შენც რალაც უცნაურობას. ხელფასის დღეს თუ შეხვდები სერგის, თორემ, ისე არ დადის.

- ეს ხელფასის დღე როდისღაა, ესეც რომ არ ვიცით ზუსტად?

- როცა ბანიკი მოგვცემს! - უფრო დაცინვით თქვა მარომ და, თვალს მიეფარა.

გიორგიც მალე აიბარგა, ჩამრთველები შეამონმა, ვინიცობაა, დენი მოვიდეს და რამე ჩართული არ დამრჩესო. ვესტიბიულში ვახტანგი შეხვდა:

- ბატონო გიორგი, როგორ ბრძანდებით, შემოდით ჩემთან. ჩვენს მეტი, მგონი, არავინაა სამსახურში. გნებავთ არაყი, გნებავთ, ჩაი დავლიოთ, ერთი აბი მშრალი სპირტი მაქვს, წყალს მოგიდულებს.

- დიდი მადლობა, მაგრამ უკვე სახლში მივდივარ.

- ეჰ, კარგია სახლში, როცა ვინმე გელოდება, მე ვიკითხო, ცარიელი ცივი კედლების მეტი არაფერი დამრჩენია. აკი ამიტომაც აქა ვარ, ხანდახან ხმის გამცემი მაინც შემოიხვლიან. სახლში რა ვაკეთო. თუმცა დღევანდელ პირობებში, გინდა შინ და გინდა გარეთ, ჩემთვის თითქმის ერთი ფასი აქვს. იცოცხლეთ, იცოცხლეთ, აბა, კარგად...

ნუცა მკვირცხლად შეეგება, - სადა ხარ ამდენ ხანს, რა ხანია გელოდები, ბარემ მაღაზიაში ჩამეგზავნე, ერთი ბრიკეტი კარაქი ამოიტანე, თორემ დამავინწყდა კარაქის გემო.

- ნუცა, გამაგებინე, კიო ხარ, თუ უჩინმაჩინი, სად შოულობ ფულს?

- ყავის საფეკვაი გავყიდე.

- ვის მიყიდე, ქალო, ნუთუ ამ ყინვაში მშრალ ხიდზე გახვედი?!

- არა, არა ნამდვილად ბედი მწყალობს, თამრიკო იყო, ყავა დავლიოთ, ოღონდ თქვენთან უნდა დავფეკვაოთ. ისე მოეწონა, რამდენი საფეკვაი მქონია, ასეთი კი არცერთიო. მერე შემიჩნდა, დამითმე, დამითმეო. რა ჯანდაბად მინდა - ყავას, ალბათ, ვერასოდეს ვეღარ

ვიყიდი, და თუ ღმერთმა გადმოგვხვდა, იმისთანა დაფუკილი ყავა იყიდება, ნაირ-ნაირი, „სამბა“, „არაბიკა კლასიკი“, „არაბიკა გოლდი“.

- საიდან იცი, ქალო?

- კიდეც კარგი, მაღაზიაში შესვლა უფასოა, სად ეშმაკებში ვიარო, ხანდა-ხან დღეში ხუთჯერ შევდივარ ხოლმე ჩვენი სახლის ქვეშ რომ სუპერმარკეტია. რა სისუფთავეა, რა სასიამოვნო გამყიდველები არიან. მრცხვენია, რომ ვერასოდეს ვერაფერს ვყიდულობ, მარა არავის უგრძობინებია ეს ჩემთვის. პირიქით, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ შევდივარ, მიღმიან, მობრძანდითო, მეუბნებიან. ფასებს ვეცნობი. ო, რა მიმზიდველია იქ ყველაფერი, რა მიმზიდველი!

- კი, მაგრამ, არ შეგრცხვია, თამრიკოს როგორ მიჰყიდე, ქალო?

- ჰო, - თავი დახარა ნუცამ, - გინდ დამიჯერე, გინდ არა, არც მიფიქრია ფულის გამორთმევა. ნაილე, შენი იყოს-მეთქი, რომ ვუთხარი, თავი მოიკლა, უფულოდ არ წავიღებო... ნუცას კიდეც რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ განითლდა და წაბარბაცდა.

- რა იყო, ცუდად ხომ არა ხარ?! - გიორგი შეემველა, სანოლამდე მიიყვანა.

- რა ვიცი, შემაქანა, ახლა თითქო თავბრუ მესხმის და გული მიმდის.

გიორგი კარადას ეცა, მომცრო ვალერიანის ბოთლი გადმოიღო, დააპირქვა - არც ერთი წვეთი არ გადმოღვრილა. აორთქლდა თუ რა ხდება, როდის გათავდა, ნეტავ? ახლა ვალიდოლის ძებნას შეუდგა. ამოჩუტული ოქროსფერი ქალაღები დაცარიელებული შერჩა. გიორგი ხან ნუცასთან მიირბენდა, ხან კარადასთან. ნუცას არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ერთიანად კანკალს აეტანა და მარტო იმას ახერხებდა, როგორმე გაეგებინებინა გიორგისათვის, რომ სციოდა. კაცმა, რაც მოხვდა ხელში, ყველაფერი გადააფარა, ისე დაიბნა, ხელი უკანკალედა.

- რა ვქნა, ნუცა, რა ვქნა, გენაცვალე, რა დაგემართა, რამე წამალი თუ გვაქვს შემორჩენილი, მითხარი, მითხარი.

ნუცას სახეზე ოფლი ასკდებოდა. გიორგიმ პირსახოცი მოარბენინა, ოფლს ხშირ-ხშირად უმშრალედა.

ნუცამ თვალეები გადაატრიალა და უგონოდ გაირინდა...

გიორგი სადარბაზოში გავარდა, მეზობლის კარზე დარეკა. არავინ გამოხმაურებია. როგორც იქნა, ერთმა მეზობელმა კარი გააღო.

- მიშველე, შენი ჭირიმე, თინიკო, ნუცა... - გიორგიმ სათქმელი ველარ დაამთავრა.

თინიკო მაშინვე გამოვარდა, ნუცას დახედა.

- რა მოუვიდა?

- მშვენივრად იყო, უცებ თავბრუ დაეხვია და...

თინიკომ წნევის აპარატი გამოიტანა სახლიდან:

- ჩქარა, სასწრაფოს გამოუძახეთ, ჩქარა!..

სასწრაფო დახმარება მალე მოვიდა. ნემსი გაუკეთეს და აბები აყლაპეს, კარდიოგრამა გადაუღეს. ნუცა ნელ-ნელა მოეგო გონს. გიორგი გაფითრებული დასცქეროდა. სასწრაფომ კარგა ხანს დაჰყო, წასვლის წინ ქვითარი გამოწერა და გიორგის გადასცეს. გიორგიმ ძლივს გაარჩია ციფრები, ოცდაათი ლარი. შეცბა, დაიბნა:

- რალა ვქნა, ახლა, - გულში გაიფიქრა. სირცხვილით ხმა ვერ ამოიღო. თინიკო მიუხვდა სატკივარს, უთქმელად გავიდა, მალევე შემობრუნდა, ოცდაათი ლარი ექიმს მისცა, გიორგის გონს მოსვლა არ აცალა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

- ბიძია გიორგი, მაღლობა ღმერთს, დეიდა ნუცა გამომჯობინდა. ეს ფული ხუთ რიცხვამდე არ მჭირდება. ახლა დამშვიდდით, თქვენც დაისვენეთ, ხუთამდე საში დღე წინაა, რალაცას მოახერხებთ. აბა, კარგად იყავით, კარგად.

წამლებისაგან გაბრუებულ ნუცას მშვიდად ეძინა. გიორგის კი თვალი არ მოუხუჭავს.

თოვრი ბარდნიდა. გიორგი პერანგის ამარი, ვარაზის დაღმართზე ჩაღიოდა. ცა მოგუდულიყო, ფანტელები უხვად ირეოდნენ ერთმანეთში, თავპირზე ასხდებოდნენ, თვალეებს უბინდავდნენ და სანთელივით ნელი-ნელ ადნებოდნენ.

ისე ელაშუენებოდა თოვლის ნაჟური, თითქოს მზით გამთბარი, ოდნავ დანამული მზის სხივებიაო. გიორგის ჯანდონე მომატებოდა, გულგაღვლილი ახალგაზრდა ჭაბუკივით მიაბიჯებდა.

ქვევიდან თეთრებში გამოწყობილი ლამაზი ქალწული გამოჩნდა. გიორგი ხელგაშლილი გაეგება, მაგრამ ქალწული ფიფქივით დატრიალდა, კისკისით ჩაუქროლა, ცისკენ მიინევიდა ნაზი მიხვრა-მოხვრით, ციკვა-ციკვით, ცის კიდეს გაეკრა.

გიორგი გაფაციცებით უყურებდა, ეხვენებოდა, დამენახვე, დამენახვე, ქალი ხარ, თუ ღმერთიო. ქალი უფრო მაღლა ადიოდა, მერე ყელზე შემოხვეული აბრეშუმის ნაზი ქსოვილი შეისხნა და გიორგის გადმოუგდო. ახლა ქსოვილმა ინყო ნელ-ნელა ვარდნა, დრო და დრო ისიც აცეკვდებოდა, ნანაობდა. ფანტელები ზედ ასხდებოდნენ ქსოვილს და ქვევით უძღვებოდნენ. გიორგიმ ხელი შეაშველა, ძირს არ დავარდესო, ახლა მის მკლავებს ხევეოდა და ენარნარებოდა. გიორგიმ ერთ ხანს მიუშვა, შემდეგ მუჭით სწვდა და თავისკენ მიიზიდა.

ქსოვილს საამო სურნელი ასდიოდა და რალაც ნაცნობი ანდამატი მოაფრქვია. გიორგი გააბრუა ამ სურნელმა: ეს ხომ ახალგაზრდობის, თივის, ნაძვის, გამომცხვარი პურის, გაგუზგუზებული ბუხრის ბოლის, რიჟრაჟის, ნამის სურნელი იყო. სიცოცხლის სურნელი...

უცებ გონს მოეგო.

- ნუცა! - დაიყვირა და სირბილით აუყვა აღმართს. - ნუცა! - და უფრო სწრაფად გაიქცა. ვერ დაენია. - ნუცა! - ახლა დაღმართს დაუყვა, სულმოუთქმელად ჩაირბინა, ჩელუსკინელების ხიდი უკან მოიტოვა და თამარ მეფის გამზირზე უჩვეულო სანახაობამ გააშემა. რას ხედავს: მიწაზე დაყრილა ხალხი, ზოგი ყავარჯნებზე დაყრდნობილი, ზოგს შავი ლეჩაქი აქვს თავ-პირზე ჩამოფარებული, ქალეებს მძინარე ბავშვები ჩაუნკვინათ კალთაში, ზოგი უძრავად ზის, ყელზე ტრაფარეტჩამოკიდული, აქეთ დაყრილ ჯამ-ჭურჭელთან ცოლ-ქმარია ჩაცუცქული.

იქით ბრმა მუსიკოსი გულსაკლავად აკვნესებს აკორდეონს. მღერიან ფანდურზე, გიტარაზე, იქით რალაცას სვამენ, ხარშავენ. ახლა სხვა სუნმა აუნვა ნესტო - ამყავებულო მღაცის, ნავთის, ცხვრის ხორცის, ოფლის, ჭუჭყის, დამპალი მძორის სუნმა... გული ერეოდა, ძლივს გაიკვლია გზა, მუჭი პირთან მიიმარჯვა, ისე აზიდებდა, უკან მოუხედავად გარბოდა. მაგრამ რა ხდება, ერთბაშად აიშალნენ, გამოუდგნენ, მოსდევდნენ, ხელგამონვდილინი მოსდევდნენ:

- დამეხმარეთ! - დაეხმარეთ პატარა გიორგის! ობლები მყავს, დამეხმარეთ. აქედან ყავარჯნის ძლიერმა დარტყმამ მოაბრუნა - იყიდეთ ნიგნები, იყიდეთ, სულ კაპიკებად იყიდება ყველაფერი. მერე მეორემ გაქანა თავისკენ - იყიდეთ ოქრო, იყიდეთ. ყურებზე ხელი აიფარა, გარბოდა, მაინც მისდევდნენ:

- დამეხმარეთ! იყიდეთ, იყიდეთ! დამეხმარეთ, - სხვადასხვა ხმები ერთმანეთში აირია.

- იყიდეთ! დამეხმარეთ! წამალი არა მაქვს, მშია, მცივა, დამეხმარეთ! დამეხმარეთ!.. როგორც იქნა გაასწრო იქაურობას, ძალაგამოლეულმა წაიჩოქა, ცისკენ ხელეები ალაპყრო და კვლავ არააღამიანური ხმით დაიწიალა:

- ნუცა!.. - ნუცა!! ნუცა!!!


ნუცას კი ეძინა საშუადამო ძილით, მშვიდად, ამაყად... გიორგი სანოლიდან წამოდგა, კარგა ხანს ვერ მოეგო გონს, სიზმარს მისთვის სახე აელენა, ძალა მთლიანად გამოეცალა. უცებ გაახსენდა ნუხანდელი ამბავი, ის, რაც ცხადად მოხდა...

- ნუცა! - ჩუმი, აკანკალებული ხმით დაიძახა, მაგრამ ხმა არავის გაუცია... - ნუცა! - კვლავ არააღამიანური ხმით დაიღრიალა და გულწასული დაეცა.



60

# 60 წელი წარმოც



საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს თეიმურაზ სიმონის-ძე დღობის 60 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1939 წლის 2 თებერვალს ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებლის სიკო დოლიძის ოჯახში.

მისი პირველი ნაბიჯები დაიწყო საქართველოს ტელევიზიაში კინოოპერატორად და მალე ცნობილ კინორეჟისორ დიმიტრი ბათიაშვილთან ერთად გადაიღო მოკლემეტრაჟიანი კინონოვლები: „ზურა და ვია“, „ფანჯარა“. კინონოველა „ფანჯარამ“ მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე მაღალი შეფასება მიიღო, იგი შეიძინა ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ, 1965 წელს კი მოკლემეტრაჟიანი ტელეფილმების ფესტივალზე ქალაქ სან-ფრანცისკოში პრიზი დაიმსახურა.

1966 წელს თეიმურაზ დოლიძემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე და გახდა ცნობილი კინოდოკუმენტალისტის რომან კარმენის მოწაფე.

მოსკოვის კინო-ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბრუნდება თბილისში სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში, სადაც იგი დღემდე მუშაობს.

თეიმურაზ დოლიძე ორმოცზე მეტი მხატვრული სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმის ავტორია.

სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილ ფილმებში შესანიშნავად ჩანს პატრიოტი ხელოვანი, რომელიც ცხოვრობს ქართველი ხალხის პრობლემებით და ცდილობს, მაყურებელს ბოლომდე აგრძნობინოს მშობლიური მიწის მადლი და მისი ეროვნული ძირების სიდიადე. იგი მოგვითხრობს საქართველოს მთებში არწივის ბუდესავით ჩამჯდარ თვალწარმტაც სოფლებზე, მთიელი ხალხის გმირულ, შეუპოვარ შრომაზე, ტრადიციებზე და მათ წმინდა სალოცავებზე. მიწამ შექმნა ადამიანი და ამ მიწის ასაყვავებლად იღვწის იგი. – ასეთია რეჟისორის პუბლიცისტური პათოსი. („სკოლა მთაში“, „სახალხო მთქმელები“, „წინ უღელტეხილია“, „ტყის ძახილი“).

ჟურნალ „დროის“ ფურცლებზე (1983 წ. მარტი), სტატიაში „პლანეტის ექო“ ვკითხულობთ: – „თ. დოლიძის ფილმები მაღალმხატვრული ღირსებებით აღსავსე მკაფიო პოლიტიკური მოვლენაა დღევანდელ ქართულ კინემატოგრაფიაში, ისინი ბოლომდე გვაგრძნობინებენ მშობლიური მიწის მადლს. მაყურებლისათვის აშკარაა, რომ მათ ავტორს თავისი პოზიცია გააჩნია, პოზიცია მოქალაქის, პუბლიცისტის, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას დროის წინაშე... ეს არის ხელოვანი, რომლის შემოქმედება ფართო ასპარეზის ღირსია“.

დოლიძის ფილმებში ფართოდაა ასახული დღევანდელი სინამდვილე, და ამ სინამდვილით შექმნილი ადამიანები, ესენია შრომის გმირები, მეცნიერები, გეოლოგები, მენავთობეები, ჰესების მშენებლები, მეთევზეები, მეჩაიეები, ექიმები. ხელოვნების მუშაკთა პორტრეტები: ზურაბ წერეთელი, ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ნინო ანანიაშვილი, გურამ თიკანაძე, სიკო დოლიძე და სხვა მისი ფილმები მოსკოვის ტელევიზიისა და „ხსოლის“ დაკვეთით მოგზაურობდნენ უცხოეთის ეკრანებზე.

დღესდღეობით ერთ-ერთი აქტუალური თემა ბუნების გადარჩენა. სწორედ ეს საკითხია წამოჭრილი

16

ამ ოციოდე წლის წინ გადაღებულ ფილმში „ტყის ძახილი“, რომლის პრობლემატურობასა და მხატვრულობაზე არაერთხელ აღინიშნა პრესასა და შემოქმედებით საღამოებზე.

გაზეთი „კომუნისტი“ (1984 წ. მარტი) იუწყებოდა, რომ მოსკოვის მეცნიერთა სახლის დიდ დარბაზში შედგა თეიმურაზ დოლიძის შემოქმედებითი საღამო. შეხვედრაზე გამოჩენილ მეცნიერთა დიდი კოჰორტა გამოვიდა, რომლებმაც ერთხმად აღიარეს მისი ფილმების აქტუალურობა, პოეტურობა და თვითმყოფადობა.

„ყოველი ფილმი არის მაღალმხატვრული მუსიკალური ნოველა“ (აკადემიკოსი ნ. პრიობრაჟენსკი).

მოსკოვის თერაპიის კლინიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, სახ. პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ნ. პალიევმა განაცხადა, რომ – „ჩვენთვის მეტად სასიამოვნო აღმოჩენა იყო თ. დოლიძის ფილმები. მე მიყვარს საქართველო, ფეხით მივლია მის მთაბარში და გულახდილად გეტყვით, ამჯერად სრულიად ახლებურად დავინახე მისი სილამაზე და სიღიადე. ახლოს ვიგრძენი მთების სული, მათი სუნთქვა და ძრისხანება. რეჟისორის ფილმებს თანამგზავრით თან სდევს ულამაზესი კუთხეების სვანეთის, ხევსურეთის, თუშეთის მკვიდრთა ნატიფად გამოძერწილი სახეები, ხასიათები“.

პროფესორი კრუგლოვი, – მწვანე ველზე წითლად მოელვარე ყაყაჩოებს თავი დაუხრიათ, მწუხარება და სევდა შემოსწოლიათ ყვავილებს... ასე ეთხოვება ბუნება თავის შვილს, ვაჟკაცსა და ცნობილ მთამსვლელს გურამ თიკანაძეს... რა დიდებული ჰარმონია იგრძნობა ბუნებასა და ადამიანებს შორის, – თითქოს გაცოცხლდნენ ვაჟა-ფშაველას გმირები... დღეს კიდევ ერთხელ ვიგრძენი ქართველი კაცის გულის სითბო და სიმხურვალე. ეს ფილმები ლამაზად აკინძულ მიივებს მოგვაგონებს...

ჩვენ საქმე გვაქვს ორიგინალური და საკუთარი ხელწერის მქონე რეჟისორთან. მას აქვს აგრეთვე არაჩვეულებრივი მუსიკალური გემოვნება. ფილმების უმეტესობა უტექსტოდ მიდის და მისი მუსიკალური ფრაზები და აქცენტები ცვლიან დიქტორის ტექსტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სათუთად ეკიდება ფოლკლორს, ხალხურ პოეზიას და ლეგენდებს, დოკუმენტური კინოს ენით აცოცხლებს ამ მარგალიტებს, რაც ამ ჟანრისათვის არც თუ ჩვეულებრივი მოვლენაა.

რაც ყველაზე მთავარია განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქართული მხატვრული კინო დიდ არენაზეა გასული და იგი სამართლიანად ინარჩუნებს თავის პრესტიჟს, პრიორიტეტს... „ქართული დოკუმენტალური კინოც, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლის თ. დოლიძის შემოქმედებასაც დღეს გავეცანით. მხატვრული კინოების სიმაღლეების აღქვამტუ-



რი ყოფილა, რომელსაც ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცნობდით“.

„ეს ფილმები გვაჯერებენ, რომ ასეთმა ხალხმა შექმნა ისტორია, შემოგვინახა ერის სულიერი სიმდიდრე და საუნჯე, ყოველ ფილმს ახასიათებს საოცარი ქართულობა და ამავე დროს ინტერნაციონალური სულისკვეთება, მაღალი კულტურა და პროფესიული ოსტატობა“.

მოსკოვის ჟურნალ „ისკუსტვო კინოში“, ცნობილი კინოდოკუმენტალისტის ვლადიმერ კონავოლოვის სტატიაში ვკითხულობთ: – „თეიმურაზ დოლიძის შემოქმედება არის გაგრძელება დიდი რეჟისორის მიხეილ კალატოზიშვილის პოზიციისა დოკუმენტურ კინოში „ჯიმ შვანთედან“ „ომალომდე“ (ვახტანგ მიქელაძე) „ომალოდან“ „სკოლა მთაშიმდე“ (თეიმურაზ დოლიძე). ეს არის ერთი დიდი გზის გაგრძელება, რომელიც აერთიანებს ერთი სულისკვეთების, მაგრამ სხვადასხვა ხელწერის მქონე რეჟისორებს. „სკოლა მთაში“ ეროვნული ძირების ამოფრქვევაა, რომლითაც იგი იძენს საერთაშორისო მნიშვნელობას. „სკოლა მთაში“ და „წინ უღელტეხილია“ ჭეშმარიტად პოეტური შედეგებია...“

**ლამარა ნიკოლაიშვილი,**

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



დალი ნალიბაიძის პორტრეტი

# იჩაქლი ჟარჯიანი

იდუმალეზა და სევდა... აი, რა მოგ-  
ხვდება თვალში, როდესაც მის მხატვრო-  
ბას შესცქერო.

ის ხელოვნების ისტორიაში ინდივი-  
დუალური სულიერი გამოცდილებით,  
საკუთარი სამყაროთი მოვიდა.

ყვავილები, პეიზაჟები, ნატიურმორ-  
ტები...

შემდგომ – მითოლოგიური და ბიბლი-  
ური თემატიკა...

საკუთარი ხელით გადანერილი და  
დასურათებული სახარება – იოანე, მარ-  
კოზი, ლუკა... და, რაც მთავარია „ხარე-  
ბა“ და „ჯვარცმა“.

რელიგიური ცოდნა, სიღრმისეული  
შეხება მსოფლიო კულტურასთან და და-  
უსრულებელი ექსპერიმენტები ფერის,  
ფორმის მასალის აღმოსაჩენად.

ფარჯიანმა ხანმოკლე ცხოვრების მი-  
უხედავად, სოლიდური მხატვრული მემ-  
კვიდრეობა დაგვიტოვა. ასევე, დაასუ-  
რათა მრავალი წიგნი. გოეთეს – „ფაუს-  
ტი, ჰომეროსის – „ოდისეა“, გალაკტიონ  
ტაბიძის კრებული, გერმანული საბავ-  
შვო მოთხრობები. ილუსტრაციები და-  
ურთო ბიბლიური მოთხრობების საბავ-  
შვო კრებულს, რომელიც გერმანელმა  
თეოლოგმა ირენ იოჰანსონმა მოამზადა.

მისი მხატვრობა ამჟვენებს გუგენჰა-  
იმის მუზეუმს – ვაშინგტონში, ტრეტია-  
კოვის გალერეას და აღმოსავლურ მუზე-  
უმს – მოსკოვში, თბილისის მუზეუმს, აგ-  
რეთვე კერძო კოლექციებს საქართვე-  
ლოში, რუსეთში, გერმანიაში, ესპანეთ-  
ში, იტალიასა და აშშ-ში.

ამ ნომერში ჟურნალ „დროის“ რე-  
დაქცია მკითხველს თავაზობს ირაკლი  
ფარჯიანის სამ უცნობ ნამუშევარს, რო-  
მელიც თამაზ ნადიბაიძის ოჯახის კერ-  
ძო კოლექციაშია დაცული.





თინათინ სარალიძე თამრიკო ჟორდანიას

## პატარებმა საქართველო ასახელეს

● მარტის შუა რიცხვებში საფრანგეთის ქალაქ სარბურგში ახალგაზრდა პიანისტა მე-9 საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში სხვადასხვა ქვეყნიდან (გერმანია, იაპონია, ჩინეთი, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო) ჩამოსული ახალგაზრდები იღებდნენ მონაწილეობას.

საქართველოდან კონკურსზე ორი გოგონა გაემგზავრა – თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე, რვა წლის თამარ ირაკლის ასული ჟორდანიას (რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ვერონიკა თუმანიშვილის კლასი) და VII კლასის მოსწავლე, ცამეტი წლის თინათინ თეიმურაზის ასული სარალიძე (პედაგოგი მარინე გელაშვილის კლასი). ისინი საკმაოდ რთული პროგრამით წარსდგნენ ჟიურის წინაშე და ლაურეატობაც დაიმსახურეს. თამარ ჟორდანიამ შეასრულა ბ. ბარტოკის ვალსი – es moll და პ. ჩაიკოვსკის „ოქტომბერი“ („ნელინადის დრონი“). თინათინ სარალიძემ კი – ლ. ვ. ბეთჰოვენის „მაგატელო“ – D-durr ლისტის უნგრული რაფსოდია ნომერი ორი.

ცამეტ მარტს, კონცერტის შემდეგ, ჟიურის თავმჯდომარემ ბატონმა

ანდრე სოვინმა შედეგები გამოაცხადა. თამარ ჟორდანიამ მესამე ადგილი აიღო, თინათინ სარალიძემ – მეორე.

პატარა თამარმა უკვე მეორედ მიიღო ამ კონკურსში მონაწილეობა. და პრიზიც ჩამოიტანა.

– თებერვლის თვეში, როდესაც სპეციალური მოწვევა მივიღე, გამიხარდა, – იხსენებს თამარი, – ქ. სარბურგში ჩემთვის ყველაფერი ნაცნობი იყო – შენობა, ინსტრუმენტი და კონკურსის დირექტორიც კი, რომელმაც დანახვისთანავე გულთბილად ჩამიკრა. კენჭისყრის დროს პირველი ნომერი მხვდა წილად, ძალიან აველდი, თვალებზე ცრემლიც კი მომადგა. გიმნაზიის პედაგოგმა მარინე გელაშვილმა დამამშვიდა – ძალიან კარგი, და უკრავ და მერე სხვებსაც მოუსმენო. სცენაზე მშვიდად ავედი და მაშინვე მუსიკის სამყაროში გადავერთე. დავიმსახურე მესამე პრიზი. კონკურსზე ჩემი საყვარელი ბიძაშვილი მანანა მახლდა და პირველი სიხარულიც სწორედ მას გაუუზიარე.

კონკურსის მერე პარიზში გავემგზავრეთ, სადაც ბავშვებისათვის საყვარელი სანახაობა და ჩემთვის საოცნებო დისნეი-ლენდი მელოდა.

ახლა რვა წლის თამარი ემზადება საჩვენებელი კონცერტისათვის.

თინათინს მუსიკის სიყვარული დედამ ჩაუწერა. პროფესიით ის მსახიობია, მაგრამ მუსიკალური სასწავლებელიც აქვს დამთავრებული.

– ექვსი წლის ვიყავი, როცა ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიაში ჩავაბარე. პირველი კლასიდანვე გამოვდიოდი კონცერტებზე. პირველი სოლო გამოსვლა 1998 წელს მქონდა კონსერვატორიის მცირე დარბაზში.

1996 წელს, პოლონეთში ი. ს. ბახის სახელობის მეცამეტე საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა. იქ, მესამე ადგილი და ლაურეატის წოდება მივიღე. შევასრულე ბახის პრელუდია..., სკარლატის სონატა და დებიუსის „სერენადა თოჯინისათვის“ („საბავშვო სცენებიდან“).

ლამდებოდა, როცა ქ. სარბურგში ჩავედი, მოგვათავსეს სასტუმროში. საკონცერტო დარბაზი, სადაც უნდა დაგვეკრა, მოპირდაპირე მხარეს იყო. რეპეტიცია მუსიკალურ სკოლაში გვექონდა. როიალი აშლილი იყო. არც ჩემი შესრულებით დავრჩი კმაყოფილი, მაგრამ ერთი ნუთითაც არ მინერვიულია. ვფიქრობდი – ყოველთვის ასე ხდება, კონცერტზე უკეთესად დაუკრავ. დედაჩემის და ჩემი პედაგოგის განერვიულებული სახეები რომ დავინახე, ეს აზრი ხმამაღლა გამოვთქვი.

დამიყო კენჭისყრა. გადაწყდა, პირველები პატარები უკრავდნენ. იდეების კატეგორიაში კი პირველი მე უნდა გამოვსულიყავი. ინსტრუმენტი მომენონა – რბილი კლავიატურა, არაჩვეულებრივი ხმოვანება. დავმშვიდდი. ყველაფერი კარგად დამთავრდა.

საფრანგეთში ათი დღე დავრჩი. დავათვალიერეთ ლუვრი, ვიყავით გრანდ ოპერაში, ეიფელის კოშკზე და რაც მთავარია – დისნეი-ლენდში. ყველაზე მეტად პინოქიოს სახახლე და სულელების სახლი მომეწონა.

ამ მოგზაურობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. არასოდეს დამავიწყდება ის უბედნიერესი დღეები.

იმედია, საქართველოს მუსიკალური საზოგადოება იზრუნებს ამ ნიჭიერ და მომხიბლავ გოგონებზე და მათ მომავალში ყურადღება და მხარდასჭერა არ მოაკლდებათ. გზა დაულოცოთ პატარა ლაურეატებს!

● **იცნობდეთ:** ცხრა წლის ირაკლი პალაგაშვილი-დეკლამატორი და მომღერალი, მსახიობი და მოცეკვავე. მისი მოხდენილი ტანი, დინამიკური პლასტიკა, სახის ორიგინალური გამოსახვა, სუფთა, წკრილა ხმა არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. „ნორჩი მსახიობის“ სტუდიის მოსწავლე არაერთხელ დაჯილდოებულა სიგელებითა და მედლებით.

ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის სახელობის ექსპერიმენტალურ საშუალო სკოლაში შესვლის დროს კლასის ხელმძღვანელმა ნანა ყიფიანმა ყურადღება მიაქცია მის არაორდინალურ მონაცემებს – ემოციონალურობას, ახლის ადვილად შეგრძნების უნარს. მისი დახმარებით პატარა ირაკლის შესაძლებლობა მიეცა, სრულად გამოემჟღავნებინა თავისი მრავალმხრივი ნიჭი. ირაკლი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს წიგნისადმი, ადვილად ითვისებს ყველა სასწავლო საგანს, ეუფლება უცხო ენებს. განსაკუთრებულ ნიჭს ამჟღავნებს მათემატიკისადმი, აოცებს მასწავლებელს თავისი გონებამახვილური, მოულოდნელი გადანყვებებით, ანალიტიკური აზროვნების უნარით.

იტაცებს სპორტი. სხარტი და ენერგიულია. იგი ბავშვთა საფეხბურთო გუნდის ცენტრალური თავდამსხმელია. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ სკოლაში საუკეთესო მოსწავლის სახელისათვის გამოცხადებულ კონკურსში პირველობა მას მიეკუთვნა.

საქართველოში მრავალად არიან ნიჭიერი ბავშვები და ძირითადი აქცენტი მიმართულია მათი აღმოჩენისა და სწორი მიმართულებით აღზრდა-განვითარებისათვის. „ნორჩი ერუდიტების“ საკვირაო სკოლაში პატარა ირაკლი ორიგინალური ფორმით ეუფლება საქართველოსა და სხვა ქვეყნების ისტორიასა და კულტურას.



ირაკლი პალაგაშვილი (მარცხნივ)

ასე ყალიბდება და ვითარდება პატარა ირაკლის ნიჭიერება, რაც მომავალში უთუოდ დიდ პროფესიონალიზმში გადაიზრდება.



### სამიდან სვთ წლამდე

სოფიკოს მამიდანელი ნუნუნებს: რა ცუდია ზამთარი, დილის ცხრა საათია და ჯერ ისევ ბნელი!

სოფიკო: მამიდა, სათვალე გაიკეთე და უცებ გათენდება!

სოფომ ოჯახის ყველა წევრს სახელი შე-არქვა:

- მე ფიფქია ვარ!
- დედიკო ზამთარია!
- მამა - თოვლის ბაბუა!
- მამიდა ნელი - თოვლის ფიფქი (ოდნავ შეყოვნდა) ოლონდ - დიდი, ძა-ლი-ან დი-დი ფიფქი!

სოფიკო მიდის დედასთან, რომელიც სამზარეულოში სადილს აკეთებს.

- სოფო, არ მცალია, ხელს ნუ მიშლი!
- გეხვეწები, დე! რაღაც უნდა გითხრა...
- მითხარი!
- ასეთი გემრიელი სამზარეულო არავის ექნება!

საბავშვო ბაღში ნაყვანის წინ დედა სოფიკოს კეპიან ქუდს ახურავს.



ეს პატარა ვაჟკაცი ფერეიდნელი ქართველი არია ასლანიშვილია. მიუხედავად იმისა, რომ თეირანში დაიბადა, ქართული მშვენივრად იცის. საინტერესო ის არის, რომ მისმა მშობლებმა ექვს წლამდე ეზოსა და ქუჩაში არ გაუშვეს, ჯერ "დედის ენა" იცოდეს, მერე ფარსულს ისწავლისო..."

- მზემ რომ არ დამკრას? - კითხულობს ბავშვი.

- დიას!

სოფო კებს უკულმა იბრუნებს და ამბობს:

- ეს - მთვარემ რომ არ დამინახოს!

მოსკოვიდან თბილისში გამოფრენის წინა ღამეს სოფიკოს თვალი თითქმის არ მოუხუჭავს. დედა ნუნუს, თან ბავშვს ანუგეშებს:

- რა უჭირს, თვითმფრინავში დაიძინებ!

- რას ამბობ, დე, თვითმფრინავში მე უნდა ვიფრინო!

ყოველთვის, როცა სოფიკო დედას საბავშვო ბაღში მიჰყავს, ქალიშვილი მოსვენებას აღარ აძლევს:

- მიყიდე რა, შოკოლადი (კანფეტი, სალექტი რეზინა, ნამცხვარი...)?!

- მიყიდე რა, კანფეტი (შოკოლადი, ნამცხვარი, სალექტი რეზინა...)?!

სოფიკოს ტკბილეულის მოჭარბებისაგან სახეზე და ხელებზე რომ გამოაყარა, შემფოთება დაეტყო.

დილით, ბაღში წასვლის წინ, დედას ეხვეწება:

- დე, მიყიდე რა... ნამალი!

სოფიკო მშობლებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებს ხშირად მამაპაპულ ანანურში ატარებს. იქ ხელოვნური ზღვა არის და გრილა, თანაც ბიძაშვილებს - ზურიკოს, დათოს და მაიას - არაგვზე სათევზაოდ დაჰყავთ. თევზს ბიჭები იჭერენ და სოფიკოს წყლიან ვედროში უყრიან, ზოგიერთს კი ისევ წყალში უშვებენ.

- რატომ უშვებთ? - ეკითხება სოფიკო.

- ავად არიან!

სოფო ძალიან დაადარდიანა პატარა თევზების ავადმყოფობამ.

მოსკოვში დაბრუნებულ სოფიკოს ჩვევად ექცა „არაგვობანას“ თამაში: გაშლის იატაკზე დიდ ცისფერ საფენს - „ზღვას“, ზედ მიმოყრის ნაძვისხის სათამაშო ვერცხლისფერმუცლიან პანანა თევზებს და ზედ წამოწოლილი „თევზაობს“. ზოგს ჯიბეში ილაგებს, ზოგსაც მოშორებით გადაყრის.

- რატომ ყრი თევზებს? - ეკითხება გაცებული მამა.

- ავად არიან! - უპასუხებს სოფიკო და „არაგვობანას“ თამაშს განაგრძობს.



საქართველოს  
სოფიკოს  
ბიბლიოთეკა

21.369

# მიკროფონთან იყო



პირველად ეს ფრაზა რადიოთი მოვისმინე. მოვისმინე ხმაძალა ნათქვამია – საბჭოურ დროს „ზაგლუშკას“ რომ ეძახდნენ, ისე ხრიალებდა, მართლაც კარგი სმენა უნდა გქონოდა, რომ გაგერჩია რაიმე. ამ ფრაზით დამთავრდა ამერიკის ხმის ქართული რედაქციის გადაცემა, რომელსაც მე და ჩემმა დედამთილმა, აწ განსვენებულმა შესანიშნავმა მანდილოსანმა ელენე მიქელაძე-ჩიქოვანისამ შემთხვევით მანქანის რადიომიმღებში მოვკაირით ყური.

– ღმერთი ჩემო, ეს ნამდვილად ჩემი მაზლი, ლეუშა ჩიქოვანია! – წამოიძახა მან.

არადა, ლეუშა ჩიქოვანი მეორე მსოფლიო ომში „უგზოუკვლოდ დაკარგულად“ ითვლებოდა. თუმცა, მიუხედავად მკაცრი რეალობისა მისი დამამა, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი დედა – დიდი ბანოვანი ქრისტინე გელოვანი – ჩიქოვანისა, მთელი სანათესაო იმედს არ კარგავდა, რომ იგი ცოცხალი იყო.

პირადად მე ვერ დავიჯერე, – ცოცხალი რომ იყოს, ნუთუ, ამდენი წლის მანძილზე ერთ სიტყვას ვერ მოგაწვდენდათ-მეთქი, ვთქვი და შევატყვე, რომ რაღაც საშინელება ჩავიდინე, ადამიანს იმედის ნაპერწკალი ჩაუჭრე. მთელი გზა ქუთაისამდე ისე ვიარეთ, ჩემს დედამთილს ხმა არ ამოუღია. ცოტა არ იყოს, მეც შევეჭვდი – მას, ქეთუნია მიქელაძის დას, ნანი ბრეგვაძის, ივიკო, მარიკა და ცისანა საყვარელიძეების დეიდას აბსოლუტური სმენა ჰქონდა, შეეძლო ქვაც აემღერებინა. იქნებ მართლა ცოცხალია და ხმა შეიცნოთქო?!

თბილისში რომ დავბრუნდით, შევნიშნე: იგი ხშირად უტრიალებდა ძველისძველ რადიომიმღებს, მაგრამ ამაოდ, ხმას ისე ოსტატურად ახშობდნენ, შეუძლებელი იყო რაიმეს გარჩევა.

და, აი საოცრება! გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს – იდგა 1958 წელი, სოხუმელ ქალბატონს თავისი ძმის წერილში ჩადებული ლეუშას მცირე ბარათი და დავალება მიუღია: თბილისში მოძებნე ჩიქოვანების ოჯახი.

ცრემლები, სიხარული, გაკვირვება, ეჭვიც კი – ყოველივე იმის გადმოცემა, რაც ხდებოდა, სიტყვებით შეუძლებელია. წერილი, რომელიც ულამაზესი კალიგრაფიით და დახვეწილი ქართულით იყო დაწერილი, მართლაც ლევან ჩიქოვანს ეკუთვნოდა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ცრემლებით იპკურებოდა. მეორე წერილი უკვე თავისი დის, ქალბატონ მარიამ ჩიქოვან-საყვარელიძის სახელზე მოვიდა და მაშინ კი ყველამ საბოლოოდ ირწმუნა, რომ იგი მართლაც ცოცხალი იყო. მარიამი იმ დროს ზესტაფონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა და სწორედ იმხანად პარტიის ქალაქკომის მეორე მდივნად გადაჰყავდათ. იგი უმალ დაიბარეს სადაც ჯერ არს და „გაარკვიეს“, რომ „სამშობლოს მოღალატის“ და ამ პოსტს ვერ დაიკავებდა. იმავე თვეში ლეუშას ხანდაზმულ დედას პენსია მოუხსნეს... ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ რა შეედრებოდა იმ სიხარულს, რაც ჩვენ მაშინ განვიცადეთ.

დაიწყო მიმოწერა, შედგა სატელეფონო საუბარიც. მაგრამ იმ დროისათვის ეს საკმაოდ სახიფათო იყო და ოკეანისგალმა ყოველ კონტაქტს, ეტყობოდა, რომ ფხიზელი თვალი საგულდაგულოდ უთვალთვალებდა.

მოხდა ისე, რომ იმ დროისათვის გარდაცვლილი ჩემი მეუღლის ბიძა – ლევან ჩიქოვანი პირველად მე ვნახე.

მაშინ იგი ოჯაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსში ცხოვრობდა. ჩავედი თუ არა ნიუ-იორკში წერილი გავუგზავნე, შიგ კი ჩემი ტურისტული მოგზაურობის გეგმა ჩავდე. ეს ძალზე სახიფათო იყო და პასუხის მოლოდინში მეტად დაძაბული ვიყავი.

რამდენიმე დღეში დეტროიტში ჩავედი და მთელი ჯგუფი ფორდის სა-

ავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ საამქროს ვათვალიერებდით. საინტერესო ექსკურსია იყო და თითქოს დაძაბულობაც რაღაცნაირად მომეხსნა. უეცრად მესმის რეპროდუქტორის ხმა: „მისტერ გაგუა“! ჩემს წინ რადიოჯიხური იყო, სასწრაფოდ, შიგ შევევარი და მიკროფონს ხელი დავაფარე. დიქტორს ვუთხარი: მე ვარ, ვისაც ეძებთ-მეთქი. მას, რა თქმა უნდა, არც წარმოედგინა, რა სახიფათო იყო ეს ჩემთვის, გაკვირვებით შემომხედა, ქალი რომ აღმოვჩნდი და მითხრა, რომ სასტუმროში გელოდებიანო. უცებ შევაფასე სიტუაცია – უმჯობესი იყო ჩვენი შეხვედრა შემდგარიყო სანამ ტურისტული ჯგუფი ქარხანაში იმყოფებოდა. ყოველივე ჩვენი ჯგუფის წევრს, თბილისელ ექიმს ნელი ჩხელარიას განვანდე, მოვიგონეთ, რომ მე ცუდად ვარ და სასტუმროში უნდა დავბრუნდე. რადგან მარტო არ მივიღოდი, ეჭვი არავის შეპარვია და ჩვენც სასტუმროს მივაშურეთ.

მე იგი იმწამსვე ვიცანი – ძალზედ ჰგავს თავის უმცროს დას ქალბატონ ნორა ჩიქოვან-უკლებას. მასთან ერთად იყვნენ მეუღლე ანნა შნაიდერი და ორი თოჯინასავით ლამაზი გოგონა – ქრისტინე და თამრიკო.

ეტყობა ჩემი ინგლისური წერილიდან კარგად ვერ გაეგო და მხოლოდ შეხვედრისას გააცნობიერა, თუ ვინ ვიყავი. შემდეგ მის ნომერში ქურღბივით შევიარეთ და ვატყობდი, რომ იგი ჩემზე მეტად იყო შეშინებული და დაბნეული.

კითხვებს ბოლო არ უჩანდა. იგი ხარბად უსმენდა ყველაფერს, არ ეჯერა, რომ მამა ინჟინერი, ერთი და პასუხისმგებელი მუშაკი, მეორე ექიმი გამხდარა.

– როგორ, – გაცეცხული კითხულობდა იგი, – მამა რომ დაიჭირეს, ისინი ინსტიტუტებიდან გარიცხესო?

ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ არც ისეა საქმე, აქ რომ გგონიათ-მეთქი!

...იმ წელიწადს საქართველოდან რომ წავიდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს ამთავრებდა და ზაფხულში ჯარში გაიწვიეს, ბალტიისპირეთში გაგზავნეს ერთთვიან სამხედრო შეკრებაზე. რამდენიმე დღეში ფინე-

# ლეო ლერხუელი

თის, შემდეგ დიდი სამამულო ომი დაიწყო, პირველ ხანებში წერილები ხშირად მოდიოდა ფრონტიდან, თანდათან უფრო იშვიათად და თითქმის ერთი წლის სიჩუმის შემდეგ ოჯახს ცნობა მოუვიდა მისი „უგზოუკლოდ“ დაკარგვის შესახებ.

...დეტროიტის სასტუმროში მე და ლეუშა გაცხარებით ვსაუბრობდით. მისი მეუღლე კი შეშინებული თვალებით შემოგვეყურებდა და ცდილობდა გაეგო, ხომ არაფერი საშიშროება მოელოდა მის მეუღლეს. არ ვიცი, რამდენად ზუსტად დავიძახსოვრე მისი მონათხრობი, ძალზე ვლელავდი. შარშან, როცა იგი თავის მეუღლით თბილისში ჩამოვიდა, მინდოდა ყოველივე თავიდან მომეყოლებინა, მაგრამ ისეთი დიდი ემოციური დატვირთვა ჰქონდა, მოკვრიდე წარსულის გახსენებას.

...ლეუშა და მისი ასეული ალყაში მოხვედრილა, ტყვედ ჩავარდნილი გერმანიაში გაუმწყესებიათ.

– საშინელ პირობებში ვიყავით, იგონებდა იგი. დაუძლურებულები, ქანცვამოცლილები ვაშენებდით არხს. გუმანით ვგრძნობდით, რომ ომი დასასრულს უახლოვდებოდა, გერმანელებიც დაბნეულები ჩანდნენ.

ერთ დღეს დაბალი ტანის გამხდარი მოხუცი მოგვადგა – იცოდა, ქართველები ვიყავით და ვცდილობდით, ერთად ვყოფილიყავით, – გვითხრა, – ბიჭებო, მე სპირიდონ კედია ვარ, ქართველი. ომი დღეს-ხვალ დამთავრდე-

ბა, არხს გახსნიან და თქვენც წყალს გაგატანენო. აღგვითქვა დახმარება გაქცევაში და მართლაც ღამით მისი წყალობით ბანაკს თავი დავაღწიეთ. მთელი ღამე მინდორ-მინდორ ვიარეთ. მე იმდენად დასუსტებული ვიყავი სიარულიც აღარ შემეძლო. ბანაკი ქალაქ ბონის მახლობლად იყო და, ეტყობა, ჩვენ სწორედ ქალაქისაკენ გვივლია. იქ გამოჩენა საშიში იყო – უკვე დამწვრიდა რუსი პატრული და საბჭოთა ტყვეებს აკავებდა. ჩვენამდე მოღწეული იყო ხმები იმის შესახებ, თუ რა ელოდათ მათ სამშობლოში. ჩემთვის, რამდენჯერმე გაკულაკებული თავადის შვილისათვის, რომელიც 1937 წელს ხალხის მტრად გამოაცხადეს და დახვრიტეს, უკან დაბრუნება სიკვდილის ტოლფასი იყო. მაგრამ დარჩენა მაინც ვერ წარმომიდგინა...

მთელი ღამის სიარულის შემდეგ გონება დამიკარგავს და ბონის განაპირას ვიღაცის ჭიშკართან უგრძობლად ვვდებულვარ. ოჯახის უფროსს დილით ადრე ვუპოვნივარ და რადგან კარგად იცოდა, რა ელოდა რუს ტყვეს და თვით მასაც საბჭოთა ტყვის შეფარებისათვის, შევცოდევივარ, სახლში შევუყვანივარ და თავის ქალიშვილისათვის ჩავუბარებევივარ – მოუარე, რძე მიაწოდე, საცოდავი ცარიელი ძვალი და ტყავიაო.

ახოვანი ქართველი ჭაბუკის სილამაზემ მოხიბლა გერმანელი ქალიშვილი, რომელსაც თავდავიწყებამდე შე-

უყვარდა იგი. დღეს ის ქალიშვილი ანნა, ბატონი ლეუშას ცხოვრების ერთგული თანამგზავრია, შესანიშნავი დედა და მეუღლის ნათესავების დიდი მოყვასი ქალბატონი.

გერმანიაში დარჩენა საშიში იყო, საშინელი შიმშილი და გაჭირვება იდგა, ანნას ოჯახს ტვირთად ვერ დავაწვებოდი. და ცარიელ-ტარიელი ამერიკაში წამოვედით ემიგრანტებადო...

მაშინ, შტატებში, ბატონმა ლევანმა მითხრა, რომ სათამაშო აპარატების შეკეთებაზე ვმუშაობო. ამერიკის ხმის ქართული რედაქცია მას არც კი უხსენებია... დიდი ხნის შემდეგ შევიტყვევო, რომ სწორედ ის ყოფილა ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ეს რედაქცია ჩამოუყალიბებია. რამდენიმე წლის წინ, როცა პენსიაზე გავიდა, რედაქციამ დიდი პატივი მიაგო, აირჩიეს ქართული რედაქციის მუდმივ საპატიო წევრად და მრჩეველად.

ამერიკაში ნახევარი საუკუნის უნახავი დაძმა ერთმანეთს შეხვდა. შარშან კი ლევან ჩიქოვანი მეუღლითურთ თბილისში ჩამოვიდა. მას დიდი პროგრამა ჰქონდა დასახული – ქუთაისში, ლუჩხუშში ჩასვლა, შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მაგრამ ოთხმოც წელს გადაცილებული ადამიანისათვის ამდენი ხნის განშორების შემდეგ სამშობლოსთან, ახლობლებთან შეხვედრა იმდენად ემოციურად დატვირთული აღმოჩნდა, რომ ბატონმა ლევანმა თავი ცუდად იგრძნო, ქალბატონი ანნა ღამეებს ათენებდა – ეშინოდა, კაცს გული არ გაუსკდესო, და წასვლა დააჩქარეს.

დღეს ამერიკის ქართველთა სათვისტომოს ღვაწლმოსილი წევრი, ლევან ჩიქოვანი, მისი ორი დაოჯახებული ქალიშვილი და ქალბატონი ანნა ვაშინგტონში ცხოვრობს. მაგრამ მათ არასოდეს არ ავიწყდებათ ვისი გორისანი არიან. განსაკუთრებით ამაყობს ქალბატონი ანნა – მან ქართული კერძების მომზადებაც ისწავლა, იცის უამრავი ქართული სიტყვა, თბილისში კი „ქართულს“ ისე ოსტატურად ცეკვავდა, თითქოს ბავშვობიდან ჰქონდა შესისხლხორცებული.

– ჩემი ქმრის გამო კარგად გავიცანი ქართველი ადამიანის სული და ბუნება, მაგრამ თუ ასეთი სიდიადე იყო თქვენს ერში ჩადებული, ბოლომდე თბილისში ყოფნისას გავაცნობიერეო, – ამბობს იგი და საქართველოში ხანგრძლივი ვიზიტისათვის ემზადება.







# ვარია ნურეცკის ბედი!

ახლოვდებოდა საუკუნის მოვლენა – თავდასხმა... ძნელი წარმოსადგენი როდია სამეფო კარის შემოფოთება, მღელვარე მოლოდინი, როცა გაიგეს ნაპოლეონის მიერ ნემანის გადმოლახვის ამბავი. და მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს იყო რუსეთისათვის იშვიათი ხანა, ხანა მოლოდინისა, როდესაც ჯერ ნადრევი იყო გამარჯვებაზე ფიქრი, მაგრამ იგრძნობოდა სახალხო შემართება – დანებებული უპირველესი აზნაურიდან ულატაკეს გლეხამდე, როცა ყველა მზად იყო სიცოცხლის ბოლო წუთამდე დაეცვა თავისი კერა.

„კორსიკელი კაციჭამიასადმი“ სიძულვილმა თავისებური გამოძახილი ჰპოვა თავადის ასულ თურქესტანოვას გულში, რომელიც იზიარებდა თავისი ფრანგი მეგობრების გრძნობებს ამ „დამპყრობის“, აღ „აპოკალიფსური ურჩხულის“ მიმართ, ილონდაც იგი თავის გრძნობებს წინდა ქალური სიფიცხით გამოხატავდა. ამასთან მარიამ დედოფლის სალონიში პირი შეკრეს ბონაპარტის შესაჩვენებლად. ცნობილია, თუ რა გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდა დედის მხრივ ბატონიშვილ ეკატერინე პავლეს ასულის იმპერატორ ნაპოლეონზე დაქორწინების პროექტი, როცა ვაჟიშვილის ყოველგვარი ხვეწნა-მუდარაც კი ამაო აღმოჩნდა.

ღიაღმა ომმა ვარია თურქესტანოვას ბედსაც დააჩინა ნაკვალები. მოსკოვის კატასტროფული განადგურებით გამოწვეულმა საზოგადოებრივმა გადატრიალებამ ფრეილინა მისდაუნებურად ჭკუა-გონებით და სულიერი თვისებებით გამორჩეულ ისეთ პიროვნებასთან დაახლოვა, რაც რომ ჩვეულებრივი ყოფიერების პირობებში შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა ძალზე განსხვავდებოდა.

1813 წელს თავადის ასულ თურქესტანოვას მიეცა შვეტულბა, რათა მოენახულებინა დეიდამისი არსენიევის ქალი, რომელიც თავად-აზნაურთა საყოველთაო გახიზვნის შემდეგ ის-ის იყო დაუბრუნდა მოსკოვს.

„ძველი მოსახლეები ფერფლით გადაფარულ ნანგრევებში ეძებდნენ თავიანთ ნასახლარს. საერთო უბედურებამ, ყველაფრის უკმარობამ, რამაც თავი იჩინა ამ ნანგრევებზე ცქეულ ქალაქში, სადაც იმ დროს სულ თხუთმეტიორდე საკუთარ ეკიპაჟს თუ მოითვლიდით, ერთ ბედ ქვეშ შეყარა და დაახლოვა ის ადამიანები, რომელნიც სხვა შემთხვევაში ვერც გაიცნობდნენ ერთმანეთს. ყველას იმედი ასულდგმულებდა, ცხოვრობდნენ ნანგრევებში ყოველგვარ ცხოვრებისეულ კეთილდღეობას მოკლებულნი, მაგრამ სამაგიეროდ,

ყოველდღიურად გებულობდნენ სამამულო იარაღის წარმატებისა თუ ფრანგების გამანადგურებელი უკუქცევის ამბავს. ყველა გრძნობდა შვეტას იმის გამო, რომ საბოლოოდ გადაურჩნენ იმ საშინელ შემოსევას, რამაც კინალამ დაღუპა რუსეთი და ლამის სულ ცოცხა ასი წლით უკან დაახევინა – რომ არა ნაპოლეონის სულნასულობა, 1813 წლის გაზაფხულამდე გამოეზამთრებინა დნეპრისპირეთში, რათა შეჭრილიყო რუსეთის შუაგულში, რომ მაშინვე გამოეყო პოლონეთი და აღედგინა მისი ძველთაძველი დამოუკიდებლობა – დაესვა მეფე.

„ხიფათმა, რომელიც თავს დაატყდათ და რომელსაც სასწაულებრივად გადაურჩნენ, უბიძგა მათ ერთმანეთისთვის ფართოდ გაეხსნათ კარი მიუხედავად გაჭირვებისა, გულგახსნილად ცხოვრობდნენ და ჯერ კიდევ კვამლში გახვეულ ნანგრევებში წირავდნენ“, როგორც აღნიშნავდა ბატონი ბუდბერგი.

აი ასეთ ვითარებაში შეხვდა ვარია თურქესტანოვა ფერდინანდ კრისტინს, რომელმაც იმთავითვე უპირველესი ადგილი დაიმკვიდრა მის ცხოვრებაში. მოსკოვში პირველივე შეხვედრის შემდეგ გაიბა მათ შორის გულწრფელი მიმონერა – როგორც წესი, ისინი კვირაში ორჯერ წერდნენ ერთმანეთს წერილებს, რომლებიც ქალის მხრივ საოცრად უშუალოდ და მეგობრული ნდობით იყო აღსავსე, მამაკაცისა კი ფაქიზი ერთგულებითა და რაინდული მზრუნველობით.

\*\*\*

კრისტინი რუსეთში სრულიად შემთხვევით მოხვედრილა და სამუდამოდ დადარჩენილა წრფელი სიყვარულის გამო. მას მოსკოვში გაუცვინია გრაფინია დე ბროლი (ლევამოვას ქალი) თავად ალექსანდრე ტრუბეტკოის ქვრივი. იგი ძალზე ღამაზი და უბედური ქალი ყოფილა;

\*\*\*

მიუხედავად ქალის ჭირვეულობისა, მელანქოლიურობისა და გონებაშეზღუდულობისა, სიყვარული, რომლითაც მონუსხა მან კრისტინი, არ განელებულა; ქმარმა მას უანდერძა ის მცირეოდენი ქონება, რაც პატიოსანი პროზით ჰქონდა შეძენილი, მაგრამ დაიკარგა მისი ჩანაწერები და მათ შორის ძალზე საინტერესო მიმონერა მადამ სტალთან, რადგან ქარაფმუტა ქალმა, რომელსაც მიანდო კაცმა თავისი ქალაღებები, არჩია მათი განადგურება. მთელი მისი ცხოვრების რომანი, ვითარცა უვარგისი რამ, ცეცხლს შეუკეთა...

„მაგრამ სწორედ ამგვარი უკულტუ-

რობისა და გაუგებრობების გამო, რის მიზეზითაც ასე რიგად იტანჯებოდა კაცი, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა ბედი ამ ქალს, იგი უფრო მეტად აფასებდა თავადის ასულ თურქესტანოვას დიდ ნიჭსა და მის ლობიერებას“, – წერს ვიგელი – თუმცა ფრანგი არ იყო (წარმოშობით შვეიცარიელი), მაგრამ საფრანგეთის იეზუიტთა კოლეგიაში აღიზარდა. ახალგაზრდობაში კოლინის მდივობა მიანდევს და რევოლუციის დასაწყისსაც შესწრებია. კობლენცში მან სამსახური გაუნია ლუი მეთექვსმეტის ძმებს, უპირატესად კი გრაფ არტუსს. გადაცემულმა, რამდენჯერმე პარიზიც კი მოიარა და თავგანწირვის ფასად შეაღწია ტიუილორიში, რათა მეფისთვის წერილები გადაეცა. ეთიკეტი მათ შორის არც არსებობდა; კრისტინი უბოდიშოდ საუბრობდა მეფე-დედოფალთან, ბატონიშვილ ელისაბედთან და პატარა, საბრალო დოფინსაც ხშირად ეფერებოდა.

ლუი XVI სიკვდილის შემდეგ გრაფ არტუსამ კრისტინი პეტერბურგში იახლა. იმპერატრიცა ეკატერინემ ბრწყინვალედ მიიღო პრინცი. მისი წასვლის შემდეგ კრისტინი რუსეთში დარჩა ერთგულებისთვის. იმპერატრიცამ იგი გულუხვად დაასახურა, მისი თვალსაზრისი სრულიად ეთანხმებოდა საიმპერატორო პოლიტიკას (იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიაში იყო მივლინებული და პოდოლსკის გუბერნიაში 400 სული მიიღო საჩუქრად; ვიგელის მემუარებში).

იმპერატორ ალექსანდრეს ტახტზე ასვლის შემდეგ თავის ნებასურვილით განდგომილი კრისტინი დაბრუნდა მამულიდან, სადაც გაატარა პავლე პირველის მეფობის ხანა. მას მოენატრა თავგადასავლები, ძველი არ იკმარა... და ელჩად დანიშნულ მეგობარს მარკოვს პარიზში გაუყვა. ასეთნაირად გაიცნო მან ბონაპარტის ოჯახი მისი დებითურთ – ერთს ერქვა ჟოზეფინა, მეორეს კი ჰორტენზია; მაგრამ თავისი პრინციპებისათვის არ უღალატებდა მცემელი დარჩა. ეს შეამჩნია პოლიციამ და დევნა დაუწყეს. მეგობრების რჩევით იგი შვეიცარიაში გაემგზავრა. იქ კი ქალბატონ დე სტალთან და პოლიტიკურად დევნილ კოპესთან დაახლოვების გამო ლემანის პრეფექტმა შინაპატიმრობა მიუსაჯა.

\*\*\*

ეს იმ საშინელ დევნათა დასაწყისი იყო, რაც მას პარიზში გადაყვანის შემდეგ ელოდა. 1803 წლის 29 აგვისტოს იგი სახელმწიფო მოსამართლესთან იხმეს და ტამპლის ნესტიან საკანში უკრეს თავი.

20

\*\*\*

26 სექტემბრის ბრძანებისამებრ იგი ლატვიის კომპარტიში გადაიყვანეს, სადაც ისევე ცხოვრობდა, როგორც განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეს. მისივე მონაყოლიდან ცნობილია, თუ როგორ უგებდნენ მასებს, რათა რუსეთის ხელისუფლების ლანძღვა-გინება დაეტყუებინათ – ნიადაგ ჩასჩინებდნენ, – ყველამ ზურგი შეგაქცია, აღარც გრავ მარკოვს ენაღვლება შენი ბედით, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა.

\*\*\*

მიუხედავად ინკვიზიციის მსგავსი მოპყრობისა, კრისტიანმა საოცარი ქედუხრელობა გამოიჩინა მაშინაც კი, როდესაც დაშინების მიზნით სიკვდილის მისჯის სცენა გაითამაშეს.

\*\*\*

1804 წლის 28-29 თებერვლის ღამეს იგი მოულოდნელად გადაიყვანეს სენ-პელაჟის ციხეში და ბნელ კარცერში, თივაზე მიაგდეს. მძიმე ავადმყოფობა ხელს როდი უშლიდათ საიდუმლოდ ჰყოლოდათ იგი და უმკაცრესად მოქცეოდნენ. 26 ივლისის კრისტიანი კვლავ ტამბლში დააბრუნეს, სადაც 1805 წლის იანვრამდე დაჰყო. უცნაური და გასაკვირველი ის იყო, რომ ციხიდან ციხეში გადაყვანისას დაკითხვებით თავს არ ინუხებდნენ, სამაგიეროდ ისეთ გაუგონარ ძალადობებს მიმართავდნენ, რისი მსხვერპლიც გახდნენ კადუდალი, პიშვერიუ, ენგინის ჰერცოგი, მორო. პირველი კონსული გაუგონარი სიმკაცრით ექცეოდა. ტიუილრიში გამართულ მიღებაზე იგი უხეშად გამოელაპარაკა კრისტიანის მფარველს, გრავ მარკოვს და სიტყვა გადაუყრა, რომ რუსი საიდუმლო აგენტები მოქმედებენ მის სანიხანაღმდეგო შეთქმულებაში.

\*\*\*

როდესაც პარიზში აშკარა გახდა ადამიანის უფლებათა შელახვის ეს სამწუხარო შედეგები, სიმკაცრეს უკლეს და პაპის, პიუს მეშვიდის თხოვნით სხვებთან ერთად კრისტიანიც გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსვლისთანავე მას უბრძანეს დაეტოვებინა საფრანგეთის საზღვრები და მისიში დაბრუნება კიდევ პეტერბურგში იმ რწმენით, რომ რუსეთისათვის გადატანილი განსაცდელის გამო იქ საუკეთესოდ მიიღებდნენ. მოტყუვდა, რადგან ვერ გაითვალისწინა იმპერატორ ალექსანდრეს უარყოფითი აზრი, რომელიც წინასწარ აუმხედრა მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ ლავარჰმა, – ასე რომ, პეტერბურგშიც იმედგაცრუებული აღმოჩნდა. მიუხედავად ასეთი უსამართლობისა, მას ჰქონდა საბაბი, რათა რესტავრაციის ხანაში საფრანგეთში აღარ დაბრუნებულიყო. გარდა ამისა, ის აღარ განიცდიდა, რომ ველარ ხედავდა იმ პრინციპთა მიმდევრებს, რისთვისაც იქამდე ესოდენი თავგანწირვით იღვწოდა.

\*\*\*

სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე (კრისტიანი გარდაიცვალა 1837 წელს), როდესაც მეფობდა ლუი ფილიპი, კრისტიანი ასე სწერდა სოფიო ბობრინსკაიას, – ვინც მემუარების გამოქვეყნებას თავაზობდა.

„სანამ ბურბონები მეფობდნენ, ამას არ დაუშვებდნენ, ახლა, როდესაც განსაცდელში არიან ჩავარდნილი, სიმაბლეს იქნებოდა ამენერა, რა მდგომარეობაში მინახავს ისინი ემიგრაციაში. მაშინ მე დაახლოვებული ვიყავი მათთან, გატაცებით ვემსახურებოდი საქმეს, რომელიც იმდენად მშვენივრად მიმაჩნდა, რომ არაერთხელ გამიწირავს თავი... ვემსახურებოდი სიყვარულით. ასე გრძელდებოდა კარგახანს, ვიდრე არ განვიხიბლე მათში, თუმცა თავიდანვე, რაც მათ საქმიანობაში ჩავები, უამრავ ჩემთვის საჩოთირო ამბებს ვხედავდი. მე შევნიშნე, რომ მათ, – განსაკუთრებით კი ლუი XVIII, სიყალბე კეთილგონიერებად მიაჩნდა: ვხედავდი, რომ თურმე ბოლო წუთამდე შესაძლოა ეფერო ადამიანს, რომლის სასიკვდილო განაჩენიც უკვე ხელდასმულია...“

\*\*\*

კენინა სოფიო ბობრინსკაიას უხანდერძა კრისტიანმა თავადის ასულ თურქესტანოვას მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებსაც სასოებით ინახავდა და თან აცნობდა მას ტრაგიკული სიკვდილის მიზეზი ამ უმშვენიერესი ბანოვანისა, რომლის დაკარგვამაც გაუმწარა სიცოცხლის ბოლო ოცი წელი.

(1837 წლის 5 ივლისის წერილიდან).

\*\*\*

გრაფინია დე ბროლისთან დამოკიდებულება არ იყო იმგვარი, რომ მას ასეთ მწუხარებაში ნუგეში ეცა. ვარია თურქესტანოვასთან მას სულ სხვა ინტერესები აკავშირებდა – ინტერესები გრძობა-გონებისა, რაც მის არსებობას ავსებდა. მეორე მხრივ მასაც დიდი გავლენა ჰქონდა ქალზე, რომელიც ხანმოკლე დროის მანძილზე მისი ხანის უდიდესი, უძლიერესი თვითმპყრობლის ფარული კეთილგანწყობით სარგებლობდა. კრისტიანისა და თავადის ასულის ხანგრძლივ იახლოვებს არასოდეს არა ჰქონია სიყვარულობანას ელფერი და ერთმანეთის სატრფიალოდ შექმნილი ამ ორი ადამიანის უნაზესი მიმწერა თავისუფალია უადგილო, ზედმეტი რიდისა და თავაზიანობისაგან.

\*\*\*

კრისტიანი ძალზე გულმართალი კაცი იყო და ამას გარდა, ორივეს თავთავისი კავშირები ჰქონდა, რაც მსგავს თამაშს გამოიწვევდა. თავადის ასული იმდენად აღარ კეკლუცობდა, რომ თავის ფიზიკურ სატიკვარსაც კი მოურიდებლად უმხელდა. უზიარებდა ზნეობრივ განცდებსაც, მის სულს მძიმე ტვირთად რომ აწვა, რისი გამხელაც თითქმის შეუძლებელი იყო, ხო-

ლო როცა დრო დადგა – არც სასახლის კარისადმი ზიზღი დაუშლავს, საიდანაც თავის დაღწევის ძალა არ შესწევდა. ამ ხელოვნურ გარემოში მისთვის ერთადერთი ზნეობრივი საყრდენი იყო კრისტიანი, გარემოში, სადაც იგი განიცდიდა და ეჭვიანობდა და სადაც ამაოდ ცდილობდა რამდენადმე უზრუნველად ეცხოვრა. ამაოდ ცდილობდა კაცის სახიფათო კბოდეზე მის შეჩერებას: იგი გრძობდა, რომ ქალზე გავლენას კარგავდა და მიუხედავად ამისა, მაინც უყვარდა იგი...

\*\*\*

როდესაც ყველაფერი ჩაივლის, როდესაც წლები, დროც კი ვერ განკურნავს მის დარდს, იგი ასე დანერს დაუვინყვარი მეგობრის წერილების შესავალში: „მისი დაკარგვის შემდეგ მე ისეთი სიცარიელე ვიგრძენი, როგორც დაუფლება მამას, რომელსაც უეცრად, მოულოდნელად გამოეცლება ხელიდან ერთადერთი შვილი“.

\*\*\*

როგორც ჩანს, ეს კალმით ნახატი მანდილოსანი, გარდა წმინდა გარეგნული მიზნიდევლობისა, ბუნებით იმდენად მომხიბვლელი იყო, რომ მიუხედავად არაყმანვილქალური ასაკისა, ასეთ ცხოველმყოფელ გრძობებს ინვევდა. ქალებიც კი ალტაცებაში მოჰყავდა, მათ შორის გრაფინია ოსტერმანი, რომლის ძმასაც ისე „შეყვარებია“, რომ საბოლოოდ მტრად მოკიდებია და ყველანაირად ცდილობდა თურმე ვნების მიყენებას. ბორის გოლიციინის ცოლი ჭკუას კარგავდა მისთვის მას შემდეგ, რაც მათთან აღარ ცხოვრობდა და ეჭვიანობდა კიდევ, რაზეც თავადის ასული კრისტიანთან ჩიოდა ხოლმე.

\*\*\*

არც ისე მიმნდობი იყო თავადის ასული – მას ნაკლებად წამდა ამ გადაჭარბებული სინაზისაც და სასახლის კარზე მორიგეობისა შეძენილ ამხანაგთა ერთგულებისაც. ამიტომ ძალზე თავშეკავებული იყო სეფექალებთან, – გამორიკისი განხილდათ ახალგაზრდა გრაფინია სამოილოვა, შემდგომში კენინა სოფიო ბობრინსკაია.

\*\*\*

– „მეტისმეტ გარეგნულ გულწრფელობასთან ერთად მე ბევრი რამ მხვდება თვალში“ – წერდა იგი. მუდამ დაკვირვებული და პირადი საიდუმლოსა თუ განსაცდელის გამომჟღავნებისადმი მოშიში, ასე ამბობდა: „უმჯობესია ნაკლებად გრძობდე ცხოვრებას, ვიდრე სიღრმისეულად შეიგრძნო იგი. ეს ფრაზა მაღამ დე სტალის სტილიშია. ხანდახან განსაკუთრებით ძნელია ხოლმე მარტოდ მარტო, საკუთარ მესთან ყოფნა; ნაწილობრივ მე თვითონ ჩავიგდე თავი ამ დღეში, ნაწილობრივ კი გარემოებამ მაიძულა. მთელი ქვეყნიერება ისე მიყურებს, როგორც სამუდამოდ გულქვირივობისათვის განწინ-

რულ ერთ-ერთ ქალთაგანს, ვისაც ახსენებს შატობრიანი, ვინც წნეობრივად ეუფლია და ეს მაშინ, როცა შევიგნე, რომ მომადლებული მქონია სიყვარულის უზენაესი ნიჭი“.

\*\*\*

ეს სიტყვები მან იმის წინ დაწერა, როცა ის ის იყო აღმოჩნდა სიყვარულის მორევში, რაც დაღუპვას უქადდა. თავის მოტყუებას ცდილობდა იგი თუ მეგობრისას? „ქალის ღირსება არ შეიძლება გაუტოლდეს მამაკაცურ პირდაპირობას და ხანდახან ვალდებულია იცრუოს, რაც მძიმე, მაგრამ აუცილებელიც კია“. სავალალოდ იგი დარწმუნდა ამ ჭეშმარიტებაში, რადგან მიუხედავად მისი ქალური მოქნილობისა და შემპარავი ლმობიერებისა, ფრიადაწყაი.

\*\*\*

სამეფო კარზე გატარებულმა მერვე, ჩინებულმა ზაფხულმა სრულიად შეცვალა თავადის ასულ თურქესტანოვას ცხოვრება: მას თვალი დაადგა იმპერატორმა ალექსანდრემ. ქალს მარტოდენ სამეფო გვირგვინის ბრწყინვალეობა როდი აბრმავებდა; დახეთ ბედის უკუღმართობას იმავდროულად, ვერ შეძლო რა თავისი გრძნობების მოთოკვა, იგი მიანყდა მეორე სიყვარულს, რაც ყველა მისი ტანჯვისა და შემოიღობის მიზეზად იქცა. იგი თითქმის უმხელს კრისტინს თავის გატაცების ამბავს: „საქმე ძალზე ცუდადაა, ჩემი სხეული ჩემივე მტერია...“.

\*\*\*

თუ თარიღებს დავაკვირდებით, ეს ფრიად მნიშვნელოვანი განდობა იმ დროს ემთხვევა, როდესაც იგი ლამაზ ოფიცერს, თავად ვლადიმერ გოლიცინს დაუახლოვდა. რაც შეეხება იმპერატორს, ისიც არანაკლებ მომხიბვლელად ერყვნებოდა და მასთან ერთ-ერთი შეხვედრის გამო ამბობს: „არასოდეს არ მინახავს იგი ესოდენ შნოიანი; ერთხელ სერთუკითა და ქუდით შემოვიდა. თქმა არ უნდა, ის ერთ-ერთი ულამაზესი მამაკაცია დედამინის ზურგზე“.

\*\*\*

თავადის ასული არ აზვიადებდა, ცნობილია, რომ იმპერატორიცა ეკატერინეს საყვარელი შვილიშვილი ლაზათითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა და თავის დროზე ვეროპის ბედ-იღბლის გამგებელმა, მთელი თავისი ძალაუფლებისა და დიდების ხიბლი დაუოკებელ დონ-ჟუანურ გატაცებებს შეაღია.

მას უყვარდა მანდილოსანთა საზოგადოება და ნიადაგ იყო რომელიმე მათგანის გაცლენის ქვეშ, ოღონდაც არა საკუთარი მეუღლისა. მწყაზარი, გონებმახვილი ფრეილინასთვის თავბრუსდახვევა მისთვის ჩვეული თავშესაქცევი იყო. საკუთარი თვალ-ტანადობით და ჩაცმულობით მეტისმეტად გატაცებული, სიამოვნე-

ბით სარგებლობდა თავისი გარეგნული უპირატესობით, რათა მრავალრიცხოვან თავყვანისმცემელთა გულები მოენადირებინა. მისი მეუღლის, მისი უბრწყინვალეობის ეს სისუსტე კარგად უწყოდა იმპერატორიცა ელისაბედმა. როცა მიცვალებულისათვის სულდარა გადაუფარებია, მას რამდენიმე გულში ჩამწვდომი, სინაზითა და სინრფელით აღსავსე სტრიქონი მიუწერია დედამისისთვის, „არ მსურდა გამოემჩინა მისი სახე, რადგან ეს მკრეხლობად მივიჩნიე; იგი ხომ მუდამ თავმოძნობოდა თავისი გარეგნობით და არ ესიამოვნებოდა, რომ ესოდენ შეცვლილი ეხილათ“.

\*\*\*

მაგრამ გარდა ჩვეული არშიყობისა, იმპერატორს თავადის ასული ბანოვანთა წრისათვის იშვიათი იმ ღრმა გრძნობებითა და სერიოზულობითაც იზიდავდა – ხშირად განუკურნებელი მელანქოლიით მოცულ მის ფიქრთან და სევდიან გუნებაგანწყობილებას რომ ეთანხმებოდა და სინდისის ქენჯნით იყო გამოწვეული, რასაც ამძიმებდა და აღვივებდა ხელმწიფის მკაცრი პოლიტიკა. დედა მოსვენებას არ აძლევდა; სხვათა შორის, რამე რომ დაეტყუებია, ხშირად იხმობდა კიდეც იმ ოთანშიო, სადაც სათუთად ინახავდა პავლე პირველის გასისხლიანებულ ღამის მორთულობას.

\*\*\*

თავადი ადამ ჩარტორიისკი მოგვიტბრობს მეფედ კურთხევისას თავისი გვირგვინოსანი მეგობრის ღრმა სევდაზე. ამ სევდას ზოგჯერ თავს ვერ აღწევდა და ამას უნდა მივანეროთ სწორედ მასზე ქალბატონ კრიუდნერის მისტიციზმის უცნაური ზეგავლენა თვით მისი არსებობის შედარებით ბედნიერ ხანაში: ნუთისოფლის ამაოების შეგრძნება, რამაც მეფობის ბოლო დროს იპოხონდრამდე მიანა. ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ცვალებადი ხასიათის წინააღმდეგობანი, რასაც ნაპოლეონი თვალთმაქცობად მიიჩნევდა, ისტორიის მიერ დღემდე ამოუხსნელია და იგი საფლავში ისე ჩავიდა, როგორც „გამოუცნობი სფინქსი“.

\*\*\*

თავადის ქალი იმპერატორთან პირველ დაახლოებაზე, რისი საბაბიც შემთხვევითობა ქცეულა, ასე გვიამბობს: „ამ რვა წლის მანძილზე, რაც სამეფო კარზე ვარ, პირველად მომინია ხელმწიფესთან და მის ოჯახთან ერთად სადილობამ. წინა შაბათს მან მოინვია პრინც ორანიელის სახლობა და აგრეთვე ფრეილინა სამარიონა და მე (თავადის ასული თურქესტანოვადროებით დანიშნა ბატონიშვილ ანას სეფეკლად, რომელიც ის-ის იყო ცოლად გაჰყვია ორანიელ პრინცს). აქამდე ერთხელაც არ გამომლაპარაკებია; ამჯერად რამდენიმე სიტყვა გადავუკარით ერთმანეთს. ნასადილევს კვლავ მომიახლოვდა

და ათას წერილმანზე გამიბა საუბარი. მე როდი შეეცბი, ასე რომ, ძალზე უშუალოდ და ხალისიანად ვებაასე. მეტად თავაზიანი მომეჩვენა და იმდღევანდელივით რომ მომიხდეს ხოლმე შეხვედრა, ასე მგონია, სიგიჟემდე შემეყვარდება“.

\*\*\*

დიდი ადამიანი ფრიად მოიხიბლა და როგორც ჩანს, იმ დღიდანვე ჩაისახა სიყვარულის გრძნობა, ჯერ თავშეკავებული და წყვეტილი, იმპერატორის უთვალავი თავსატეხისა და ხშირი არყოფნის გამო, რაც შეეხება თავადის ასულს, ის სასიყვარულო ნეტარით მთვარალი, ჯერ კიდევ ვარდისფერი პრიზმით ჭვრეტდა გარემოს და ცა ქუდად არ მიანჩნდა...

\*\*\*

„ჩვენი აქ ყოფნა, ნამდვილი ნეტარებაა, – წერს იგი, – ბუნება ხარობს და პეტერგოფი მართლაც რომ დიდებულია... მშვიდობით ბრძანდებოდეთ, კეთილო კრისტინ, იყავით ჯანმრთელად, გიყვარდეთ და ჩემთან ერთად გიხაროდეთ, რომ მე აღარც თვრამეტი წლისა ვარ, აღარც ოცისა და ასეთ ასაკში კეთილგანწყობის ის მცირეოდენი გამოვლინებაც კი, რაც ამ დღეებში მხვდა წილად, შეიძლება სახიფათოც გახდეს ჩემთვის“.

\*\*\*

მალე ყველასთვის გაცხადდა ყოველივე, მით უფრო იმ ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, ზღვაზე გასეირნების მერე რომ გაიმართა იმპერატორსა და თავადის ასულს შორის, რასაც იგი გონებამახვილურად აღწერს:

„მასთან საუბრისას, – შენიშნავს იგი, – მე ვტკებოდი იმ გულისყურით, რომლითაც მისმენდა იგი და გამეცალა თუ არა, შევნიშნე ადამიანები, რომლებიც გარს შემომერტყენ. მერწმუნეთ, თვალი რომ მოეკარი მათ გაცივებულ სახეებს, მეგონა პირველად მხედავდნენ, ყოველი მათგანი ცდილობდა მხლებოდა და გამომლაპარაკებოდა! ახლაც კი მეცივნება ეს რომ მახსენდება. რას ვიზამთ, ასე ყოფილა დასაბამიდან, დღიდან პატრონ-ყმობის გაჩენისა“.

\*\*\*

გავა ცოტაოდენი დრო და იგი კვლავ დაუბრუნდება ამ საჭირობოროტო საკითხს.

\*\*\*

„მაშინდელი სიახლოვე კვლავ გრძელდება და ცხადია, ვეცდები მის შენარჩუნებას, არ დაგიმალავთ, ყოველ ღონეს ვიხმარ საამისოდ. გეფიცებით, ეს კაცი რომ ხელმწიფე არ ყოფილიყო, ვინატრებდი მასაც ძალიან მოვწონებოდი, რადგან თავდავიწყებამდე გამიტაცა“.

ფარული ტრფობა გრძელდებოდა...

# ახალციხე

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ახალციხის ტერიტორიაზე მოსახლეობა ცხოვრობდა ჯერ კიდევ ჩვენწელთაღრიცხვამდე. მის ქალაქად დაარსებას კი IX საუკუნით ათარიღებენ.

ქალაქი პირველად იხსენიება „ლომსია“-დ. აღსანიშნავია, რომ ამავე სახელწოდების ნასოფლარი მოხსენებულია „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დაჯთარში“. (ტ.-III. გვ. 478). რომელიც მდებარეობს ბორჯომის რაიონში, სოფელ ქვაბისხევიდან ჩრდილო-დასავლეთით ოთხიკილომეტრის დაშორებით ე.წ. ლომსიის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სოფლის გაუქმება ემთხვევა იმ პერიოდს, როცა ახალციხე ის-ის იყო ქალაქის ტიპის დასახლებად იქცა. გამორიცხული არ არის, რომ მოახალშენების უმრავლესობად ლომსიის მკვიდრნი ყოფილიყვნენ და ახლადდარსებული ქალაქისათვის ლომსია ეწოდებინათ.

ქალაქი „ლომსია“ ახალციხედ იხსენიება XII საუკუნიდან, მას შემდეგ, როცა ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა და ნანგრევებად აქცია ქალაქი წუნდა თავის ციხესიმაგრეებით. ამ გარემოებამ განაპირობა დანგრეულის სანაცვლოდ სამცხეში, კერძოდ, ლომსიაში აშენებულიყო ახალი ციხე და ქალაქის სახელიც შეიცვალა ახალციხედ.

ასევე ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ ლომსია (ახალციხე) IX საუკუნიდან სამცხე-საათაბაგოს სახელგანთქმული ქალაქი იყო, სამწუხაროდ, მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალთა ხელში გადადის. სამცხე-საათაბაგო და ქალაქი ახალციხე დედა-სამშობლო საქართველოს დაუბრუნდა 1829 წელს.

მესხეთის ეს შესანიშნავი მხარე ტოპონიმითურად ასე იწოდებოდა: სამცხე ნაწარმოებია სამი ციხისაგან, რაც შეეხება საათაბაგო განმარტებულია ქართულ ენციკლოპედიის პირველ ტომში:

„ათაბაგი – (თურქ-მამა-ბატონი), სელჩუკთა სახელმწიფოში სულთანის მემკვიდრის აღმზრდელი და მეურვე...“

საქართველოში ათაბაგი იყო ერთ-ერთი ვაზირი. მის ფუნქციებში შედიოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა... ხშირად ათაბაგობასთან შეთავსებული იყო ამირსპასალარის თანამდებობაც. 1334 წელს მეფე გიორგი (ბრწყინვალემ) ათაბაგობა უბოძა თავის ბიძის, სამცხის მთავრის სარგის ჯაყელის შვილს ყვარყვარეს... ათაბაგობა სამცხის მთავართა ტიტულად იქცა (აქედან სამცხე-საათაბაგო). (ქსე ტ1).

ამ პატარა წერილს ორი დასათაურება მივეცი, როგორც ნახეთ „პირველ ნაწილს“ ახალციხე ვუწოდე, „მეორე ნაწილსაც“, რომელსაც ქვემოთ გავცნობით, შესაფერისი სათაური შევუფარდე:

## მანუჩარ ჯაყელის უმაგალითო გმირობა

სამცხის ბოლო ათაბაგი ქაიხოსრო ჯაყელი 1573 წელს გარდაიცვალა, რის შემდეგ ათაბაგობას მისი ორი ვაჟი ყვარყვარე და მანუჩარი ეცილებოდნენ. ბუნებრივია, ახლა ქართლის მეფე მათ სურვილს ვერ დააკმაყოფილებდა, ვერ უბოძებდა ათაბაგობას რომელიმე იღბლიანს, რადგან ამ დროს სამცხე-საათაბაგო ოსმალთა ხელში იყო.

საქმის მოგვარება თურქეთის სულთანის გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომ ძმები სულთანის მოთხოვნით სტამბულს გაიწვიეს. იქ დიდხანს ელოდნენ სასურველი თანამდებობის მიღებას, არ იცოდნენ, ვის გაუღიმებდა ბედი, ვინ მოიპოვებდა ნდობას სულთანის წინაშე. სულთანმა მათ გამაჰმადიანება მოსთხოვა. ყვარყვარე სასტიკ უარზე დადგა და ბოლომდე ურყევი დარჩა თავისი გადაწყვეტილებების. ძმის შემყურე, ათაბაგობის მომლოდინე მანუჩარი თითქოს მერყეობდა, მაგრამ სულთანის პირისპირ აღმოჩნდა, მისგან „ბრძანებლმა“ დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, იგი დათანხმდა წინდაცვათი ჩაეტარებინათ. თურქებმა მას მუსტაფა შეარქვეს და მმასთან ერთად ფაშის წოდებით სამშობლოში გამოისტუმრეს.

თურქეთის სულთანის ბრძანებით 1559 წელს ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხეში ათაბაგობა გაუქმდა და მის ნაცვლად ახალციხის საფაშო დაარსდა, რომლის პირველ ფაშად მანუჩარყოფილი მუსტაფა დაინიშნა.

მანუჩარ ჯაყელი თავის სამშობლოსა და ხალხზე უზომოდ შეყვარებული, სისხლითა და ზორციტ ქართველი, ხეიღის ვერ ურიგდებოდა, რადგან გამაჰმადიანების შემდეგ იძულებული იყო, მონაწილეობა მიეღო ქართული სოფლების დარბევაში. ჭკვიანი და ფიზიკურად მეტად ძლიერი მანუჩარი, ხელს ვერ აღმართავდა თანამომკვებზე, პირიქით, მაჰმადიანობა სწორედაც იმიტომ მიიღო, რომ ამოეძირკვა მათი სახსენებელი. თავისი ჩანაფიქრი ქართლის მეფე სიმონს გაანდო.

მეფეს გაუმართლა და სადაც კი მოიხეტებოდა თურქთა მარბიელ ლაშქარს, ყველგან მუსრს ავლებდა. ბევრი ოსმალთა გაყლიტეს მალხაზის წვერზე და მუხრანთან. როცა კი ქართველებს უჭირდათ მტრის დამარცხება, მათ რიგებში გამოჩნდებოდა ხოლმე „უცხო“ მეომარი და გამარჯვების სასწორი ქართველებისკენ იხრებოდა. არაეინ არ იცოდა ღვთის მოვლენილი მეომარის ვინაობა, რომელიც ერთნაირად აოცებდა მტერსაც და მოყვარესაც თავის სიძლიერით, ბრძოლის

იღეთებით, რის გამოც უწყალოდ იხილებოდა სხვის მიწაზე შემოჭრილი მუსულმანთა ბრბო; მისი ვინაობა მხოლოდ სიმონ მეფემ იცოდა, ის გახლდათ მანუჩარ ჯაყელი.

გაცეცხლებული თურქები ვერ ურიგდებოდნენ მარცხს, იმისათვის, რომ თავი ემართლებინათ სულთანთან, მუხრანთან დამარცხებულმა, ბეწვზე გადარჩენილმა თურქთა სარდალმა ყველაფერი მანუჩარს გადააბრალა, თუმცა საამისო სამხილი არ გააჩნდა და მისი ღალატით მოკვლა განიზრახა, შეუთანხმდა მეკმედ ფაშას და საგანგებოდ მოწყობილ კარავში დაიბარეს მანუჩარი, ვითომდა სამხედრო თათბირისათვის. ცხადია, მანუჩარმა გუმანიტ იგრძნო ღალატის სუნი, ყოველშემთხვევისთვის თან ორმოცდაათი მხედარი წაიყვანა, რომლებიც კარავის სიახლოვეს გაჩერდნენ.

კარავი მართლაც საგანგებოდ მოეწყობა, ხალიჩადაცხლებულ შესასვლელთან ხმაღაში მშვლებული მცველები კარავში შემსვლელს საბრძოლო იარაღს, ხმაღს გარეთ ატოვებინებდნენ და უიარაღოდ უშვებდნენ. მანუჩარიც გაათავისუფლეს „ხედმეტი“ ბარგისაგან, რომ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი. მანუჩარმა ჯიდა თვალები გადაავლო საკმაოდ მრავალ „მოთათბირებს“, მის ამაყ მზერას მეკმედ ფაშას ამღვრეული თვალები შეეგება, დანარჩენთა დამაბული თვალებიც მანუჩარის უშიშარი სახისკენ იყო მიპყრობილი და წამი-წამს ელოდნენ, თუ როგორ გაგორდებოდა გურჯის თავი თურქულ ხალიჩაზე, ხმაღაში მშვლებული მცველების სახეებზე სიკვდილის აჩრდილი ეშაღდებოდა საზეიმოდ, ისინი მეკმედ ფაშას სიგნალს ელოდნენ. მათთან მიახლოებული მანუჩარის ომახიანი შემახილი და მეკმედ ფაშას ნიშანი ერთდროული აღმოჩნდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რადგან მანუჩარის მარცხენა ხელში მოხვედრილმა ერთ-ერთი მცველის ბასრმა მახვილმა თხემიდან ტერფამდე გაკვეთა მისი პატრონი, რომელიც ახალთახალ ხალიჩიდან ეთხოვებოდა მეკმედ ფაშას შეპირებულ საჩუქარს. დანარჩენებს კარავში სწრაფად შემოსული ქართველები „გაუმასპინდლდნენ“. სასწაულად გადარჩენილი მეკმედ ფაშა უკანმოუხედავად თავქუდმოგლეჯილი ყარსისაკენ გარბოდა შურისძიების მოსამზადებლად.

მანუჩარ ჯაყელმა ქრისტიანობა დაიბრუნა და თავის სამფლობელოში ანტიოსმალური აჯანყების ცეცხლი დაატრიალა და შიგ ამბოუგა მუსულმანთა მოდგმა.

პატივცემული მკითხველო: ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩემი წერილის „მეორე ნაწილის“ სათაური ასე უღერს: „უმაგალითო“. არნახული, გაუგონარი, უჩვეული. უ- გმირობა“. აქ ერთი გეოლოგიური შედარება გამახსენდა, როგორც ახალციხის კაუის საბადოებს არ მოეძებნება მსოფლიოში ანალოგი, ასევე უმაგალითოა მანუჩარ ჯაყელის გმირობა.



● 1961 წლის ზაფხულის ცხელი დღეა. მამა რაიფინგანის მუშაკი იყო და დილიდანვე გავიდა შინიდან. დედა, რომელსაც ჩვენსავით არდადეგები ჰქონდა, როგორც პედაგოგს, რაღაცას საქმიანობდა, ჩვენც – ხუთი და-ძმანი თავ-თავისი საქმით ვიყავით გართულნი. მეტად შეგაკართო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დავით ლომჯარიას მოულოდნელმა სტუმრობამ. სახელგანთქმულ დრამატურგს პოლიკარზე კაკაბაძეს თურმე თავისი ცოლ-შვილით მთელი ზაფხულით თიანეთში დასვენება და მუშაობა გადაეწყვიტა. პოდა, რაიონის ხელმძღვანელობას არჩევანი ჩვენს ოჯახზე შეეჩერებინა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა: რაღა რაიცენტრის განაპირას მდგარ ერთ მოკრძალებულ ბელეტაჟიან სახლსა და ხელმოკლე ოჯახში დაბინავებას სთავაზობდნენ სახელგანთქმულ მწერალს, მაშინ როდესაც თიანეთში საკმაოდ მოიძებნებოდა მდიდრული სასახლეები, თვალი რომ ზედ დაგრჩებოდათ. დედაც სწორედ ამით ხსნიდა თავის უარს.

– არა, არა, მომისმინეთ!... გაცხარდა თავმჯდომარე, – მას აინტერესებს არა ცენტრში წამოჭიმული სრა-სასახლეები, მოასფალტებული ეზო, მასპინძლის ქონება თუ მისი დიდვინებობა, არამედ სადმე განაპირას მდებარე ერთი მწვანემოლიანი, ხეხილისბაღიანი ბინა და რაც მთავარია, რიგიანი, უხმაურო ოჯახი, მუშაობის ხეირიანი პირობები რომ ჰქონდეს, მეტი არაფერი!

მოკლედ, სტუმარმა დედა მაინც დაიყაბულა. იმათ, ვისაც თავად უწევნია, თუგინდ ერთი განებივრებული ბავშვის წყალობით რა აურხაური სუფევს ხოლმე ზოგიერთ ოჯახში, შეიძლება გაუკვირდეთ: სადაც ხუთი მოზარდი იტრიალებდა, იქ შემოქმედისათვის საჭირო რა სიმყუდროვეზე ლაპარაკი შეიძლებათ. სურათის სრულყოფისათვის შეგინძნავ – ბავშვობიდანვე ძობლობისა და სიღარიბის გამო დედას მეტად მკაცრი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი და ჩვენც ამავე ყაიდაზე გვზრდიდა. მშობლები შვილებს სულ ამას ჩაგვძახობდნენ ყურში: ისე ლუკმას გემო არ ექნება თუ თი-

თოეულმა თქვენთავანმა თავისი წილი ოფლი არ დააპკურაო. ამიტომ თუ გაკვეთილებს არ ვამზადებდით, მაშინ ყველა ჩვენთავანი, შესაძლოა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც რაღაც საჭირო საოჯახო საქმით იყო დაკავებული. სწორედ ამ მიზეზით ჩვენი ეზო-ყურიდან ვერვინ მოისმენდა განებივრებული ბავშვების უგვანო წიოკობასა და ჩარბუნანას...

ჩვენ დიდი ამბით შევეუდექით საპატიო სტუმრებისათვის განკუთვნილი ოთახების დაცლა-დასუფთავებას. ბატონი პოლიკარზე, მისი მეუღლე ქალბატონი მილა და მათი ვაჟიშვილი მალხაზი მთელი ზაფხულის გასატარებლად ამოვიდნენ. სამი ქალიშვილიდან – მზია, მანანა და ნათელა – მხოლოდ მანანა და ნათელა გვესტუმრებოდნენ ხოლმე თბილისიდან შაბათ-კვირაობით.

და მაინც რა შემიძლია გავისხენო და გავუზიარო მკითხველს? რაოდენ უსახლვრო იყო ჩემი გაცეცხა, როცა გარეთ ივლის-აგვისტოს მცხუნვარე მზე ჩახჩახებს, ბატონი პოლიკარზე კი მაინც სქელ, მუქი ფარდებით დაიბნელებდა ხოლმე სამუშაო ოთახს და დღე და ღამე მაგიდის კუზიანის ფარნის შუქქვეშ წერდა! ეტყობა, ჩაბნელებული ოთახი მისი ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი პირობა იყო. აი, ამას საიდან ვასკვნი. შინ ლამფების მეტი რა გვექონდა, ანდა სად გავიწვინა ულამფო ოჯახი. ისიც მთაში. მაგრამ მწერალს სხვის იმედზე ყოფნა მაინც ვერ გაეხედა და თბილისიდან საგანგებოდ წამოედო თავისი განუყრელი ერთი ძველებური, დიდმუცლიანი და რაღაცნაირად წარმოსადგევი ნავთის ლამფა, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის სულ მუდამ ელექტრო-შუქფარის გვერდით ედგა!

მართალია, მუშაობისას მწერალი მზეს საგულდაგულოდ ემიჯნებოდა სქელი ფარდებით, მაგრამ მასაც ჭირივით ეზარებოდა კლმურტიანი დღე. თითქმის ყოველ საღამოს ისეთი შეფარული შიშით იკითხავდა ხოლმე: ნეტავი ხვალ როგორი ამინდი იქნებაო, რომ ახლავა მეხილება თვალი – შესაძლოა, რევმატიზმები აწუხებდა, ანდა, მოქურუშებული ამინდი და ნესტაანი ჰაერი შემოქმედებით აღმაფრენას უნებლდა. ამინდის ჩხრეკაში ჩემი ძმა თემური, რომელიც მაშინ მე-8 კლასის მოწაფე იყო, მწერლის შეუცვლელ სინობტიკოსად იქცა. იგი ხან ცას აპხედავდა, ან შორს, გუზუმბათის მთებზე შემოგრაგნილი ღრუბლების ფერსა და მოძრაობას დააკვირდებოდა და იტყვოდა: ძალე ან ხვალ ასეთი და ასეთი ამინდი იქნებაო. თემურის ნაწინასწარმეტყველები თითქმის ყოველთვის ახდებოდა ხოლმე. ამიტომ ბატონი პოლიკარზე მისდამი განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჯვალა. ბოლოს ამ პროგნოზირებამ ისე გაიტაცა მწერალი, რომ ახლა თავადაც მოიწადინა ჩვენბერი ფხუკიანი ამინდის წინასწარ განჭვრეტა. გუშინდელივით მახსოვს ერთი შემთხვევა. ერთ საღამოს ბატონი პოლიკარზე და თემური აივანზე ტოლებივით ისხდნენ და, ჩვეულებისამებ, მეორე დღის ამინდზე მარჩიელობდნენ. ხენა ქარი ხამი მოხვერივით ზმოუდა.

– ეტყობა, ხვალ მზიანი დღე იქნება! – თავდაჯერებით შენიშნა სტუმარმა.

– რანაირად? – მიაგება თემურმა.

– რანაირად და ხედავ, ქარმა სულ გადაყარა ღრუბლები და ცა მოაკრიალა!

– ცა ქარის ამოვარდნამდეც მოკრიალებული იყო, – შეესიტყვა თემური, – ეს ქარი კი ამაღამ დასავლეთიდან სქელ ღრუბლებს მოგვიგროვებს და დილით როგორც კი დათბება, წვიმა წამოვა.

– ეგ საიდან დაასკვენი?

– ქარს სუნზე ეტყობა.

– აბა, ვნახოთ!

დილაადრიან ფეხაკრეფით რომ გამოვედი აივანზე, დიდი ხნის ამდგარ ბატონი პოლიკარზე მთავარი თვალი: სათბურაწამოსხმული მოაჯირს მძიმედ დაყრდნობოდა და დაღვრემილი ვაკუურება წვიმაში ჩამბალ არემარეს.

იმ ზაფხულს მეტისმეტად ბოტორო სიცხეები დაეჭირა ბარად. ამიტომ თიანეთს სხვა წლებთან შედარებით აუარებული დამსვენებელი მოაწყდა დედაქალაქიდან. პოდა, რაკი ხმა იყო გავარდნილი – პოლიკარზე კაკაბაძეც თიანეთში იმყოფებოდა, მოვარაკე ქალბატონებისა და მამაკაცების მეტად ჭრელმა, მხიარულმა და

# ლისსსსოვარი ზაფხული

ხმაურიანმა კომპანიამ რამდენჯერმე მოაკითხა და სადღაც დაგეგმილ ქეიფზე დიდი ამბით გაიპატიჟებდნენ ხოლმე. მაგრამ მწერალი ყოველთვის რაღაცას ისაბაბებდა და ყველას ზრდილობიანი და რაც მთავარია, დამაჯერებელი უარით ისტუმრებდა. ბოლოს თვითონ აღარც კი გამოჩნდებოდა ხოლმე – წინასწარ დარიგებულმა მისმა მეუღლემ კარგად იცოდა, ვისთვის რა უნდა ეპასუხა.

მოკლედ, მუშაობით გატაცებულსა და გატანჯულ შემოქმედს გული აღარსად მიუწევდა და თავისი ფარდებნამოფარებული ოთახი ქვეყანას ერჩია. მოკლილ მოაგარაკებთან შეება-ლხინი თუ ფუჭ საქმედ და დროის დაკარგვად მიაჩნდა, სამაგიეროდ ძალიან ფეხვარდა ჩვენებურ უბირ კაცებთან და დედაკაცებთან გრძელი მასლაათის გაბმა. ერთ საღამოს სეირნობიდან რაღაცნაირი გაზარებული დაბრუნდა.

– წელან ორი დედაკაცი მილაპარაკობდა. ერთმა მათგანმა პირმზითი ახსენა. რას ნიშნავს ეს?

– რა ვიცი, ჩვენებურად მზით გამთბარ-განათებული ადგილი იგულისხმება, – მიუგო დედამ, – მზისგულს ვეძახით.

– მშვენიერი სიტყვაა – უნდა გაისინჯოს ლექსიკონებში!

დიდ დრამატურგს დრო სულ არ ემეტებოდა გართობა-სეირნობისთვის. მაგრამ მაინც იძულებული იყო, ზოგჯერ სული მთეთქვა – სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა. ამიტომ ადვილი შესაძლებელი იყო დღის ნებისმიერ მონაკვეთში უცებ გადებულიყო ფარდებნამოფარებული იდუმალი ოთახის კარი და იგი მოლიან ეზოში ჩამოსულიყო. ის ამ დროს რატომღაც ყოველთვის აფორიაქებული ჩანდა. ირგვლივ ვერავის ვერ ამჩნევდა. ეზოს არასდღეობით არ გასცდებოდა და ცხელი ფიქრებით შეპყრობილი, მარდ ბოლოთას სცემდა. ეს ათიოდე წუთზე უფრო მეტხანს არ გრძელდებოდა. მერე უცაბედადვე ფხიზლდებოდა და თავისი ოთახისკენ ისეთი ყოფით გაეჩქარებოდა, თითქო ცეცხლზე შემოდგმული რძის ქებას გააახსენდაო.

საღამოს მოციონის სულ სხვანაირი ელფერი ედო და ერთ საათს ან მეტხანსაც გრძელდებოდა. ის ამ დროს გარეთ გამოდიოდა დაქანცულ-დამშვიდებული. საღამო ჟამს შორიდან როგორც კი შემოგვესმებოდა საჭურეს საძოვრებიდან მომავალი კერძო ნახირის გაბმული ბლავილი, ზანზალაკების წკრიალი და მენახირეთა ყვირილი, ბატონი პოლიკარპეც სწორედ მაშინ გამოვიდოდა გარეთ. ქალაქელი ბავშვის გულწრფელი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ჯიქანსავსე ფურების ტალღას, რომელიც მდოვრედ მოტბორავდა ვიწრო ქუჩაში. საქონელი რომ ჩაივლიდა და ქუჩა ისევ მიყუჩდებოდა, ჩვეული სიდარბასილით დაადგებოდა თავის ამოჩემებულ მარშრუტს: ჩვენს სახლ-კარს უკან მოიჭოვებდა, ამწვანებულ, ბილიკებით დასერილ დამრეც ფერდობს ირიბად შეუყვებოდა და ცხრაკარაზე ავიდოდა!

ცხრაკარადან ხელისგულივით მოჩანს ხაწირი, ივრის დაკლანილი ხეობის ნაწილი, შორს მიმობნეული სოფლები, თვით მთელი თიანეთი, მისი შემოგარენი და ქოჩორა ტყეებით დაბურული მთაგრეხილების შორეთი. აქედან დანახული მიდამო წლისა თუ დღის ყველა მონაკვეთში თავისებურად საამური საცქერია, განსაკუთრებით კი მზის ჩასვლის ჟამი ზაფხულის წყნარ, მოწმენდილ ამინდში. თანატოლებთან ერთად ამ მიდამოებში ყიალისას შორიდან რამდენჯერ დაგვიანხავს ხეცკეულზე ჩამომჯდარი, ღრმა ფიქრებს მიცემული დრამატურგი, გაქვავებული რომ გასცქეროდა სხივებშემომჭკნარი მზის დისკოს მშვიდ ჩასვენებას ლაინისფერ მთაგრეხილებში.

ამ უმნიშვნელო მოგონებას სრულყოფილად ვერ ჩავთვლი, უბრალოდ, ჩემი მხრიდან უგულობა და უსამართლობა იქნება, თუ ორიოდე სიტყვას დრამატურგის მეუღლეზე, ქალბატონ მილაზეც არ ვიტყვი. მათ ურთიერთობაში განსაცვიფრებელი სითბო, სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა. შეიძლება ცდები, მაგრამ

მეჩვენებოდა, რომ აქ მთავარი მაინც ამ უკანასკნელის სათნო ხასიათი, კეთილი გული, მოთმინება და მისაბაძი წინდახედულობა იყო. რაღას არ იგონებდა, მეუღლეს მუშაობის ნორმალური პირობები რომ ჰქონოდა. ივლისის ბოლოს საშინლად ჩამოცხა. ჯერ გარეთ, მთის ნიაზე რა იყო და, ღმერთმა უწყის, საგულდაგულოდ დაგმანულ ოთახში რაღა იქნებოდა, მით უმეტეს, როცა შუადღის მზე სარკმელებს მიანათებდა. აქ ქალბატონმა მილამ თავისებური გამოსავალი მოიფიქრა: დღეში რამდენჯერმე იატაკს ცივ წყალში ამოლუმპული ტილოთი მორეცხავდა ხოლმე, ოთახში სივრილეს რომ ეტრიალა! ამაზე დედაჩემი მოკრძალებული სიცილით შემომჩვილებდა ხოლმე: ეს ქალი იატაკს სულ დაგვილობსო.

ერთი შემთხვევა სამუდამოდ ჩამეჭდია მესხიერებაში. ერთ დღეს ბატონი პოლიკარპე, ჩვეულებისამებრ, თავისთვის ჩაკეტილი მუშაობდა. ქალბატონი მილა, დედა და მე ეზოში ვისხედით და მწვანე ლობიოს ვარჩევდით მოსახარშად. უფროსები მასლაათობდნენ ამ მთისას, იმ მთისას.

– ჩემი სიკვდილი – უძახია! – უცებ წამოიჭრა ზეზე ქალბატონი მილა, კალთა დაიბერტყა და მეუღლის ოთახისკენ გაფრენილი ნაბიჯებით გაეჩქარა. მე და დედამ ერთმანეთს გაკვირვებით გადავხედეთ, ვინაიდან ჩვენ არავითარი ძახილი არ შემოგვსმენია.

შეღებული კარიდან ჩვენამდე მოაღწია გასაჭირში ჩავარდნილი, ძახილითა და მოლოდინით შეწუხებული კაცის გატანჯულიკილოიანმა მოგუღულმა ხმამ.

– სადა ხარ, ქალო, რომ გეძახი?!  
რაღაც სამიოდე წუთში ისევ დაბრუნდა დამშვიდებული ქალბატონი მილა.

– უკანასკნელ ფურცელსაც ათავებდა და ჩემოდნიდან საწერი ქალადღე ამოგულე!

– ღმერთო ჩემო, ეს რა ყოფილა მწერალი და შემოქმედება! კაცი, რომელიც საღამოსაღამოობით თავისი ფეხით უვლიდა ცხრაკარას შემოგარენს, წერისას თურმე ისე იბოჭებოდა, ქალადღე რომ შემოხარჯოდა, მაგიდიდან ადგომასაც ვეღარ ახერხებდა, რათა საწოლქვეშ შეეცურებულ ჩემოდნამდე ნაბიჯნახევარი გადაედგა!

– აი, ასეთია, – ისეთი სითბო-სიყვარულის კილოთი განაგრძო მილამ, თითქო თავის ქმარზე კი არა, განსაკუთრებულ და გამორჩეულ დიდ ბავშვზე გველაპარაკებოდა, – თუ ერთი ააწყო მუშაობა, მერე ქვეყანაც რომ დაიქცეს, სკამიდან ვეღარ ააყენებ! ხან თავისით ჭამაც აღარ აგონდებდა. მე თუ არ შევანსენე ან არ შევუტანე რამე!.. ყველაფერს მე თვითონ უნდა მივხვდე.

აქ ქალბატონი მილა წამით დადუმდა და ერთგვარი სიამაყითა და მკრთალი ღმილით დაატანა.

– აი, ასეთია მთელი ჩემი ცხოვრება!..

\*\*\*

ქალბატონმა მილამ გულითადობის ნიშნად დედას თბილისიდან საგანგებოდ წამოღებული სასახნე ჩიოთი აჩუქა. რაკი მეტისმეტად თვალმახარა, მინდვრის ყვავილივით მოლურჯო და წვრილთვალა ნაჭირი იყო, სასახნედ აღარ გაგვემეტა და მერე სალახათო ბალიშები დავმოსეთ... დღეს აღარც ბატონი პოლიკარპეც ცოცხალი, აღარც ქალბატონი მილა, აღარც დედაჩემი, აღარც მალხაზი.

ღროდადრო ძლივსდა ვიცლი ოთხმოცს გადაშორებული მარტოსული მამის ასახედად. და როცა ლოგინის გამომზურებისას უცებ ლურჯყვავილა ბალიშები შემომცინებენ, მაშინვე ის ბედნიერი ზაფხული მასხენდება და ტკბილ-მწარე განცდა-მოგონებები ცრემლებად გადამეცევა ხოლმე...

ჭკვიანი ბუზის ამავენი

# სუბიუნი

## იბავ-ანაჰუბი

● დიდმა ობობამ ძველ სახლში აბლაბუდა გააბა. თუ ქსელში ბუზი გაებმებოდა, ობობა მსხვერპლს თავ-ფეხიანად შესანსლავდა ხოლმე და მერე იქაურობას მოასუფთავებდა, რათა სხვა ბუზს, შემთხვევით რომ ჩაიფრენდა, ჰგონებოდა, აბლაბუდა უსაფრთხო და წყნარი დასასვენებელი ადგილიაო.

ერთხელ ერთი ჭკვიანი ბუზი გამორჩნდა: იქით გაჰხედა ქსელს, აქეთ გამოჰხედა, დაჯდომა კი ვერა და ვერ გაბედა. ბუზილით გულგანვრილებული ობობა სამალავიდან გამოცოცდა და ბუზი მიიპატიჟა:

– მოდი, ჩამოჯექიო.

მაგრამ ჭკვიან ბუზს ვინ გააცურებდა?

– ნურას უკაცრავად. ჩემს დღეში არ დავჯდები ისეთ ადგილას, სადაც სხვა ბუზები არ მეგულება. შენს სახლში კი სტუმრებს ვერა ვხედავო. – მიუგო ობობას და იქიდან მოუსვა. ერთ ადგილს მიადგა, სადაც უამრავ ბუზს მოეყარა თავი. ის იყო თანამოძმეებთან მოკალათებას აპირებდა, რომ ფუტკარმა ჩაიფრინა და ყურში ჩაუზუზუნა:

– მოიცა, სულელიო! ეგ ხომ ბუზის საჭერი ქალაღია. ეგ ბუზები სულ ზედ მიწებებულანო.

– რას მიედ-მოედები. – განყრა ჭკვიანი ბუზი. – ვერა ხედავ, ცეკვავენო.

თვითონაც ქალაღდს დაასკუბდა და სხვებთან ერთად ხაფანგში გაჰყო თავი.

**შეგონება:** ნუ ეძებ უსაფრთხოებას ხალხმრავლობაში, და ნურც ნურსად.

### 26 ფარვანა და ვარსკვლავი

● ახალგაზრდა და მგრძობიარე ფარვანას ერთი ვარსკვლავი ჩაუვარდა გულში. ეს ამბავი დე-

დას გაუმხილა, იმან კი ურჩია, გიჯობს ქუჩის ფარანი შეიყვაროო.

– ვარსკვლავთან საქმის დაჭერა არ ღირს. – უთხრა დედამ. – ქუჩის ფარანთან არშიყი სხვა საქმეა.

– უფრო სახეიროცაა. – კვერი დაუკრა მამამ. – ვარსკვლავების კუდში დევნა კი ხეირს არ დაყარის.

მაგრამ ფარვანას მშობლების რჩევის გაგონებაც არ უნდოდა. ყოველ საღამოს, ბინდი ჩამონვებოდა თუ არა, აციალებული ვარსკვლავისაკენ მიფრინავდა და შინ გათენებისას ბრუნდებოდა, ქანცმისდილი და დაოსებული. ერთ დღეს მამამ უთხრა:

– ბიჭო, რა ღმერთი გინყრება, რა მოგდის? ნეტავ როდემდე აპირებ უსაქმურობას? შენმა ძმებმა ფრთები დაითუთქეს ფარნებთან არშიყობაში; შენ დებსაც არ ადგათ უკეთესი დღე – სამზარეულოს ლამფებს ეკეკულუცებიან და იმიტომ. გეყოფა პრანჭვა, აქედან დამეკარგე და არ დამენახო, სანამ ფრთაშეტრუსული არ დაბრუნდები! ამხელა მუდრევი ფარვანა გამიზრდისხარ და ჯერ ერთი დალიც არ გაზისო.

ფარვანამ დატოვა მშობლიური კერა, მაგრამ არც ქუჩის ფარანს გაჰკარებია და არც სამზარეულოს ლამფას. ვარსკვლავის დევნა არ მოიშალა: სულ იმის ცდაში იყო, ეგების მნათობამდე მივფრინდეო. ვარსკვლავს კი ოთხი მთელი და ერთი მესამედი სინათლის წელი ანუ ოცდახუთი ტრილიონი მილი ამორებდა.

ფარვანას ეგონა, ჩემი შეყვარებული თელის ტოტებში გახლართულაო. ვარსკვლავს ვერა და ვერ მიაღწია, მაგრამ ცდა არ დაუკლია: ყოველ ღამე ცაში დაფარფატებდა და როცა დაბერდა და დაჩაჩანაკდა, თავი დაირწმუნა, ოდესღაც ვარსკვლავს გავეთამაშეო. მერე ყველგან ამ ამბავს ჰყვებოდა. ამან ისეთი დიდი სიამოვნება მიანიჭა, რომ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. ფარვანას მშობლები, ძმები და დები ახალგაზრდანი დაიხოცნენ – სასიკვდილოდ დაშავდნენ ცეცხლთან თამაშის დროს.

**შეგონება:** ვინც ამქვეყნიურ მნუხარებას გაურბის, სხვებზე დიდხანს ცოცხლობს.

### პეპელა, ჭიამაია და ჭილყვაპი

● ჭილყვაპი ბუდეში ჩანენკილი ბარტყების გამოსაკვებად მწერებზე ნადირობდა. ჰაერში შეინავარდა და დაფეთებულ ჭიამაიას დააცხრა თავს.

– ვიცი, რიყის ქვაზე მომცრო ან ბგერაზე ნელი არსება ვერსად წაგივა, – აწრიპინდა ჭიამაია. – რადგან უსწრაფესი ფრინველი ბრძანდები. მაგრამ ამ ერთხელ შემინყალე. შინ დროზე თუ არ მივასწარი, ჩემს სახლს ცეცხლი გასჩენია და ბავშვები დამელუპებო.

ჭილყვაპმა შეიბრალა ჭიამაია, რადგან თავი დამნაშავედ იგრძნო – თვითონაც ხშირად უნატრია, ცეცხლსაც წაუღია ჩემი სახლკარიო – შიშნაჭამ მწერს თავი გაანება და ერთ მშვენიერ პეპელას

დაადგა თვალი.

- ხანძრის ჩასაქრობად ხომ არ მიიჩქარი, ან შენს ბავშვებს საფრთხე ხომ არ ემუქრებაო? - ჩაეკითხა ჭილყყავი.

- ნეტავი ერთი შენ! - მიუგო პეპელამ. - არავითარი მიწიერი დარდი არ გამაჩნია. არც ბავშვები მყავს და არც სახლი მაბადია. ნუთუ ვერა ხედავ, ანგელოზი რომა ვარ? - ფრთები ააპარპალა, სამყაროს თვალი გადაავლო და შემოსძახა:

- ეს ქვეყანა სამოთხეაო.

- ეს ქვეყანა სამოთხეაო. - აჭყლობინდნენ ბარტყები, როცა ნავახშმევს ნადავლი პეპელა ჩატკბარუნეს.

**შეგონება:** თუ სამოთხეში უდარდელად ფარფატს აპირებ, ჯერ კარგად დაწინამუნდი, მართლა იქა ხარ, თუ არა.

### ლომი და სამი მელა

● ის-ის იყო ლომმა ძროხას, თხასა და ცხვარს განუმარტა, თქვენი ნანადირევი ხარ-იირემი მე მეკუთვნისო, რომ სცენაზე სამი პატარა მელა გამოცუნცულდა.

- ირმის მესამედი ჯარიმად უნდა ჩამოგართვათ. - თქვა ერთმა. - რადგან ნადირობის უფლება არა გაქვთ.

- ერთი მესამედი თქვენი ქვრივი ცოლის სარგებელში მიმაქვს, - თქვა მეორემ. - ასე ამბობს კანონი.

- რის ქვრივი, რა ქვრივი! ცოლი არა მყავს. - აღშფოთდა ლომი.

- წვრილმანებზე ნუ ვიდავებთ. - დააშოშმინა მესამე მელამ და ირმის ბოლო მესამედი გადასახადად ჩამოართვა:

- მოუსავლიანი წლისათვის მარაგს ვაგროვებთო. - აუხსნა შეკრებილთ.

- მე ხომ ნადირთა მეფე ვარ! - იღრიალა ლომმა.

- ჰოო, მაშინ ირმის რქებიც არაფერში გჭირია, რადგან გვირ-

გვინი გქონიაო. მიუგეს მელიებმა და ირმის რქებიც ჩაიჯიბეს.

**შეგონება:** ჩვენს დროში ლომის არჩივი ცოტას იწონის.

### მშვიდობისმოყვარე მანგუსტა

● კობრების ქვეყანაში ერთი მანგუსტა დაიბადა, რომელსაც არც კობრებზე ნადირობა ეპრიანებოდა და არც სხვა ცხოველებზე. მანგუსტათა საჯალაბოში ხმა დაირხა, ერთი მანგუსტაა, კობრებს არ ებრძვისო. „სხვა ცხოველებს თუ არ ქიშპობს, ეგ მაგის პირადი საქმეა, კობრების ყლელა და მათთან ბრძოლაში სიკვდილი კი ყოველი პატიოსანი მანგუსტას ვალიაო“, ამბობდნენ ნაცნობები.

- ვითომ რატომაო? - გაიკვირვა მშვიდობისმოყვარე მანგუსტამ და ატყდა ერთი მითქმამოთქმა: ყველას ის ეკერა პირზე, ეს ახალი, უცნაური მანგუსტა არა მარტო პრო-კობრულ და ანტი-მანგუსტურ შეხედულებებს იზიარებს, არამედ მანგუსტიზმის იდეებისა და ტრადიციების წინააღმდეგია და, მგონი, სრულ ჭკუაზედაც ვერ არისო.

- გიჟია. - დაასკვნა ახალგაზრდა მანგუსტას მამამ.

- ავადაა - თქვა დედამ.

- ლაჩარია! - დაიბღვლეს ძმებმა.

- მანგუსტოსექსუალისტია. - ჩაიჩურჩულა დამ.

უცნობებმა, მშვიდობისმოყვარე მანგუსტა თვალთ რომ არ ენახათ, მოიგონეს: ერთხელ ნავასწართ, მუცელზე დახოხავდა; ერთხელაც კობრას სათვალეები ეკეთა; ერთხელ კიდევ მანგუსტეთის გადატრიალებას აპირებდა და შეთქმულებას აწყობდაო.

- ვცდილობ, ჭკუით მოვიქცე, გონების თვალთ დავზვერო მომავალიო - თქვა ერთხელ უცნაურმა მანგუსტამ.

- ჭკუით მოქცევას ლალატამდე რაღა უკლია? - შეიცხადა ერ-

თმა მეზობელმა.

- დაზვერვა ჩვენი მტრების ხელობაა - კვერი დაუკრა მეორემ.

ბოლოს ჭორი გავრცელდა, მანგუსტას, კობრას მსგავსად, შხამიანი კბილები აქვსო. დაიჭირეს, გაასამართლეს, თათის ანკვით უყარეს კენჭი, დამნაშავედ სცენეს და გაძევება მიუსაჯეს.

**შეგონება:** თუ მტერმა ვერა დაგაკლო, უფრთხილდი, მოყვარემ არ მოგიღოს ბოლო.

### ნათლია და ნათლული

● ერთ კოლექციონერს დედამინა ჰქონდა შემოვლილი. რა გინდა, სულო და გულო, იმას არ შეეგროვებინა: ზოგ ეგ ზემპლიარს ფულით ყიდულობდა, ზოგზე ნადირობდა, ზოგიც მასზე ნადირობდა. ერთხელ ქვეყნის ყველა კუთხე შემოიარა, ათასი რამ მოიხელთა და მერე თავისი ნათლული - ხუთი წლის გოგონა მოინახულა.

- მინდა სამი რამ გაჩუქო. - უთხრა პატარას. - მთხოვე, რაც გულით გენადოს. თუ ინებებ, აფრიკულ თვალ-მარგალიტში ჩაგსვამ; თუ გსურს, მარტორქას ეშვს გისახსოვრებ ან ეგვიპტურ სკარაბეას მოგიძღვნი; იქნებ გვატამალური ზურმუხტი მოგწონს? სპილოს ძვლისა და ოქროსაგან გამოთლილ ჭადრაკის ფიგურებზე რას იტყვი? ცხენ-ირმის რქები, ველურთა ტამტამები, ტაძრის ზარები და სამი იშვიათი, უცხო თოჯინაცა მაქვს. ახლა მითხარი, - დაუყვავა პატარა გოგონას და თავზე ხელი გადაუსვა. - რა გინდა ყველაზე მეტად?

პატარა ნათლულმა, რომელიც პრანჭია ბავშვი არ გახლდათ, უყოყმანოდ მიუგო:

- მინდა სათვალეები ჩაგიმტვირო და ფეხებზე დაგაფურთხოო.

**შეგონება:** ადამიანს არც იმდენი სჭირდება, ჩვენ რომ გვგონია.



ჭუბერის მისადგომებთან ჩაყინული ლტოლვილი დედა-შვილის ნახვაც სა-  
შინელება იყო, ვაგრის სტადიონზე ქართველთა მოჭრილი თავებით თამა-  
შიც, ყოული შარტავას მუხანათური მკვლელობაც, მაგრამ ყველაზე მეტად  
სისხლი რამ გამოიყინა, იცით? ტყვეების გაცვლისას 10-11 წლის გოგონე-  
ბი რომ გადმოგვცეს – ფეხშიძე ბავშვები.

ზურაბ სამუშიას ნააგრობიდან

# ქ ვნახე...

მე ვნახე სოხუმი და  
გულგამობრული  
საღამო, სისხლისგან დაცლილი,  
ყოული შარტავას ჩამქრალი შანდალი –  
სიცივე, ბედისგან დაცინვის.

მე ვნახე ზღვისპირი, მე ვნახე ბოღაზი,  
სიკვდილის ცელით რომ მოხაზეს,  
მეწვის და მაწუხებს ტკივილის მარწუხი  
წამებით დაკაწრულ ლოყაზე.

მე ვნახე გოლგოთა და ჯვარი მომქონდა  
დალურსმნულ მკერდით და ხელებით...  
თავდახსნილს ლათასთან დამიხვდა  
ანაზღად  
ჭუბერი – ყინვით და ხელებით.

წამების იმ შოსით დედის და პირმშოსი  
სიკვდილთან ბევრი მაქვს სადავო.  
– ისმინე საბაოთ, განგვსაჯე საბაოთ,  
მზესავით ნათელი საბაოთ!

ტანჯვამ და წვალებამ ჩამოკრეს ზარები  
კომპარულ ზმანების თამასით:  
მოჭრილი თავებით მობურთალ კანთა  
მაჟრჟოლებს როკვა და თამაში.

ვისაც მე ვათობდი, ის მუხანათობდა  
და ცოდვის კუპრშია ჩასული.  
თვალს მიწვავს წყვილი და  
„ბაგრაშიანის“

ტყვიები – მზაკრულად ნასროლი.

მე ვნახე ბავშვები, პატარა ბავშვები,  
ფეხშიძე ქალების მუცლებით,

და ბოლმანარევი გამშრალი თვალები,  
ვით ცივი კივილი უცები.

დავდივარ ქუჩებში დაკვნილ ტუჩებით  
და ვეძებ, სად არის მომკელი,  
შხამიან უნასის და მათი „ურასი“  
აღარ მწამს, თუგინდა მომკალით...

ლულების მოშვერით იმათი დროშები  
სანუკვარ იმედთა მკვლელია.  
გაგრაში, სოხუმში, გალსა და გულრიფში,  
ამიტომ გაცივდა კერია.

ვიდრემდე წაგვიდეს,  
ერთ ჭერქვეშ აქ ილო  
ქართველი მუხუმტე აფხაზის,  
სამშობლოს ამ კიდის უტკბესი აკილო –  
ნახატი ოცნების ნახაზით.

ლენცოფას თესავდნენ, დღესაც  
ღვარდლს თესავენ  
და მამულს გვიხდიან სადავოდ.  
ქართველის ღირსებით, აფხაზის  
ღირსებით  
იმათგან გვიხსენი, საბაოთ!

გამართეს ზეიმი, ატკობდათ სეირი,  
ძმის მოკვლით ვინ რომელს აჯობებს,  
არნახულ წამების დაგვიდგა წამები –  
თაყების თამაშში მსაჯობდნენ.

ტანჯულთა ღალადი და ოხვრა ცად ადის:  
– მსგავს ეშმას ვინ ნახავს, საღაო?!  
ისმინე საბაოთ, განგვსაჯე საბაოთ,  
მზესავით ნათელი საბაოთ!

აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი... აგრობი...

● მეორე მსოფლიო ომმა ბევრი  
სხვადასხვა სახეობის ასი წარმოშუ-  
ვა, რომლებიც პირდაპირ სასწაუ-  
ლებს ახდენდნენ. ამ მხრივ მაინც  
გერმანელი მფრინავები, ტანკისტე-  
ბი თუ მეზღვაურები გამოირჩეოდ-  
ნენ და პირველობას არავის ანებებ-  
დნენ.

გერმანიის სამხედრო-საჰაერო  
ძალების – ლიუფტვაფეს ერთ-ერ-  
თი პირველი ასი ვილჰელმ ბალთა-  
ზარი იყო. მან ჯერ კიდევ ესპანეთის  
სამოქალაქო ომში გაითქვა სახელი,  
სადაც ჰანტაპუნტით ყრიდა ძირს  
„ვირთაგებს“ (იქ დაცინვით ასე  
ეძახდნენ საბჭოთა გამანადგურე-  
ბელს ი-16). ერთ-ერთ უთანასწო-  
რო ბრძოლაში ბალთაზარმა მარ-  
ტოდმარტომ ექვს წუთში ოთხი  
„ვირთაგა“ ჩამოაგდო. მეორე  
მსოფლიო ომის დროს საფრანგეთ-  
ში გაჩაღებულ ბრძოლებში ხანმოკ-  
ლე პერიოდში ფრანგთა 26 და დი-  
დი ბრიტანეთის 13 გამანადგურებე-  
ლი მოსპო.

ეს მამაცი, კეთილშობილი და  
რაინდული აღნაგობის მფრინავი 26  
წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუ-  
პა ახალი „მესერშიტის“ გამოცდი-  
სას.

\*\*\*

ბარონმა მაიორმა ჰენრიხ ზეინ-  
ვიტგენშტეინმა (1916 წ.) მტრის 83  
თვითმფრინავი მოსპო და თანაც  
ყველა მათგანი დამოთ!!! 1944 წლის  
21 იანვარს ბარონი მარტოდმარტო  
მამაცურად ეკვეთა ბრიტანეთის  
ბომბდამშენთა მრავალრიცხოვან  
ბრიგადას. თვალის დახამხამებაში  
ექვსი მათგანი გაახვია ცეცხლში.  
სწორედ კვამლის სქელმა ფარდამ  
შეუშალა ხელი დაენახა ზურგიდან  
წამოპარებული „მოსკიტო“, რო-  
მელმაც განთქმული ასის თვით-  
მფრინავი საფუძვლიანად დააზიანა.  
მანქანა შურდულივით დაეშვა დე-  
დამიწისკენ. მფრინავს კი პარაშუ-  
ტი... არ ჰქონდა! ბარონი ისე ღრმად  
იყო დარწმუნებული თავის უხადო  
ოსტატობასა და გერმანული ტექნი-  
კის სრულყოფაში, რომ პარაშუტს  
ზიზღით უყურებდა და არც არას-  
დროს ატარებდა თან.

ბარონს სიცოცხლის ფასად და-  
უჯდა ტვეტონური სიამაყე.

\*\*\*

ერიკ ჰარტმანი სამართლიანად  
ითვლება ყველა დროისა და ქვეყნის  
ყველაზე სახელგანთქმულ, უში-  
შარ, იღბლიან და შედეგიან ასად.  
იგი დაიბადა 1922 წელს, გერმანია-

ასი – (ფრანგ. AS) – სახელგან-  
თქმული მფრინავი-გამანადგურებე-  
ლი, საჰაერო ბრძოლის ოსტატი, რო-  
მელმაც გარკვეული რაოდენობის  
მტრის თვითმფრინავები ჩამოყარა.

# როცა ასევე ასობდნენ

ში, ბავშვობა გაატარა ჩინეთში, სადაც მამამისი ექიმად მუშაობდა. 1940 წელს ერიპი ჩაირიცხა კენიგსბერგის საავიაციო სასწავლებელში. პირველი საბრძოლო ნათლობა 1942 წელს, ჩრდილოკავკასიაში მიიღო, თუმცა თავიდან არ გაუმართლა. თავისი მესამე საბრძოლო გაფრენის დროს შეტაკების შედეგად მოხვდა და თავგზა დაკარგა. იმის მაგიერ თავისი რაზმის წამყვანი გამანადგურებლის ზურგი დაეცვა, როგორც ამას მეკაცი ინსტრუქცია მოითხოვდა, იგი რატომღაც მწყობრიდან გამოვარდა და თავისიანებს წინ გაეჩხირა. მერე სინქარეც დაკარგა და მხესუშპირების მინდორში ჩავარდა. მანქანა მწყობრიდან გამოვიდა; პარტმანმა ძლივს მიადწია თავის აეროდრომამდე, სადაც სასტიკი გაიცხვდა და სამი დღით შინაპატიმრობა ელოდა. 1942 წლის 5 ნოემბერს კვლავ მისცეს ფრენის უფლება. ამ დღეს უმალ ჩამოავდო საბჭოთა ილ-2. ეს მისი პირველი მსხვერპლი იყო. აქედან დაიწყო, რაც დაიწყო! კავკასია, სტალინგრადი. კურსკი, უკრაინის სტეპები... ცერცვის მარცვლებით ცვიოდნენ ძირს პარტმანის მოწინააღმდეგენი. მას „უკრაინის შავი უშაკი“ შეარქვეს. 1944 წლის აგვისტოში 78 საბჭოთა თვითმფრინავი ჩამოავდო. მისი სახელი მსოფლიოში ქუხდა. პიტლერმა ერიპ პარტმანს საკუთარი ხელით გადასცა ოქროს დაშნა და რაინდის ჯვარი მუხის ფოთლებით. 22 წლის ასს ერთკვირიანი შევებულება მისცეს. იგი დაქორწინდა ურსულა პეჩზე, რომელიც 15 წლიდან უყვარდა... ისევ აღმოსავლეთის ფრონტი. პარტმანის სახელი თანდათან ლეგენდაში გადადიოდა. ის კი ნახევარხუმრობით ამბობდა: „ტყვიამფრქვევის სასხლეტს მანამდე არ ვაჭერ თითს, სანამ ზედ მოსული მტრის თვითმფრინავი დღის სინათლეს არ დამიბნელებს“. ეს კი სასიკვდილო რისკთან იყო დაკავშირებული. ასე, რომ ახლო მანძილზე დაზიანებულმა და აფეთქებულმა მოწინააღმდეგის თვითმფრინავის გამოტყორცნილმა ნამსხვერველმა პარტმანის მანქანაც რამდენიმეჯერ დააზიანა და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ერთხელ კი იძულებული გახდა ნახევრად დაღვრილი თვითმფრინავი მტრის მიწაზე დაესვა. მას უმალ შემოეხვევენ რუსი ქვეითები. აქ პარტმანმა უშაკობა იხმარა – თავი ისე მოაჩვენა, თითქო დაცემისას ძვალბრბილი გამიერთიანდაო. რუსებმა კაბინიდან გადმოათრიეს. თავიანთ სატვირთო მანქანაზე შეაგდეს და გზას გაუდგნენ. ზეცას პარტმანის თანაპოლკელები სერავდნენ. ერთ-ერთი

„მესერშიტი“ რუსების საბარგოს წამოეწია და სროლა აუტეხა; ყველას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. რუსებმა მანქანა გააჩერეს და თავსაშველად ტყისაკენ მოკურცხლეს, „დამტყვეულ-დაჟეჟილი“ ტყვე კი ბედის ანახარას დატოვეს. თვითმფრინავები რომ გაფრინდნენ და რუსები სამალავიდან გამოძვრნენ, პირკატა ეცათ – ტყვე მფრინავი აღარსად ჩანდა!..

ერიპ პარტმანმა თავისი უკანასკნელი 1425-ე გაფრენა 1945 წლის 8 მაისს განახორციელა და ჩამოავდო თავისი ბოლო 352-ე (!!!) მსხვერპლი! მერე თავის ხელქვეითებს უბრძანა, დაეწვათ თვითმფრინავები და ამერიკელებს თავიანთი ნების ჩაბარდნენ ტყვედ. ამერიკელებმა კი აიღეს და ვველანი რუსებს გადაულოცეს.

პარტმანმა საბჭოთა ტყვეობაში 10 წელი გაატარა. შინ რომ დაბრუნდა, მშობლები და თავისი პატარა ბიჭი დახოცილები დახვდა. ურსულა თურმე მოთმინებით ელოდა. 1958 წელს მათ შეეძინათ გოგო – ურსულა.

1959 წელს პარტმანი კვლავ შევიდა გფრ სამხედრო-საჰაერო ძალებში. ახლა კი, როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, იგი პენსიაზეა და უდრტიკინველად ცხოვრობს შტუტგარტში;


\*\*\*

უსამართლობა იქნებოდა არ მოგვეხსენიებინა კიდევ ორი გერმანელი ასი – ჰანს მირელი და ემილ ლანგი. მართალია, პირველი მათგანის მარტო მარტო ერობა „მოკრძალებულია“ – 158, მაგრამ მან 1942 წლის მარტო სექტემბერში 61 ბრიტანული თვითმფრინავი ჩამოავდო. ხოლო ამავე წლის 1 სექტემბერს, ერთ დღეში 17 ბრიტანული თვითმფრინავი დაანარცხა ძირს. თუმცა ამ კუთხით რეკორდი მეორე ასს ეკუთვნის – ემილ ლანგმა მარტო ერთ დღეს 18 საბჭოთა თვითმფრინავი მოსპო. ეს რეკორდი ვერავინ ვერც გააუმჯობესა, ვერც გაიმეორა. თვით ლეგენდარულმა ერიპ პარტმანმაც კი!

\*\*\*

„კი მაგრამ საბჭოთა მფრინავები?“ – იკითხავს ბევრი. რა თქმა უნდა, საბჭოეთსაც ჰყავდა თავისი ასევე ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ „სტალინური შევარდნები“. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი მათგანი – სამ-სამ გზის საბჭოთა კავშირის გმირები ივანე კოჟედუბი და ალექსანდრე პოკრიშკინი. პირველმა ჩამოავდო მტრის 62, მეორემ კი 59 თვითმფრინავი.

## ანა ბუხუშბათილი



# ღიჩსული

ის რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, მაისში თავის დაბადების დღეს იღვსასწავლებლებს.

თემურ სამხარაძეს თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გატარება ძალზე რთულ და მწელ დროს მოუწია.

ეს ის დრო იყო, როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ ლამის მთელი საქართველო გამოიღვია და აამოძრა. გამოაღვია და აამოძრა ისეთნიც კი, რომელთაც არასოდეს უფიქრიათ ერზე თუ მაღალ სულიერ მატერიაზე.

დროის ამ ფაქტორმა ხომ არ განსაზღვრა თემურ სამხარაძის პიროვნული მეობაც, მისი ბედიც?

მაგრამ მისი პიროვნული მეობის განმსაზღვრელი სულ სხვა ფაქტორი იყო – დეათის მიერ ბოძებული ინდივიდუალური თვისებები.

როგორი იქნებოდა ამ თვისებების მქონე თემურ სამხარაძე, რომ ოციოდე წლით ადრე, ან ოციოდე წლით გვიან დაბადებულიყო?

პირველ შემთხვევაში თემური იმ მცირერიცხოვან, მაგრამ დიდი სულიერი შემართების ადამიანებს შორის იქნებოდა, რომლებმაც სასტიკი რეპრესიების მიუხედავად ჩაუქრობლად მოიტანეს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ოცნების ნაპერქკალი ჩვენს მწელ, მაგრამ იმელებით აღსაყვ დრომდე.

მეორე შემთხვევაში იგი იმ მრავალრიცხოვან ადამიანებს შორის იქნებოდა, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობისა და განმტკიცებისათვის დივანებდნენ. გამოირჩეულ ადამიანებს შორის ამ დიდ პროცესში. არაა გამორიცხული, ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწეც გამხდარიყო.

არ დაუშვია შეცდომა. ყოველთვის იქ იდგა, სადაც საჭირო იყო. და თუ სამშობლოს შეეწირა, ეს სხვათა შეცდომების (ნებისთინი თუ უნებლიე შეცდომების!) ბრალი იყო.

ჯერ იმათ გვერდით დადგა, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ცივილიზებულ ზერხებს, ზნეობრივ მეთოდებს უჭერდნენ მხარს და ამკვიდრდნენ კიდევ.

მათ შორის გამოირჩეულს – ზურაბ ჭავჭავაძეს – დაუღა მხარში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში საწინააღმდეგო იმპულსებმა იმძლავრა (განსაკუთრებით მერაბ კოსტავას და ზურაბ ჭავჭავაძის დაღუპვის შემდეგ) და ეროვნული მოძრაობა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ხელისუფლებისათვის უზნეო ბრძოლაში გადაიზარდა, რამაც განაპირობა კიდევ ქვეყნის წვრცვა და სამოქალაქო ომი. ამით კი ჩვენმა ყოველი ჯურის მტერმა ისარგებლა...

ამ მოვლენების ლოკიურ შედეგს – აფხაზეთის ომს შეეწირა თემურ სამხარაძე. ომის წინა ხაზზე დგომა დაინახა საჭიროდ და დაღა კიდევ.

იბრძოდა ისე, როგორც შეეფერებოდა ქართველ რაინდებს, რომლებმაც საუკუნეების მანძილზე უძნელეს განსაცდელს გადაარჩინეს საქართველო და დღევანდლამდე მოიყვანეს თავისი ვანუ-მეორეგული ეროვნული მეობითა და ხიბლით.

„მეც ქართველი ვარ, ნამდვილი ქართველი და ყოველთვის მზად ვარ ვემსახურო საქართველოს!“ – წერდა თემური 1987 წელს, 15 წლის ასაკში, თავის ერთ-ერთ, ქალაქი ვანდობლ გულისხმადებში, უცნაურად ფიქიან წერილში – „როგორ უნდა მოვეპოვოთ საქართველოს დამოუკიდებლობა“.

მისი სიტყვა და საქმე ერთი აღმოჩნდა.

თემურ სამხარაძე გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა სიკვდილის შემდეგ.

მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო ის დიდი სიყვარულია, რომელიც მის თანამებრძოლებში, მის ნაცნობ-მეგობრებში და იმსახურა. ბევრი რამ ვერ მოასწრო თემურ სამხარაძემ.

მხოლოდ ერთი რამ მოასწრო – ღირსული ცხოვრება.

ამ წუთისოფელში მთავარი ესაა...



\*\*\*

შოტლანდიელი შონ კონერი ლონდონში ცხოვრობს. მას ათვალწუნებული აქვს ამერიკა და არც თუ უმიზეზოდ. სულ ცოტა ხნის წინ, ნიუ-იორკში გაქურდეს მისი მეუღლე.

მისის კონერი დაბინავდა მანჰეტენის ერთ-ერთ სასტუმროში და დამშვიდებული წაბრძანდა საქმიან შეხვედრაზე. მეორე დღით მის ბარგს ერთი ჩანთა აკლდა, ზუსტად ის, რომელშიც ექსჯეიმს ბონდის მეუღლე ძვირფასეულობას ინახავდა. მიახლოებითი შეფასებით, დაკარგული ბრილიანტების, საათის, საყურეების, სამაჯურების და გულსაბნევების ღირებულება 800000 დოლარს აჭარბებს.

ადგილობრივი პოლიცია უმაღლვე შეუდგა საქმის ძიებას, მაგრამ ვერაფერი თქვეს გარდა იმისა, რომ ქურდები ფანჯრიდან იყვნენ გადამძვრალეები. სამაგიეროდ შონმა დრო არ დაკარგა და გაამზადა სარჩელი სასტუმროს ადმინისტრაციის მიმართ.

\*\*\*  
როგორც ჩანს, ბოლო დროს მაიკლ ჯექსონს კატასტროფულად არ ჰყოფნის ფული და გაშმაგებით ეძებს მისი შოვნის ახალ-ახალ ხერხებს. მთელ მსოფლიოში მრავალრიცხოვანი გასართობი პარკების მფლობელს სურდა გამხდარიყო კაზინოებისა და სასტუმროების ქსელის მებატრონეც. ახლა კი უოლ-სტრიტის ათვისება



დაიწყო. მომღერალმა გადაწყვიტა, 100 მილიონ დოლარად გამოემყვას საკუთარი აქციები და შემდეგ დაფაროს თავისი ფირფიტების გაყიდული თანხიდან. საეჭვოა, ამან დააკმაყოფილოს ჯექსონის აქციების პოტენციური მყიდველი. მუსიკოსის ბოლო ალბომები ჩავარდა. ამიტომ მაიკლი მზადაა პროექტში ჩადოს „ბითლზის“ 250 სიმღერა, რომელთა გავრცელების უფლება მან რამდენიმე წლის წინ იყიდა.

ზუსტად ასე გამოიმუშავა 55 მილიონი დოლარი გასულ წელს ბრიტა-

ნელმა დევიდ ბოუიმ. მისი ბოლო ალბომები უდიდესი ტირაჟით გაიყიდა და დივიდენდის გადახდის პრობლემა არ ჰქონია. იქნება თუ არა ასეთივე გადამხდელი ჯექსონი, სპეციალისტებს ეჭვი ეპარებათ.

\*\*\*

პოლიგუდის სუპერვარსკვლავმა ტომ ჰენკსმა სათავედასავლო ფილმის „Cast away“ გადაღებების დროს ფეხის ტრავმა მიიღო. გართულებული ტრავმის სამკურნალოდ ის ლოს-ანჯელესში გადაიყვანეს. ბოლო წუთამდე უცნობი იყო, მოვიდოდა თუ არა „ოსკარის“ ნომინანტი ჯილდოების გადაცემის ცერემონიალზე. ოდნავი კოჭლობით ტომი მეუღლესთან, რიტა უილსონთან ერთად გამოჩნდა. და თუმცა სპილბერგის ფილმის, „რიგითი რაიანის გადასარჩენად“, ვარსკვლავი ამჯერად ჯილ-



დოს გარეშე დარჩა, ოპერატორებს, რომლებიც რეპორტაჟს იღებდნენ, ძალიან ხშირად ვიდეო

კამერები იქითკენ ჰქონდათ მიმართული, სადაც ტომი იჯდა და მოთმინებით იტანდა ტკივილს. ექიმებს მიაჩნიათ, რომ მსახიობი სერიოზულად არის ავად, რამეთუ მსგავსი დაავადება განგრენასაც იწვევს, მაგრამ ინარჩუნებენ ოპტიმიზმს და იმედი აქვთ მსახიობის გამოჯანმრთელებისა.

\*\*\*



„ოსკარის“ მიღების შემდეგ გვინეთ ფელტროუმ ეს სასიხარულო მოვლენა თავის „საუკეთესო მეგობართან“ სკოტ სპიდმენტთან ერთად აღნიშნა. გვინეთი და სკოტი ერთად მონაწილეობენ ბრიუს ფელტროუს ფილმში „დუეტი“. ცერემონიის შემდეგ მთელი საღამო ხელიხელჩაკიდებულნი იყვნენ და საკმაოდ ნაზად ეპყრობოდნენ ერთმანეთს. იმდენად ნაზად, რომ ფელტროუს ოჯახის წარმომადგენელს ნაჩქარევად მოუხდა განეცხადებინა, წყვილის ურთიერთობები წმინდა პლატონური იყო და რომ სკოტი, რომელიც სამი წლით ახალგაზრდაა გვინეთზე, მისთვის უმცროსი ძმასავითაა. სიტყვა „ძმა“ დაღებითად შეაფასა გვინეთის მამამ, რომელიც სპიდმენტს ძალიან მოკრძალებულ, სასიამოვნო და ნიჭიერ ახალგაზრდად მიიჩნევს.

### ზეიმი ლოს-ანჯელესში

1927 წელს დაარსდა ამერიკის კინოხელოვნების და მეცნიერების აკადემია. მისი მიზანი იყო კინოპროდუქციის მხატვრული ღონის ამალღება. 1929 წლიდან აკადემიამ დაიწყო კინოკონკურსების მოწყობა და წარმატებული ფილმებისა და მათი შემქმნელი კოლექტივების პრიზებით დაჯილდოება. უმთავრესი ჯილდო „ოსკარი“ მსოფლიოს ყველა კინოშემოქმედის სანუკვარ ოცნებად იქცა. საინტერესოა ამ მოქროვილი ქანდაკების სახელწოდება. პირველი „ოსკარის“ მფლობელმა ახალგაზრდა ქალმა ალტაცებით წამოიძახა: „როგორ ჰგავს ეს კაცუნა ბიძაჩემს ოსკარს“. და პრიზიც მოინათლა.

„ოსკარი“ ყოველწლიურად ენიჭება გამორჩეულ როგორც ამერიკულ, ისე საზღვარგარეთის ფილმებს. წელს კინოაკადემიამ კვლავ საზეიმო ვითარებაში მოაწყო საკონკურსო ფილმების ჩვენება.

ჯერ კიდევ კონკურსამდელ რამდენიმე თვით ადრე მსოფლიოს წამყვანი მოღებების სახლები თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ კინოვარსკვლავებს, რითაც საკუთარი თავის რეკლამირება სურდათ. დიზაინერთა შორის იყო პოლ მაკარტნის ქალიშვილი სტალაც.

კინოს დარგში დიდი ღვაწლისათვის „ოსკარი“ გადასცეს 89 წლის გამოჩენილ უზუცეს რეჟისორს ელია კაზანს. მას ეკუთვნის ერთ დროს გახმაურებული და შემდგომში კლასიკად აღიარებული ფილმი „ტრამვაი“, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ უბადლო ვივიენ ლი და იმ დროისათვის დამწყები, ახალგაზრდა მსახიობი მარლონ ბრანდო.

პირველი ადგილი დაიმსახურა სურათმა „შეყვარებული შექსპირი“. შექსპირის დროს ქალის როლებს სუბტილური მამაკაცები თამაშობდნენ. პიესისათვის „რომეო და ეტელი“ (ზღვის

მეკობრის ქალიშვილი) შექსპირმა შენიშნა მსახიობი თომას კენტი, რომელიც სინამდვილეში არისტოკრატი ქალიშვილი ვიოლა ლესენსი ყოფილა. დრამატურგს შეუყვარდა ვიოლა, გოგონას კი მხოლოდ სცენა იტაცებდა. გამიჯნურებულმა შექსპირმა თავისი პიესა თანდათან ტრაგედიად აქცია. ასე შეიქმნა „რომეო და ჯულიეტა“. რეჟისორი – ჯონ მედენი, მსახიობები: ჯოზეფ ფაინსი, გვინეტ პელტროუ, ბენ აფლეკი. ფილმმა შვიდი „ოსკარი“ მიიღო.

ყველა ელოდა, რომ პირველ ადგილს დაიმკვიდრებდა რეჟისორ სტივენ სპილბერგის ფილმი „რიგითი რაიანის გადასარჩენად“, მაგრამ ხუთი „ოსკარით“ იგი მეორე ადგილს დასჯერდა.

მესამე ადგილი – სამი „ოსკარი“ – მოიპოვა იტალიურმა სურათმა „სიცოცხლე მშვენიერია“. ეს ფილმი ტრაგიფარსია. მოქმედება ვითარდება იტალიის ერთ-ერთ საკონცენტრაციო ბანაკში. გადაღებულია ომის წლებში საბჭოური

აგიტაციური კინოს სტილში და მაინც იმდენად სასაცილო გამოვიდა, რომ ბევრმა იგი ომის მსხვერპლთა შეურაცხყოფათაც ჩათვალა. კანის ბოლო ფესტივალზე ამ სურათმა გრანპრი მიიღო. რეჟისორი ვახლავთ რობერტო ბენინი, რომელიც ფილმში მთავარ როლსაც ასრულებს. სამი „ოსკარი“ დიდი წარმატებაა საზღვარგარეთული ფილმისათვის. ჩვეულებრივ, ამერიკელები უცხოურ ფილმს ამდენ „ოსკარს“ არ აძლევენ.

„ოსკარები“ მიეკუთვნებათ სცენარისტებს, ოპერატორებს, ქალთა და მამაკაცთა როლების საუკეთესო შემსრულებლებს.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა გრანდიოზული ბანკეტი გამართა და 1650 სტუმარი დაპატიჟა. დესერტად შოკოლადის „ოსკარები“ მოიტანეს.

სუფრის ნარჩენები კი საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაეცათ უსახლკართოთა დასაპურებლად.



\*\*\*

მერლინ მონროს მიერ 16 წლის ასაკში დაწერილი წერილი ნიუ-იორკში 43000 დოლარად გაიყიდა. მომავალში ცნობილი მსახიობი იქ აღწერს თავის პირველ შეხვედრას მამასთან.



\*\*\*

გასულ წელს, ასი წლის-თავთან დაკავშირებით პირველად გამოქვეყნდა, ცნობილი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის კიდევ ერთი რომანი, სახელად „უშუალო სი-

მართლე“. ეს ხელნაწერი შეაგროვა და გამოსცა მწერლის მეორე ვაჟიშვილმა, პატრიკმა. ნაწარმოები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და იგი კუბაშია დაწერილი.

\*\*\*

ცნობილი ამერიკელი მომღერლის წარმოშობით სომეხი შერის წარმატებები ყოველგვარ ზღვარს სცილდება. მისი უკანასკნელი სიმღერა „ბელივ“ ყველა საერთაშორისო ჰიტ-პარადშია მოხვედრილი. სწორედ ასეთი პოპულარობის გამო, ცნობილმა ჟურნალმა „ფლეიბოი“-მ



შესთავაზა მომღერალს მორიგ ნომერში შიშველ პოზაში გამოჩენილიყო. შერმა კი მოკლედ და კონკრეტულად უპასუხა: „მე ამ წინადადებას არასდროს მივიღებ, ჩემს ცხოვრებაში ეს პერიოდი უკვე განვლილი მაქვს, მაშინ როდესაც შეიძლებოდა ამაზე დავთან-ხმებულობა“.

მოამზადა  
ბიორაბი ჩიკვაიძე

## ინგლისური იუმორი

– ექიმო, თქვენ ფიქრობთ, რომ გამოვჯანმრთელდები?  
 – კი არ ვფიქრობ, არამედ ნამდვილად ვიცი. ამ სიტყვებზე ექიმმა ჯიბიდან ამოიღო ქალაღი და გაუწოდა პაციენტს.  
 – აქ არის ცნობები იმ ავადმყოფობის შესახებ, რომლითაც თქვენ ხართ დაავადებული. აქ მოცემული ფაქტების თანახმად ყოველი ასიდან ერთი ინკურნება.  
 – მერე? – გაოცებით იკითხა მსუქანმა კაცმა, რომელსაც შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.  
 – რა მერე, თქვენ ჩემი მეასე ავადმყოფი ხართ. დანარჩენი 99 დაიხლცა.

\*\*\*

ვაჟი: – თქვენი ქალიშვილის ხელს ვთხოვთ, თანახმა ხართ, სერ?  
 მამა: – რა თქმა უნდა, ოღონდ ინებეთ ის ხელი, რომელიც მუდამ ჩემს ჯიბეში აქვს.

\*\*\*

ვაჟმა ქალს სიყვარული აუხსნა.  
 – ძვირფასო, – უთხრა ქალმა, – ეს როგორ, შენ ხომ მხოლოდ სამი დღეა, რაც გამიცანი?  
 – მერე რა, სამაგიეროდ, ორი წელი ვმუშაობდი იმ ბანკში, სადაც მამაშენი ფულს ინახავს.

\*\*\*

ტომმა სთხოვა დედას, რომ განემარტა მისთვის, თუ რას ნიშნავს ანგელოზი და როგორია იგი.  
 – ანგელოზი, ჩემო ძვირფასო, არის პატარა გოგო, რომელსაც აქვს ფრთები და ცაში დაფრინავს.  
 – კარგი, მაგრამ გუშინ გავიგონე, რომ მამამ ჩვენს მოსამსახურეს უთხრა, ანგელოზი ხარო. ის ვაფრინდება?  
 – რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, ის ვაფრინდება, როგორც კი თავის ბარჯს ჩაალაგებს.

\*\*\*

დედა: – ნუ ხმარობ ასეთ ცუდ სიტყვებს!  
 შვილი: – ოჰ, დედი, მაგრამ შექსპირი ხმარობს მათ.  
 დედა: – ამიერიდან აღარ ითამაშო შექსპირთან.

\*\*\*

ღიასახლისმა მოულოდნელ სტუმარს ვაშლის ნამცხვარი მიუტანა და მოუბოდიშა, რომ ყველი არ ჰქონდა. პატარა ბიჭმა იმწამსვე დატოვა თათხი და ძალე დაბრუნდა ხელში ყველის დიდი ნაჭრით. იგი სტუმარს მიართვა. სტუმარს გაეღიმა, ყველის ნაჭერი პირში ჩაიღო და თქვა:  
 – შენ დედაშენზე მახვილი თვალი გქონია, ბიჭიკო, სად იპოვე?  
 – სათავურში. – უპასუხა ბიჭმა.

\*\*\*

მამა ურჩევდა შვილს დილით ადრე ადგომას. მან მაგალითი მოუტანა იმის შესახებ, რომ ერთმა კაცმა, რომელიც დილით ადრე ადგა, ოქროს ნაჭყერი იპოვა.  
 – მერე რა, – უპასუხა ბიჭმა, – ვინც ოქროს დაკარგა, ის ხომ უფრო ადრე ადგებოდა.


\*\*\*

ქმრიანი ქალი არიგებდა ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალს, რომ უმჯობესია, თავი ჩაიჩეხო უფსკრულში, ვიდრე ქმარი შეირთო.  
 ახალგაზრდამ უპასუხა:  
 – დიდი სიამოვნებით შევასრულებდი თქვენს დარიგებას, თუ კი უფსკრულში ქმარს ვიპოვიდიო.

\*\*\*

– რატომ დაფრინავს ღრო ასე სწრაფად?  
 – იმიტომ, რომ ბევრს სურს მისი მოკვლა.

ინგლისურიდან თარგმნა  
 პალერი ჭაბუაძე



**თარაზულად:** 5. ფრანგი კინომსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ანჟელიკა და მარკიზა“. 6. ფართო წარმომადგენლობითი კრება. 10. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი. 11. გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე. 12. წარჩინების ნიშანი. 13. კედლის, ხალიჩის, პარკეტის არშია, ბორდიური. 15. ქვეყნის ნაწილი დას. ნახევარსფეროში. 17. გერმანული ფილმი. 19. ფილმ „ტერეზ რაკენის“ დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი. 20. ინდოელი კინორეჟისორის რაჯ კაპურის ფილმი. 23. მასობრივი წარმოების რაიმე საგნების ზუსტი ზომა. 25. სპეციალური შენობა, მუზეუმი, სადაც გამოფენილია სამხატვრო ხელოვნების ნიმუშები. 27. ზღაპრული შინაარსის იგავი. 29. ტყავის გამოყვანილი მუშა ძეველად. 30. ხუროთმოძღვრული სტილი გვიან შუა საუკუნეებში ევროპაში. 31. ფრანგი მწერალი ქალი, რომან „ინდიანას“ ავტორი. 33. უფარფლო მრგვალი რბილი ქუდი. 34. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი XI-XII ს-ის საქართველოში.

**შვეულად:** 1. ნიუ-იორკის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა. 2. ძველი ბერძნული სიმებიანი საკრავი. 3. ძირითადი ფერი, ტონი, რომელზედაც იხატება სურათი. 4. რკინა-ბეტონის და ფოლადის სქელკედლებიანი სეიფი ან თავშესაფარი. 7. ფულის ერთეული საბერძნეთში. 8. რაიმე ნაგებობის კედლების, საყრდენების გამაერთიანებელი რკალისებური გადახურვა. 9. მდინარე აფრიკაში. 13. ალორძინების ეპოქაში დას. ევროპის ქვეყნებში გავრცელებული ანეკდოტის ტიპის პატარა მოთხრობა. 14. ირმის ტყავებით დაფარული ჩუქჩების საცხოვრებელი ქოხი. 16. მადრიდის ფეხბურთელთა გუნდი. 18. ფრანგი კინომსახიობი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „წითელი და შავი“. 21. დროებით საცხოვრებელი სახელდახელო ნაგებობა. 22. ქალაქი კალიფორნიის შტატში. 24. სვეტის თავი. 26. ქართველი პოეტი. 28. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 31. პარტია ჩოგბურთის თამაშში. 32. XIX ს-ის ბელგიელი მეციოლინე და კომპოზიტორი.

შეადგინა ცინლა ამამუქაძემ.

### „დროშა“ №3-4-ში გამოქვეყნებული პროსპორდის პასუხები

1. ასურეთი. 2. ისამარი. 3. ამანათი. 4. ამირანი. 5. ტურბინა. 6. ბურ-ნუთი. 7. ლანგარა. 8. შარბათი. 9. გრენადა. 10. არავონი. 11. მარადია. 12. ლანინერი. 13. დირექტი. 14. ვერანდა. 15. პენალტი. 16. ვენეცია. 17. რადიუსი. 18. გარანტი. 19. ვაჩნაძე. 20. ვარიეტე. 21. კარლოსი. 22. პარნასი. 23. თბილელი. 24. აბულაძე. 25. აბაშიძე. 26. თბილისი. 27. მიქსერი. 28. გირმელი. 29. გარმონი. 29. კავსაძე.

გამომცემლობა „სამომბლოს“ სტამბა

ტექნიკური ნაშრომი იამზა შარიძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: ევროსაბჭოს დროშის აღმართვა თბილისში.

მეოთხე გვერდზე: მეტეხი



ვაიზაჟი.  
ფოტო ბონდო დვალისკვილისა.

lp 159/s

